



F 718

1922

# ქართული მედიკუმები

სრ. საქართველოს სახელმწიფო მუხრანის ფაბრიკის  
ყავაღმართის ქარხანა

წილიანი მემკვიდრე



მ ა ნ ს ი — 1 9 2 9

ტფილისი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ტ ს
კ ა რ ლ ა მ მ ნ ც ი ს
ე რ მ ვ ე შ ე ლ ი
გ ი გ ლ ი მ თ ვ ა ა

პასუხისმგებელი რედაქტორი სიმონ ხუნდაძე

სარედაქციო კოლეგია

ბ. ბუაჩიძე  
ვ. კოტეტიშვილი  
ტიციან ტაბიძე  
ლემ ჭიაჩელი  
ლ. ასათიანი

## გაზაფხული

ეს გაზაფხული არის ცბიერი.  
ჩუმად შემოდის ვით კანტრაბანდა.  
მარტის ნიავი ჰქრის ნებიერი  
ყალბი კვალები ყველგან დაჰბანდა.  
მორცხვით ჩაიკვამს ხე მწვანე სამოსს.  
ვამჩნევ ტოტების ნაზ გათეთრებას,  
ეს გული თრთოლვით რომ დაინამოს  
და გადაიქცეს ცეცხლის ვედრებათ.  
ბალის წინ გვირავს სწრაფად გავიარ.  
თვალი შავ კლდეებს ესალმუნება.  
დიახ, ჩვენ შორის ისევ ზავია  
ამპარტავანო, მკაცრო ბუნება!  
მხიბლავს ღუმილი უდაბურ გზების,  
ერთი ბილიკი მხიბლავს ფარული,  
ვით საქანელა ჩემი ოცნების,  
როგორც ხოხობი და სიხარული.  
და ვინ გაიგებს, და ვინ მიხვდება,  
რომ ხეებს შორის მყავს მეგობარი,  
რომ ზამთრის სევდა თოვლივით დნება  
ისე ვით ხსოვნა შესანდობარი;  
რომ ეს ფოთლები მხოლოდ ჩემია,  
მხოლოდ ჩემია ფოთოლთ შრიალი,  
რომ სიხარული თავს დამცემია,  
როგორც ყაჩაღი მოხეტიალე.  
მე გაზაფხულის აღმშენებლობა  
მაოცებს როგორც ახალი ხანა.  
და შენს წიაღში გული ეფლობა  
ამხედრებულო, ნორჩო ქვეყანა!

— : —

## ზ ე ღ ა ზ ე ნ ი

მე არ ვყოფილვარ იქ სალოცავად!  
არც სასოება მქონია ღმერთის..  
წმინდანთა რწმენა გულში ოდნავაც—  
არ გამივლია არც ერთი წვეთი.

მე უფრო მიყვარს დიდი ჭანდარი  
ფართე რტოებით გაშლილი რგანზე..  
როდესაც ცხელი დადგება დარი—  
დასაჩრდილებლად ავდივარ მთაზე.

მაშინაც,—ცვრიან აგვისტოს დილით,—  
როს ენთებოდა მზის სხივი ვერცხლად  
ყვავილებისგან გაძარცულ ბილიკს  
სახეტილოდ გავყევ უეცრად.

და აი, ჩემ წინ ხევი გაჭრილი  
გორების შუა ჰგავდა ნატყვიარს,—  
სადაც კლდეებზე უხვად დაყრილი  
ჰყვავიან მუდამ დეკა და ღვია.

მალლა ვით ტანკა უზარმაზარი  
გადაწოლილა საგურამოს მთა,  
იქ ეხლა ტყეში მოსჩანს ტაძარი—  
მყუდრო საყუდი ზედაზნის მოგვთა.

აქ იოანნეს,—სირიელს ვინმეს,—  
ერთ დროს სენაკში დაუდევს ბინა  
მას შემდეგ წლები მრისხანედ მძიმედ  
დღეთა შარაზე რბოდენ უჩინრად.

იყო ეს კუთხე სავანე ყვავთა,  
კერპთმსახურების მთა მიუვალი,  
ვიდრე ზვაგვივით თავს არ დაატყდა  
ახალ დროების მძაფრი გრიგალი.

დადუმდა მწუხრზე ლოცვა მწირული..  
აღარ გაისმის ხმა ექტენიის.  
ახლა ამ ადგილს კომკავშირული—  
ახალგაზრდობა თამაშობს ტენისს.

როგორც გაწყვეტილ სკრიპკის სიმები  
ჩაჰკვდა ხევებში გუგუნი ზართა..  
ფრთა დაღეწილი სერაფიმები  
აწ აღარ დგანან აღსავლის კართან.

გაჰხედავ ზაჰესს მონასტრის გაღმა,  
სად დაჭიმული ბრინჯაოს კუნთით—  
მტკვარის სხეული აფეთქდა ნალმად  
რომ სოფლებს სტყორცნოს სინათლის შუქი—

და ვამბობ აი, მართლა დიდება—  
ნალდი იმედი სხვა მომავალზე.  
მე დღეს წარსულის არ მერიდება  
და ყველა ღმერთებს ვაგინებ ძალზე.

ცეცხლს უნდა მისცე სიცოცხლე მთელი—  
თუ მას სიღამპლის მოედო შმორი  
უნდა შეისხა ფოლადის ფრთები  
რომ შესძლო სწრაფად გაფრენა შორი.

ერთი ოცნება გულს ძალას მატებს—  
და ჩემი ფიქრი ტყვე არის მისი:  
მალე ამ მთებსაც გადმოანათებს  
ცხოველმყოფელი მზე კომუნიზმის.

მ ს კ ი ზ მ ბ ი

V

აზნაურ დევდარიძეების ქარაზმა

— რა ბრძანე მაზლო ბატონო?—დაეკითხა მზეხა ქალბატონი ქუთაისიდან ახლად დაბრუნებულ ვარდენ დევდარიძეს.

ქალბატონმა მზეხამ კარგათ გაიგონა ნათქვამი, მაგრამ, ოდეს-ღაც დიდებულ ოჯახში ნამყოფს, უნდოდა გაემეორებინა ის, რაც იქ ენახა—სიღინჯე, სიტყვების ხელმეორედ მოსმენა და განაგონის ისე აწონ-დაწონა.

— რა, ჩემო რძალო, და ქუთაისში მობრძანდება მათი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე—სწორეთ ისეთის გამომეტყველებით წარმოსთქვა ვარდენ დევდარიძემ, როგორც ეს მან გაიგონა თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მწერალ პეტრე იოსელიანისაგან, თითქოს, იმპერატორის ჩამოსვლა თუ მისი მოწყობილი არ იყო, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდ ფასს სდებდა.

— ჰო, ჰო—ამოისუნთქა მზეხამ და კავები მოიკოპწიავა...

— დიდი საქმეა თქვენმა მზემ, მაგრამ როდის მობრძანდება?—დაეკითხა ყარამან დევდარიძე, რომელიც ჭკუით არ იყო განთქმული, მაგრამ ენის სიმახვილეს იჩემებდა; ვარდენმა აღარ იცოდა როგორ აჯობებდა თქმა, არ ვიცო, თუ დრო დაენიშნა, და გადასწყვიტა;

— ასე ამბობენ, მაისიდან თებერვლამდეო—და ისე შეაჩერდა ყარამანს, თითქოს ეუბნებოდა, ახლა რაღას მონახავ სასაცილოდ ასაღებსო.

— იმე, შე დალოცვილო, ერთ წელიწადში მოვა აბა რას იზამს?!..

— „რას იზამს“?! რავა, შენ შენი ოსიკია კროჭი გგონია მთელი რუსეთის იმპერატორი, რომ დღეს იტყვის და ხვალ წამოვა? იმე!!! იცი, რომ შენსას იმდენი ბუზი არ იქნება, რამდენი იმას სახელმწიფოები აბარია?.. იცი, რომ შენ იმდენი თმა არ გაქ, იმას რომ ქვეშევრდომი ჰყავს?!.

— თუ არ დაგავ და გარეცხ, ბუზი იმატებს...—დაცინვით უპასუხა ყარამანმა.

— ბუზი, გენაცვალე, იქ იცის სადაც საქმელია—გამოექომაგა ვარდენს ცოლი.

— ჭეშმარიტათ...

— მაგას თავი დავანებოთ და ჩვენ საქმეს დაუკვირდეთ...

— რა საქმეს? თებრონიას არ წაიყვანს რძლად, და სხვა რა საქმე მაქვს?

— ამ გლეხებზე რომ ამბობდით... ახლაა დრო, თუ კაცი ჩაუკვირდება...

— რავა, ჩემო სოლომონ ბრძენო?

— რავა და ვთხოვოთ...

— რა ვთხოვოთ, ქალო, გადირიე?

— რა და დაგვიბრუნოს გლეხები... ხომ იყო, ლაპარაკი, დროებით განთავისუფლესო...

— ჭეშმარიტი ბრძანებაა, მამა ნუ წამიწყდება... აქ ეფისკოპოსი იძახდა, გლეხი განთავისუფლოთო, იქ ვილაც ილია ჭავჭავაძე ყოფილა, ჩემი ცოდვით სავსე... ჰო და ჩვენმა მწყალობელმა ხელმწიფემ იფიქრა, განთავისუფლებ, ნახონ რა გამოვაო... ყოვლად მეცნიერია თურმე ხელმწიფე, მისი ჭირიმე...

— რავა აპირობ მაინც ამ საქმის გაკეთებას?

— მივართვათ თხოვნა...

— აკი მივართვი, მარა არაფერი გამოვიდა.

— გამოტყდი ხომ!!! გამოტყდი ხომ... წინათ ამბობდი, არაფერიც არ გამიგზავნიანო.

— ნუ ჩამაცივდება, ჩემო რძალო, ჭინჭყლი მაყარივით.

— არც გაცივდება და არც გეთბილება, მარა...

— ჰო კაი ახლა... და კიდევ სასაცილოდ გავიხადოთ თავი?..

— ვინ დაგცინებს, შე კაცო—შეეკამათა ცოლი.

— ჩვენ ერთმანეთი არ დაგვიზოგავს, და გლეხებმა თუ გაიგეს, მაშინ ხომ სულ თავი მოგვეჭრება...

— გლეხები საიდან გაიგებენ... ნეტავი ჩვენ მიგვიშვებდენ ხელმწიფესთან, თორემ მაგათ კიდევ ვინ მიიყვანს?..

— შე ქალო, ი გაზეთები რომ არის, არ მოდებენ ქვეყანას, დევდარიძეებმა ხელმწიფეს არცა მიართვეს და პირში ჩალაგამოვლებული დარჩენო?.. გაბრიელ ეფისკოპოსი ქადაგებაში აგვიგებს წესს და ილია ჭავჭავაძე გაზეთში... მერე სდიე უკან კუდში!!.. მე შენ გეტყვი წერა იცი და კითხვა.

— რატომ არ ვიცი... ღვთის მადლით, სხვაზე უარესი არაფრით არა ვართ...

— დაწერით, რავა ანნა ქალბატონი ვერ დასწერს... ისეთსაც დასწერს, ჩემი ქმარშვილის ბედნიერებამ, რომ მოსამართლის მწერალსაც კი შეეხარბება...

ქალბატონი ანნა უკვე ემზადებოდა უარი ეთქვა ასეთი უჩვეულო ბარათის დაწერაზე, მაგრამ რაღაც ეშმაკათ ყარამანმა წამოიძახა:

— ისეთს კი ნურაფერს იტყვი, არც ღვთის იყოს და არც კაცის—რუსეთის იმპერატორი ნემსაძის ქვრივი ხომ არ არის, რაცენაზე მოგადგება, ის შეუთვალო...

— რავა დავიჯერო, ბეჩა, რომ რუსეთის ხელმწიფეს სულ გიორგი ლოლობერიძეები\*) სწერენ, და ჩვენისთანებს კი არ მოუსმენს—ოდნავ შეურაცყოფილის კილოთი ჩაერია ლაპარაკში ანნა, ლოლობერიძეების შორებელი ნათესავი და ამიტომ თავის თავის კალმოსნად და ორატორად ჩამთვლელი.

— აბა დაწერე შენი ჭირიმე, ამას წინ რა უდგას... ქალაღდს თუკი სიკეთეს იზამ, ერთ ბათმანს ჩამოგიტან ზესტაფონიდან.

— ჩემი რუსულიც ქე გამომდგარა ხანდახან—ჩაურია სიტყვა ბეკინამ.

— უი, თვალი კი დემეფსო—შენ გენაცვალე, ანნა ქალბატონო, მაგის რუსულს ნუ ჩაურევ ამ საქმეში... მაგის მუდამ დასაქადებლათ ნუ გაგვიხდი საქმეს, და თუ რამე გამევიდა, ქმარ-შვილს ვფიცავ, ნახევარს ჩემდათავათ შენ მოგცემ.

— ახლა ორი ანბანისთვის, რავა დაგამადლებ...

— ქართულად სჯობია—ყველა გავიგებთ მაინც.

— კაი, ქართული იყოს...

— დაწერე ანნა, დაწერე გვისახელე ლეჩაქი—შემოესიენ ქალები.

— სასაცილოდ კი არ გაგვხადოთ...

—რატომ სასაცილოდ... ჩვენც ისე მივსწერთ... ქარაგმით... თუ ენებება, მოიღებს წყალობას და თუ არა, უარს გვეტყვის, და კაცი ვერ გაიგებს, რას ვევედრებოდით... ვიტყვი, ისე მივესალმეთ ჩვენს ხელმწიფეს, როგორც ძველი ჩვეულება ყოფილა დევდარიძეთა გვარისა-თქო.

— მართალია მე და ჩემმა ღმერთმა...

— ეშმაკური მოგონილია, დედა ნუ წამიწყდება ჩიჯავაძის ქალი...

\*) გიორგი ლოლობერიძე იმერეთში პირველი უნივერსიტეტი დამთავრებული საზოგადოებრივი იყო, ვეჭილი, ყოველ საზოგადო საქმეში საუკეთესო ორატორი.



ვინ იცის აქ ადგილობრივმა ვინმემ რუსული?—შეეკითხა ხელმწიფე მწკრივით დამდგარ ხალხს.

— Я Ваше Благородие,—უპასუხა მგონი აკოთაშვილმა.

— Ну, брат, видно, с тобой не много поговоришь—გაელიმა ხელმწიფეს და ჩაიარა.

ერთი ჯგუფიდან გამოვიდა მოხუცი კაცი, შუახნის ქალის თანმიყოლით და ხელმწიფეს გაუწოდა ქალაქი.

მეფემ ქალაქი გამოართვა და თარჯიმანს გადასცა:

— სიტყვა-სიტყვით.

თარჯიმანს წარბები წუთით შეეკრა, მაგრამ მაინც დაიწყო:

„ნუგეშო, აღმოსავლეთისაო, ორთავიან არწივით გადაფენილო იმპერიასა ამასა ზედა, თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ, ხელმწიფეო ჩვენო—

ხელმწიფეს მოუთმენლობა დაეტყო—ამდენი დროც არ ჰქონდა, მაგრამ უკან მდგომმა ნიკო მინგრელსკიმ, რუსეთის მიერ ბულგარეთის ტახტის პრეტენდენტათ წამოყენებულმა ჩაუფუჩუნა:

— თქვენო უდიდებულესობავ, მოუსმინეთ აქ ენა მახვილი ხალხია და გაგართობენ.

— განაგრძეთ—უბრძანა ხელმწიფემ თარჯიმანს, რომელიც ოდნავ შეჩერდა.

„უამთა მას შემდეგ, ოდეს ენება ყოვლის მეცნიერსა გონებასა თქვენსა გამოცდა ერთგულებისა ჩვენისა და გონიერებისა მდაბიოთა არა რაისა ცუდითა აზრითა და მედიდურებითა შემცოდენი პირისა თქვენისა მზისა დაოისა წინაშე, ვართ შთავარდნილი უდიდესსა ჰმუნვასა და გოდებასა შინა, არა ჩვენისა უკუქცევითა და დამცირებითა, რაოდენ სურვილითა ვპოვოთ ქვეყანა თქვენი კუთვნილი და ჩვენთვის მხოლოდ საზრდოთ ბოძებული, განვითარებულ, გამაგრებულ და ღვთის მეტყველ. გულისა თქვენისა მოწყალეობა კეთილშობილთადმი გვსმენია და ამბავსა ჩვენსა იკითხავთ და გახლავართ თქვენის წყალობით მშვიდათ, ხოლო ვიჩაგრებით მეტათ—არზუმანაც თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა, ვინაიდგან არ ჰაავდა მომვლელი არცა ყმა და არცა მსახური. გარნა კითარება ჩვენი, ერთობლივ კეთილშობილთა, უყმოთ შთავარდნილი, არს საწყალ; და ოდეს მოწყალეებისა მოღებასა გულისა მახვიდით,

გეგეოლოს ბრძანებითა თქვენითა კვლავინდებურათ მამუ-  
ლი შემკული მოჯალაბითა და ფარეშებითა...

მიწანი ჩვენნი დაუხვენელ და დაუთესელ, ვენახნი  
გაუსხვლელ და გაუკრეფელ, ხოლო მამულნი გლახთასანი  
გამშვენირებულ.

და განვიკდით გვემასა ჩვენ გლახთაგან, ჩვენისა მა-  
მულისა ძალადობით დამპყრობელთაგან და ველით შენ-  
გან ხსნასა.

აზნაურნი დევდარიძენი ერთობილ და განუყრელ  
ამინ.

იმპერატორმა ეს ეს იყო მოისმინა თავსამტვრევი მოხსენება  
საგარეო საქმეთა მეტად რთულ კითხვებზე, თანაც ნასიამოვნები იყო,  
რომ მის სამფლობელოში, იშვიათ არეში, მოგზაურობის დროს  
გრძნობდა თავს მოხერხებულად და მსუბუქ მუსაიფს არ სწყვეტდა.

— აი მე ვნახე თავად მუხრანელის მამული და მშვენირად  
არის მოწყობილი; არც სჩივის ივანე კონსტანტინეს ძე.

— მაგასთან ჩვენ რა ხელი გვაქვს... ჩვენისთანები მაგას ფარე-  
შებათა ჰყავს...

— დიდს არ ედრებით და პატარას არ კადრულობთ, მაშ რა  
გიყოთ?!

სურათოვანი მოხუცი მოეწონა იმპერატორს:

თეთრი, მოელვარე, დაკრაკნილი თმა; მოლუნული, მაღალი  
ცხვირი; წარბ-წამწამით დაფარული დიდი თვალები; სუფთად მო-  
პარსული წვერი: შუა ტანის, ჩასკვნილი, მხარბეჭიანი; სირმა შემოვ-  
ლებული, ფართე სახელოებიანი ჩოხა; ძველებური ხრმალი, კოხტათ  
გვერდზე მოგდებული; გადაჯვარედინებული, ნიშნად უღრმესის სა-  
ლამისა ფეხები; და ქედ-მოხრილი.

მოხუცის ირგვლივ მდგომ სახლისკაცებსაც სიამოვნებდა მათი  
წარმომადგენელის სიღინჯე, მიხრა-მოხრა.

— შენ დიდი, დიდი კაცი, სტუმარი, მწყალობელი, რათ ინე-  
ბებ ჩვენ დაცინვას?

— როგორ თუ დაცინვას?!

შეკითხვით გათამამებულმა ბეკინამ ველარ განაგრძო დინჯი  
კილო და დამტვრეული რუსულით, ხუმარის ცქმუტვით დაიწყო:

— Что такой Мухран-батони, когда ти тьфу — бекинам მიმი-  
ურად გააფურთხა — что ми вси, когда Мухран-батон один линия  
с нами — тьфу.

ხელმწიფემ გემოიანად გადიხარხარა და, თითქოს ენის უცო-

დინარი ცუდათ ნათქვამს უფრო გაიგებსო, უსწორო რუსულით უთხრა:

— Что с тебе делить—такой закон.

ხელმწიფე მათ დაშორდა.

— ვისი მატრაკვეცები ხართ რომ რომაეთ რაღაც სისულელეს?!— ჩაუფუჩუნა გზად მიმავალმა ბრაზმორეულმა მინგრელსკიმ დევდარიძეთა ჯგუფს.

— ჩვენც აზნაურები ვართ...

— თქვენც შეგარცხვინა ღმერთმა და თქვენი აზნაურობაც...

— მეუფის სოლომონის აზნაურებს ასე...— რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა ეკატერინეს, მაგრამ ჩქარის ნაბიჯით მიმავალმა მინგრელსკიმ თავი მოიბრუნა, სიტყვა გააწყვეტინა:

— იმიტომ წავიდა მისი საქმე კარგათ, რომ თქვენისთანა ლაყეთავიანები გააზნაურა, თქვენი...— და საშინელი საგინებელი სიტყვების წვერზე დაიჭირა.

— : —

## მათთან ვნაღვლობდი და მათთან ვხარობ

არა ბატონის, ნავარდობდა რომ ზურგზე ყმათა,  
არა მევახშის, სისხლს რომ სწოვდა საწყალთ მარადის,  
არც ძველ ფეოდალთ და არც ახალ ჩარჩ-ბურჟუათა  
არ აფრთოვნებდა საქართველო ჩემ გულს აროდეს!

ბავშობიდანვე უსახლკარო ობლად შეთენილი,  
არ მქონებელი არავითარ საკუთრებისა,  
ქვრივ დედის შრომით გამოზრდილი, შრომას შეზრდილი,  
ზიზლით შემყურე ყველა მტარვალ-მიხაგვრელებისა,

მხოლოდ ქართველ ხალხს, ქართველ მშრომელ ხალხს,—  
ლარიბ გლახსა და მუშა-პროლეტარს,  
ორკეც უღელქვეშ წელში მოხრილებს,  
მგმინავთ ქუსლებ ქვეშ უცხო მოხელის,  
მათი მგოსანი მე ვუგალობდი  
და, გმირ წინაპრებს თუ შევამკობდი,

მისთვის კი არა, რომ წარსულის მსურდა აღდგენა  
და გაცოცხლება თამარის ან „პატარა კახი“-ს,  
არა! მინდოდა ამით მარტო მე აღმაფრენა  
და აღფრთოვნება, გამხნეება ქართველი ხალხის,  
რომ გამოეღო, ძველებურ ხელი  
და ჩამოეგდო მძიმე უღელი!...

როდესაც მთელი იქ რუსეთი, აქ საქართველო  
ზღვას, დაწყნარებულს ქარიშხლის წინ, ემსგავსებოდენ,  
სადაც ჩაგრულნი, მოეპოვათ რომ სანატრელი  
თავისუფლება, ბრძოლისათვის ემზადებოდენ,

მაშინ ვიყავი შორს, მართალია,  
მაგრამ ეს განა ჩემი ბრალია?..  
ჩემი ბრალია, ბედმა გულქვამ, ბედმა ტიალმა,  
ჩემი ცხოვრება რომ უკულმა დაატრიალა:  
გულში ჩამიკლა ჩემი მიზანი,  
მცირე სურვილიც არ ამისრულა,

ცხრა მთას გადაღმა გადამისროლა  
და იქ მიმჯაჭვა, ვით ამირანი?  
შემომისია ყვავ-ყორანთ გუნდი,  
შემკრა, შემბოჭა მრავალ გვარ ხუნდით  
და, ტანჯულს სევდით სამშობლო მხრისთვის,  
მხოლოდ ლექსები მრჩებოდა მისთვის?..

როცა იფეთქა „ცხრაას ხუთი“-ს რევოლუციამ,  
შეირყა ტახტი, შედრკა ჯარი და პოლიცია  
და მყარდებოდა ჩვენში ყველგან ძმობა-ერთობა,  
მაშინ მე მარტო მაზე უნდა მეფიქრ-მეზრუნა,  
რომ ერთმანეთის ჟღეტისაგან გადამერჩინა  
გონ დაკარგული სომეხ-თათართ მოსახლეობა,

საბრალო მსხვერპლი პროვოკაციის—  
ბეგების, მღვდლების, ბურჟუაზიის!..

მხოლოდ „ჩვიდმეტი“-ს წლის გამარჯვებას  
მოჰყვა დამსხვრევაც ჩემის ჯაჭვების!  
მე დავუბრუნდი საქართველოს, ღონე მიხდილი,  
და, თუმც თავს მადგას, უდროდ მოხუცს, უკვე სიკვდილი  
ისევ ვუგალობ ქართველ მშრომელ ხალხს,  
ღარიბ გლეხსა და მუშა პროლეტარს,  
მხნედ რომ იცავენ მოპოვებულ თავისუფლებას,  
და ამტკიცებენ სანეტარო „შრომის სუფევა“-ს!

არა ბატონის, ნავარდობდა რომ ზურგზე ყმათა,  
არა მევახშის, სისხლს რომ სწოვდა საწყალთ მარადის,  
არც ძველ ფეოდალთ და არც ახალ ჩარჩ-ბურჟუათა  
არ აფრთოვნებდა საქართველო ჩემ გულს აროდეს!

მხოლოდ ქართველ ხალხს, ქართველ მშრომელ ხალხს,—  
ღარიბ გლეხსა და მუშა-პროლეტარს,  
გუშინ უბრალო ნივთთა დარმონებს  
და საქართველოს დღეს სრულ პატრონებს  
მე ვუგალობდი,

კვლავ მათთვის ვგალობ:  
მათთან ვნაღვლობდი  
და მათთან ვხარობ!..

— : —

## გავლით ქართლისაკენ

როგორც დილაზე მინდვრათ ბალახი  
ამოისუნთქავს თითქოს პირველად,  
მეც ასე მომდის როცა ქალაქით  
რამდენიმე დღით გავდივარ ველად.  
მას შემდეგ ხუთი დღეც არ იქნება  
შე ქართლისაკენ გავყევ მეგობარს  
და ეს გრძნობები მაღალ ზვირთებად:  
ეხლაც სხეულში სწრაფად მიგორავს.  
ამ ვაგონების შავი მოგვები  
მიქრიან მწყობრად—გადასჭრა ვაკე  
და ნახნავეები როგორც ბორბლები  
უკან მიგორავს თბილისისაკენ.  
მინდა შევძახო ამ მთებს, ამ ველებს  
რამე ახალი ამბის შესახებ  
როცა ნიავე ნამით ასველებს:  
მინდვრად გაფანტულ გლეხების სახეს.  
მზე გადმოგორდა მწიფე ვაშლივით,  
მაისის დილა ბანაობს ნისლში,  
ველები თითქოს ზღვაა გაშლილი  
და ზედ დაღვრილი სხივების სისხლი.  
ყანები დილით არის სოველი  
სადაც ცეცხლს აჩენს ვხედავ ტრაქტორი,  
ემშვიდობება ხარებს სოფელი  
უკანასკნელი ცხელი ამბორით.  
მას შემდეგ ხუთი დღეც არ იქნება  
მე ქართლისაკენ გავყევ მეგობარს  
და ეს გრძნობები მაღალ ზვირთებად  
ეხლაც სხეულში სწრაფად მიგორავს.

— : —

კონსტანტინე გამსახურდია.

## დიდი იოსები.

(ნოველა).

### I

მეკურტნე იოსებმა საოცარი რამ ნახა თავისუფლების მოედანზე 25-თებერვლის ღამეს;

თვალები ქალაქის საათის ციფერბლატს მისჩერებოდენ. ელოდენ ათასების თვალები: როდის დაჰკრავდა თორმეტჯერ.

მოედანზე იდგა იოსებიც, შეინძრა უშველებელი საათის ისარი, თითქოს სული აიდგაო, მარჯვნივ გადაჩოჩდა, თორმეტჯერ დარეკა.

დამფრთხალი მოქალაქეები საშინელი ამბების მოლოდინში იყვნენ.

ძლივს იდგა ფეხზე მეკურტნე იოსები, მაგრამ შინ წასვლაზე არ ფიქრობდა.

იალონიდან ეზიდებოდა მაფრაშებს, ხურჯინებს, ჩემოდნებს, ხან სადგურზე, ხანაც ქუჩიდან— ქუჩაზე, რადგანაც ქალაქში გაუგონარი ამბები ხდებოდა. აიყარნენ მცხოვრებნი, ნაყარ ფუტკარსავით აზუზუნდენ, აბორგდენ, აზვავდენ; ერთი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა თავისი ბარგით, ნაწილიც მოუსვენრად ქუჩებში დაწრიალებდა.

აღარ იცოდენ სად შეენახათ პატიოსანი თვლები, ნოხები, ფაიფურის ჭურჭლები და საგანძური.

ვისაც გული საგულეს ჰქონდა, ვისაც დასაკარგავი არაფერი გააჩნდა, მოედანზე იდგა რაღაც საოცარისა და არნახულის მოლოდინში.

ლიმლამებდა ზანტი ფიქრი დიდი იოსების დაქანცულ თავში: ავლაბარში წასულიყო „მოდი ნახეში“ ერთი თხლაშო არაყი გადაეკრა, მაგრამ მოედნამდის მოსულს ყოველი დუქანი მძიმე ურდულეებით დაგმანული დახვდა და ეს ანელებდა სურვილს.

ქუჩაში სინათლემ იკლო, საბუღრაოდ გამოსულ მოზვრებივით ღმუოდენ მაფრაშებით, სკივრებით დატვირთული ავტომობილები,

ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდენ ერთი მეორეს, ჩაბლაოდენ ყურში ბნელ ღამეს და გარბოდენ.

გარბოდენ ბარგით დატვირთული ჟოკიანი, ბლუზიანი მოქალაქეები, მიჰქროდენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგეობის აივნებს, ყაყანებდა როგორც პილატეს მოლოდინე ებრაელები დიდ პარასკევს

ფუნქულორის სადგურის ლიფლიფებიც ჩაჰქრა. მამა დავითი გაშავდა, გაიზარდა ჰარპუნნაკრავი გველეშაპივით გაიბერა და გვერდით მოუწვა დაბნელებულ ქალაქს.

ლანდები დალასლასებდენ მოედანზე. ჩოჩქოლი იზრდებოდა. კამათი ყვირილით თავდებოდა.

იოსებმა მოედნის კიდეზე მოგროვილ მოზრდილ ჯგუფს მიაყურა:

— ...გაიქცა და მემრე როგორ, აბა რა ეგონა მაგ ნაცარქეჩიას, ბაგრატიონების გვირგვინი არც ისე იოლი სატარებელია, მოშაინესავით ეუბნებოდა შავბოხბოხიანი კაცი შავბლუზიანს, რომელსაც ჟოკეჟს ქუდი ყურებამდის ჩამოფხატოდა.

ტყვიამფრქვევის სისწრაფით აჭარტალებდა, ეს პატარა ტანმორჩილი კაცუნა ენას, უამრავ უცხო სიტყვებს პირიდან ისროდა.

მობეზრდა იოსებს ეს უნიათო ლაქლაქი, გაერიდა მოყაყანეთ, ტრამვაის კიოსკისკენ გაემართა, მუხლები დაესვენებინა სადმე.

გადაეღობა წინ მაღალი, ქურქიანი კაცი. დაადო მხარზე ხელი მეკურტნეს უცნობმა და ასე უთხრა ათრთოლებულმა: „წამოდი ერთ წუთში გეთაყვა“.

მეკურტნემ პასუხიც ვერ მოასწრო, თეთრი, ბანჯგვლიანი ლავერაკის სეტერი მივარდა იოსებს.

დიდი იოსები დაფრთხა, განზე გადაუხტა ძაღლს.

— ნუ გეშინია არ გიკბენს.

აშოშმანებდა ძაღლის პატრონი.

— არ შემიძლია შენი ჭირიმე, მთელი ღამე ცოფიანი ძაღლივით დავრბივარ, პური არ მიჭამია ჯერაც.

უცნობი არ მოეშვა:

— მთელი სოლოლაკი შემოვიარე, მუშა ვერსად ვიშოვნე, როგორმე წამომყევი, მე თავათ გიშველი...

მღუმარედ მიჰყვნენ სოლოლაკის ქუჩას უცნობი და დიდი იოსები.

მგზავრები იძულებული გახდნენ ფილაქანზე გადასულიყვნენ რადგანაც კოჯრიდან მომავალი მძიმე არტილერია შემოეხეჩათ.



ლაფში ამოსვრილ, დაგლეჯილ ფარაჯებში გამოფუთული ჯარისკაცები უწესრიგოდ მისდევდნენ ზარბაზნებს.

უცნობმა სთხოვა იოსებს ცოტა მოეცადა, ხელმეორედ გადავიდა ქვაფენილზე, არტილერიისტების ერთ ჯგუფს გზა გადაუღობა.

— საიდან ძმებო?

— სოღანლულიდან.

— გენერალი მ... მოიხსნა?

— მოიხსნა. იმ მხარეზე გვარდიელებმა მთლად გააშიშვლეს ფრონტი.

— სროლა რომ ისმოდა შეგვიანებით?

— ეს ჩვენ ვიყავით. იუნკერები სროლით ვიხვედით უკან.

— წითლები?

— ალბად ლილოს გზით შემოვლენ ქალაქში.

უცნობი დადუმდა, მუნჯური სალამი გააყოლა მიმავალთ.

მისწყდა ზარბაზნების ბორბლების რახრახი.

სადღაც კარი მიაჩნებოდა. კუთხეში ბავშვი სტიროდა.

შორიდან მილიციელის სტვენა ისმოდა.

ისევ დაყრუვდა ქუჩა.

ორი მგზავრის ფეხის ხმა და ისმოდა დაცარიელებულ ფილაქანზე.

\* \*  
\*

ივ. მაჩაბლისა და № 1 ქუჩების კუთხეში ავტომობილი იდგა. მობოტორი დამდულრულივით თუხთუხებდა. მანქანა ცახცახებდა, გასაქცევად გამზადებულ ყაჩაღსავით აბრიალებდა ღველფიან თვალებს.

უცნობმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო.



ელექტროთი გაჩაღებულ კიბეებზე, ბატონურ ბინაში შეიყვანა დიდი იოსები.

შუა დარბაზში უწესრიგოდ ეყარნენ გახსნილი ზანდუკები, მაფრაშები, ხელჩემოდნები.

ლიცლიცით ბანაობდა რძისფერი ელექტროს შუქი განიერ კედლის სარკეებში.

თმაგაწეწილი, ნამტირალეები ქალები ფეხმორთხმული უსხდნენ ვაშკარანებს.

ფერწასული, სქელთეძოიანი დიასახლისი ფერადი თუნუქით მოქედელ უშველებელ ზანდუკში ალაგებდა საოჯახო ნივთებს. ალაგებდა, სტენიდა, ზოგს ისევ იღებდა, განზე აწყობდა, ზოგსაც გაშტერებულ თვალებს მიაქცევდა.



ტანისამოსებით, საცვლებით დატვირთული მსახური ქალი ვერ ასდიოდა ნივთების გამოტანას ოთახებიდან, ხელში აჩეჩებდა პატრონს; იგიც ალაგებდა, ფორიაქობდა, სწუხდა და ნერვიულობდა.

უფრო მეტად შფოთავდა ქურქიანი კაცი. ჯიბეებში ხელი ჩაეყო. აჩქარებდა ჩამლაგებლებს და სარგადაყლაპულივით დაწრიალებდა განიერ დარბაზში.

— იჩქარეთ, იჩქარეთ, ლილოზე გადმოსულან და ყველაფერი აქ დაგრჩებათ.

— დედა სერვიზი რომ დაგვაფიწყდა!

დაიძახა ფერწასულმა, მოკლე კაბიანმა გოგონამ.

— ჩემი ცხენი?

ჭირვეულობდა შავგვრემანი ბიჭუნა, ცრემლები ნიკაპთან ესკვნებოდა.

— ნუ სტირი ჩიტუნა გენაცვალოს დედიკო და ბათომში გიყიდი აჩუ—აჩუს. სამაგიეროდ შენს მტრედს წამოიყვანს მათიკო.

მუშა იოსები ამ ბუდე აფორიქებული ხალხის სიბრაღულმა აიტანა.

მაჩვივით დაჩოჩავდა გაშლილ ზანდუკებს შორის, აუჩქარებლად, გულმოდგინეთ შველოდა ჩალაგებაში.

მის გარდა ყველა შფოთავდა, ყველას ხელი უთრთოდა, მუხლი ეკვეთებოდა.

დამსწრენი ხედავდნენ, რომ იოსები, რომელიც არა ერთხელ ენახათ დღე და ღამ ქუჩის კუთხეში ატუზული, მეტად კეთილი და დარბაისელი ვინმემ უნდა ყოფილიყო.

და რალაც უხილავი ფლუიდების სახით ვრცელდებოდა მათზედაც სულიერი სიმშვიდე, ამ ლომივით სხვილთავიან, პანტასავით სახე მჭკნარ მოხუცის მხერიდან რომ იფრქვევოდა.

მონუსხულივით შესცქეროდა აფორიქებული ოჯახის მამა დიდი იოსების დინჯი ღუმლით მეტყველ სახეს, გაურანდავ გრანიტივით ცივსა და მოუხეშავს.

ეხარბებოდა გულის სიღრმეში ამ საცოდავი მეკურტნის უებარი სიღარბაისლე.

არზმანებული სიმდიდრე გადიოდა ამ წუთში იოსების ხელში.

და სახლის პატრონს ერთხელაც არ შეუნიშნავს, რომ მეკურტნეს რომელიმე ნივთისათვის თვალი გაეყოლებინა შურისგან არეული, სჩანდა უცნობი იყო მისთვის ყოველივე თვალბოროტება.

ბრძნულ ღუმელს ინახავდა დიდი იოსები ყოველი შეხედვაზე, თითქოს ბერი ყოფილიყო დაყუდებული, ამ ქვეყნიური დიდებისამაო ბრწყინვალეების გულცივად მჭვრეტელი.

იღებდა ხელში იოსები და მახლობელ ყუთებში, სკივრებში და ზანდუკებში ალაგებდა:

შინდისფერ არშიებით შემკულ, მოოქროვილ ფაიფურის ჭურჭლებს.

წერწეტ ვეცხლის შანდლებს, ვეცხლისავე ბადიებს, პატიოსანი თვალებით შემკულ ხატებს, სპარსული მინანქარით მოჩითულ ლარნაკებს, ოქროს ზარნიშით მოოქვილ ქამარ ხანჯლებს, პაწია ყუთებს, მოსხო ბრილიანტების ბეჭდებით, მანიაკებით და ოქროს სამაჯურებით სავსეს.

ძვირფას ბეწვეულს, ტანისამოსს, ბუხარის და სპარსეთის კრაველებს, ქართულ თასებს, ვერცხლის თუნგებსა და აზარფეშებს.

ოჯახის მამა ლენცოფა ნაჭამსავით დარბოდა ოთახებში, აღებდა კარადებს, მაგიდების უჯრებს, როცა გასაღებს ვერ პოულობდა ჩაქუჩით ამტვრევდა მათ.

გლეჯდა კედლებიდან უშველებელ თექის ნოხებს და ფარდაგებს.

მსახურებს გამოჰქონდათ ოთახებიდან ქვესაგებელი, ჭურჭელი, ხელთუნგები, სპილენძის ტასტები, ვერცხლის რახტიანი უნაგირები, გოლიათური, ვერცხლით შეზიკული ჯიხვის ყანწები, ვერცხლით მოჭედილი ლეკურები, სატევრები, ხავერდგადაკრული მუთაქები და ურთხელის ჩარჩოებში ჩასმული სურათები.

დიდი დარბაზის კედლები ისე გააშიშვლეს თითქოს მდიდრულად მორთულ ბინაში მტერს უნავარდნიაო.

მხოლოდ ერთ კუთხეში ყოველივე უცვლელად დარჩენილიყო.

მეკურტნე გაოცებული შესცქეროდა კაცის სიმაღლე ფოლადის რაინდის ფიტულს.

შორიდან მთლად ცოცხალ კაცსა ჰგავდა იგი.

თავზე უშველებელი ჯაჭვის ჩაბალახი ეხურა.

ტანზე ფოლადის კინენი, პოლოტიკნი, საბარკლენი, საბეჭურნი, სამხრენი, სამაჯურნი, ხელებზე ფოლადის თათმანები, ფეხზე ფოლადისავე საბარკლენი, ფოლადისავე ფეხსამოსელი.

ორივე ხელი დაბჯენოდა უშველებელ ხმალს.

შორიდან ვერ ხედავდა იოსები სახე თუ უჩნდა ამ ფოლადის კაცს, თვალები თუ ჰქონდა, ან სუნთქვა თუ ედგა.

ამის მსგავსი არაფერი ენახა. ხან და ხან იჭვიც ებადებოდა: ვინ იცის ეგებ ცოცხალი კაცია.

მაგრამ თუ ცოცხალია რატომ არ იძვრის, რატომ არას ამბობს და ასეთ წუთში, როცა ყველა აფორიაქებულია, იგი არც ხმას იღებს და არც თუ სადმე წასვლად ემზადება.

შავრემანმა ბიჭუნამ კახამ შენიშნა რომ იოსები ვერ გამო-  
კვეულიყო: ცოცხალი იყო ეს კუთხეში მდგარი რაინდი, თუ აქ რაი-  
მე ჯადოქრობა უნდა ყოფილიყო?

მეკურტნემ დაიჭირა კახას ირონიული ღიმილი, თვალი აარიდა  
ფოლადის რაინდს. შეეშინდა დამცინებენო და მის გასწვრივ კედ-  
ლებზე გადაიტანა მზერა.

კედელზე ფარი ეკიდა უშველებელი. მის გარშემო ძველებური  
გაზნეჭილი ხმლები, დაჟანგული დამბაჩები, წათი, შუბი, წერაქცული,  
საპირეები, საფალიები და ისეთივე ჯაჭვის ჩაბალახი, როგორც  
თავზე ეხურა ფოლადის რაინდს.

ორი ავტომობილი ერთიც საბარგო კიდემდის დატვირთვა იო-  
სებმა. მაფრაშებისა და ზანდუკების ყორედან მხოლოდ თავები და  
მხრები უჩანდათ მგზავრებს.

როცა ავტომობილები შუილით დაიძრენ, იოსებმა თვალი მოჰ-  
კრა, თუ როგორ ფარფატებდა პატარა კახას ხელში თეთრი მტრე-  
დის ხუნდი.

და დიდხანს უწიოდა ყურში ბავშვის ნალვლიანი ძახილი: ბერ-  
ბერა, მშვიდობით ბერბერა...

## II

ბერბერას ღვედი დიდ იოსებს შეაჩეჩა ხელში სახლის პატ-  
რონმა.

სოლოლაკის ქუჩამდის მისულმა ახლა შეამჩნია, ზრდილი ცხო-  
ველი დაღონებული მიჰყვებოდა უკან თავის ახალ პატრონს.

მეკურტნე ყოყმანობდა; სად წაეყვანა ეს ბატონური ძაღლი,  
ამ უპურობის დროს.

ავტომობილები ცოფიანი მგლებივით დაჰქროდენ ქალაქში. ფი-  
ლაქანებზე ხალხი ირეოდა. სასახლის ქუჩაზე მომავალ ქალსა და  
კაცს იჩქითად წამოცდათ სიტყვები მთრთოლვარე და უეცარი: „მო-  
დიან, წითლები ლილოზე გადმოსულან. მთავრობა დაუჭერიათ,  
მოდიაან“.

ამ სიტყვებმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინეს იო-  
სებზე.

მის გვერდით ავტომ დაიღმუფლა, ფარაჯაზე ტალახი შეაშ-  
ხეფა. სადღაც ვიტრინა ჩაღეწეს. უეცარი ყვირილი გაისმა დაბნე-  
ლებულ ქუჩაზე. ისევ ინათა, დაიბლავლა ავტომ, დაიზუზუნა და ისევ  
გაჰქრა

ვილაციები გარბოდენ, სხვები უკან მისდევდენ.

ქართული კლუბის შესავალთან პირისპირ შეეხეჩა იოსები ორს, თოფებზე დაყრდნობილ ლანდს.

ერთს ცალი მკლავი ბინტით ჩამოეკიდა.

დაკოდილი სტიროდა. რალაცას უთხრობდა ამხანაგს.

ათოვდა სახეში იოსებს. სისველე ფეხებში ჩადგომოდა. უსაზმნო ფიქრებს გადაყოლილი გამოერკვია, ავლაბრისკენ წასვლა განიზრახა. აკანკალებული ბერბერა შეებრაღა.

ფილაქანზე დაწინაურებელი ძალღი სოლოლაკისაკენ მიიწევდა. მიუშვა საბელი ბერბერას და მიჰყვა კვალ და კვალ უპატრონო ცხოველს.

ძალღი ნაჩვევ კიბეზე აუძღვა თავის ახალ პატრონს, თათით შეალო კარი და დიდ დარბაზში შეიყვანა მეკურტნე იოსები. იატაკზე დაგლეჯილი კარტონები, ქალღღის ნაგლეჯები და უწესრიგოდ მიყრილ მოყრილი ავეჯი დაუხვდა იოსებს.

მათ შორის ბრძოლის ველზე მიტოვებულ მერანივით იდგა პატარა კახას სადავე მიშვებული ხის ცხენი.

იოსებმა ცალი ხელი თვალზე მიიჩრდილა დარბაზის კუთხისაკენ გაიხედა.

იდგა მდუმარედ ფოლადის რაინდი და ნაღვლიანად გასცქეროდა გაპარტახებულ, მიტოვებულ ოჯახს.

დიდი იოსები მიუახლოვდა სახეზე ჩამოფხატული ჯაჭვის ჩაბლახი გადაუწია.

იცნო ფიტული. ხელი შეახო ფოლადის სამოსს,

მთელი საჭურველი ჯოხზე იყო ჩამოცმული.

გაოცებული ათვარიერებდა დიდი იოსები ამ საოცარ ფიტულს, რომლისთვისაც არც ერთ ზანდუკში ადგილი არ აღმოჩნდა მის პატრონს.

ახლა კახას ცხენს მიუბრუნდა იოსები. ბავშვივით გაიხარა რადგანაც იგი ძლიერ მიაგავდა ნამდვილ ცხენს. ხელი გადუსვა გავაზე და გაიღიმა.

მის თვალწინ ცხენის პატრონის ცრემლიანმა სახემ იელვა და ეს ღიმილი დაუხშო საოცარმა სიბრაულმა.

საბელი მოხსნა ბერბერას იოსებმა. თავად შუა დარბაზში იდგა და გასცქეროდა თუ როგორ დასუნსულებდა ძალღი ოთახებში, წკმუტუნებდა, და ეძებდა თავის პატრონებს.

მთელი ბინა შემოიარა იოსებმა. ყოველ კუთხეს ყურადღებით ათვალერებდა. სამზარეულოში ონკანიდან წყალი მოჟონავდა, უშვე-

ლებელმა კედლის საათმა სამჯერ დარეკა. ახლაც ისე გულმოდგინეთ უცქეროდა დიდი იოსები ამ საათს, როგორც წელან თავისუფლების მოედანზე დიდი ისარის გადაქანებას და ამ მყუდროებაში საოცარი მარტოობა და მოწყენა შეიქნა.

სასადილო ოთახში გაშლილი სუფრა დარჩენოდათ.

იოსებმა დაჰხედა საჭმელს. მაგრამ მოეკრძალა ნაოხარის ჭამას, ისევ სადარბაზოში გავიდა. ხავერდ გადაკრულ შეზღონზე წამოწვა.

მთელი თავის სიცოცხლეში პირველად დაწვა იგი ასეთ ზამბარებიან რბილ საწოლზე, მაგრამ დაქანცულის თვალს ძილი მაინც არ ეკარებოდა.

შესცქეროდა დიდი იოსები საოცრად მოლაპლაპე ელექტროს ლაუსტრას. ამ უშველებელი სინათლის ფლუიდებმა რაღაც უმიზეზო, გამოურკვეველი სიხარული გააღვიძა მის გულში და დიდი იოსების გონება უნებლიედ იმათ მიწვდა, ვინც ორიოდ საათის წინ ვაითა და ვიშით დასტოვეს ეს საუცხოვო ბინა.

ატკინა თვალი სინათლემ მწოლარეს.

დიდმა იოსებმა თვალები დახუჭა და ხედავს იგი საოცარ, ლილისფერ რკალებს, რკალები იზრდებიან, განიერდებიან, არეში ჰქრებიან და მათ ნაცვლად ყომრალი და სინგურის ფერი ბურთულები ცეკვავენ ჰაერში.

ნელი ფეხის ხმა მოესმა, წამოიწია იოსებმა. ეს ბერბერა მისულისკენ ახლოს.

— ბერბერა, მოდი ჩემთან შე საცოდავო. შეესიტყვა იოსები პირუტყვს.

ჩასცქეროდა იგი ლამაზ ბეწვიან ცხოველს ქარვისფერ თვალებში. ბერბერაც ისეთი გონივრული გამომეტყველებით შეჰყურებდა შეზღონზე მწოლარეს, თითქოს საცაა ენას აიდგამსო.

ხელს უსვამდა დიდი იოსები ბერბერას ნაპენტი მატყლივით რბილსა და კრიალა ბეწვს და მის ხსოვნაში ჩაიარა უჯიშო, ქეციან, დამშეულ, გაბოროტებულ ძაღლების ლეგეონმა, რომელნიც ათასობით ენახა მას რაჭასა და ქალაქში.

არც ერთ მათგანს არა ჰგავდა ბერბერა.

ძაღლმა თათი მკლავზე დაადო და დიდმა იოსებმა ეს ამოიკითხა თავაზიანი პირუტყვის თაფლისფერ თვალებში:

ჩემა პატრონებმა დაუკითხავად დამაგდეს, ამაგი არ დამიფარეს და ახლა შენა ხარ ჩემი მფარველი და მეგობარი.

ამ ლამეს, როცა ზოგიერთ გულგახეთქილი გარბოდა რატომღაც დიდი იოსებიც განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა თავის მიუ-

საფრობას და მარტობას. და ასეთ მძიმე წუთებში ბერბერას მოა-  
ლერსება რაღაც განუსაზღვრელი სინაზით ავსებდა მის სულს.

კიდევაც რომ გარკვეული საფრთხე მდგარიყო მის წინაშე, სად  
წასულიყო? ოცდაათი წელი ატარებდა თავის კურტანს ამ ქალაქში  
ყოველი კუთხე მისთვის ნაცნობი იყო და სანუკველი. ამ სიბერეში  
სად გაქცეულიყო?

რაჭაში აღარაფერი დარჩენოდა. მის ძმის შვილებს არც კი  
ეპიტნავებოდათ მისი დანახვა, არა ერთხელ შეეცადნენ ლენჩად გა-  
მოეცხადებინათ და ფარდაგის ოდენა მიწის ნაჭერი წაეგლიჯათ მი-  
სთვის.

მეკურტნე იოსებს გულის სიღრმეში ჩაწვეთებული ჰქონდა,  
რომ ბოლშევიკები მუშებს არას ერჩიან, წინააღმდეგ საუკეთესო სა-  
ხლებს მათ დაურიგებენ. ამ ფიქრებში გართულმა ჩასთვლიმა.

ეზმანა დიდ იოსებს:

ფოთის ბოლოში მუშაობდა იგი. შავი ქვით გემებს ტვირთავდა.

მოადგა ნაპირს უშველებელი გემი.

გაირჭო პირში გემის უფროსმა უზარმაზარი თუნუქის საყვირი  
და იძახის: იოსებ ქველიძე.

წამოდგა ტფილისელი მეკურტნე მეორე იოსებ ქველიძე და მია-  
შურა გემის უფროსს.

ბრაზმა აიტანა დიდი იოსები, რომ მისმა სეხნიამ და თანამო-  
გვარემ აქაც მოსდია. ტფილისში აკი დაარქვეს მას მეკურტნეებმა,  
ამ მეორე იოსებ ქველიძისაგან გასარჩევად, დიდი იოსები. წამოიჭრა  
დიდი იოსები გაარღვია წრე, გვერდით ამოუდგა მეორე იოსებ  
ქველიძეს, თავისი ახმახი, ბრეგე ტანით დაჩრდილა იგი და ეუბნე-  
ბა გემის უფროსს: ეს მე ვარ იოსებ ქველიძე დიდ იოსებად წოდე-  
ბული.

— თუ შენა ხარ დიდი იოსები ეუბნება გემის უფროსი, გა-  
დააგდე შენი კურტანი და აჰა მთელი გემი თუთუნი ჩამოგიტანე.

სიხარულისაგან მუხლები უკანკალებს დიდ იოსებს. გემის ტრა-  
პი ტორტმანობს მის ფეხებს ქვეშ.

ერთბაშად რაღაც ტკრციალმა გამოაღვიძა. წამოდგა. თვალები  
მოიფშენიტა, ბერბერა აღარსად იყო.

დიდი იოსები უქუდოდ გამოვიდა ქუჩაზე.

არსაიდან ჩქამი.

ტელეგრაფის ბოძებს აზუზუნებდა ქარი.

თავისუფლების მოედანზე ორიოდვე ავტომობილი ყვინთავდა.  
რუსთველის პროსპექტზე უკუქცეულ ჯარის ნაწილები უწესრიგოდ  
მილოლავდნენ.

დამარცხებულთა ეშელონები ერთი მეორეს მოსდევდენ. თავჩაქინდრული ოფიცრები უღიმღამოდა ისხდენ ცხენებზე ჯარისკაცებს მიუძღვებოდენ.

სთვლემდა სარკმელ გამოღამებული მთავრობის სასახლე, სასახლის ნაძენარში მოუსვენრად ბორგავდენ, ყრანტალებდენ ყორნები.

მელანქონურად ჟღურტულებდენ შადრევანები, უზუნდარის მოცეკვავე ქალსავით არხევდა ქარი ზეტყაორცნილ შადრევანის ღეროს. ფარაჯიანი ლანდები დალოლავდენ მიტოვებულ ხეივნებში. (იმ ღამეს დაჰკლეს ვილაც გარეწარებმა, სასახლის ბაღში, უკანასნელი გედი).

პლახანოვის ქუჩაზე გვარდიელთა ეშელონები უკვე ფილაქანებზე გადმოსულიყვენ, ჩოჩქოლით, ლაშლაშით მოსდებოდენ ქუჩებს:

ოქრო მჭედლის მაღაზიას მოსახვევში ამტვრევდა გახულიგნებული ბრბო.

ძველი მთავრობა გაიქცა, ახალი არსად სჩანდა.

ცხადია ამ შუამთავრობის დროს ცარცვის კვირა დაიწყება გაიფიქრა დიდმა იოსებმა.

მთელი თავისი სიცოცხლე პატიოსანი ოფლით მონაპოვარ პურსა სჭამდა დიდი იოსები.

არასოდეს სხვის საკუთრებისკენ ხელი არ გადასცდენია.

ამ ღამემ საოცრად ააფორიაქა მისი წარმოდგენა.

აგუნასავით დაბობლავდა მოხუცი ამბოხებულ ბრბოში.

ხან ერთ ჯგუფს აეკიდებოდა, ხან მეორეს — იოლი საშოვარის საძიებლად აღტყინებული.

ქსენიევის ქუჩის კუთხიდან შავებით მოსილი, ორ ჯოხზე დაყრდნობილი, უსინათლო დედაკაცი მოდიოდა, გულამომჯდარი სლოკინებდა, უმწეოდ უშტერებდა ელექტროთი გაჩაღებულ ქუჩას მარლია თეთრ თვლებს: „გამქურდეს, მიშველეთ მიშველეთ“. ბუტბუტებდა სასო წარკვეთილი, მაგრამ ვის ეცალა გასაკითხავად.

(იმ ღამეს მეც ტფილისის ქუჩებზე დავწროილებდი. ის მოხუცი მეც შემხვდა, გერმანელების ეკლესიის ეზოში, ბაღის სკამზე დაესვა ვილაცას. იჯდა და სტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა საქართველოდსას, საკუთარი შვილებისმ იერ გაძარცულსა და ყელ გამოჭრილს).

ბნელ მოსახვევში ორი კაცი დასჭიდებოდა უშველებელ მაუდის გორგალს.

ერთი თავს ჩაბლაუჭებოდა, მეორე ბოლოს.

გამოიარა თოფიანმა, იშიშველა ხანჯალი, შუაში გაუჭრა.



ორივენი სიბნელეში გაჰქრენ.

პატარა, დაბალ ფანჯრიან სახლში ვილაცები კარებს ამტვრევდენ, ეზოდან ქალის კივილი ისმოდა.

სადგურის ქუჩაზე რკინისგზის სამმართველოს ფანჯრები ჩაელეწნათ. საწერი მანქანები და ტელეფონები გამოჰქონდათ.

იოსებმა თვალი მოჰკრა ერთი ციდა ბიჭი უშველებელ თუნუქის ყუთს მოათრევდა.

ფულის სალარო თუა, გაიფიქრა იოსებმა თავისი ყავარჯენი მოიმარჯვა და გამოუდგა.

ქურდმა ნადავლი ვერ ზიდა, ფილაქანზე გაუვარდა.

იოსები დასწვდა ნადავლს, თუნუქის ძუფი ახადა.

დანჯღრეული საწერი მანქანა შერჩა ხელში.

გულგაცრუებულმა ფეხი ჰკრა მანქანას, აჟღერიალდა თუნუქი, შეკრთა და გაეცალა.

სადგურის ქუჩაზე ბავშების სათამაშოების მაღაზიის ვიტრინა ვილაცას შეემტვრია, ვიტრინაში გამოფენილი ცხენები, ეტლები, დათვები, პაწია ორთქლმავლები, ფერადი ბუშტები, ნავეები, ურმები, სარებუსო დაფები, ყოველივე ხელუხლებლათ დაეტოვებინათ, ყველაფერი რიგზე ელაგა, მხოლოდ ორი დედოფალა პირაღმა წაქცეულიყო (ასე ეცემიან ხოლმე პროვინციელი სცენის მოყვარე ქალები ტრაგიულ როლებში, თავის მოწამვლის შემდეგ). ხოლო მესამე, მოზრდილი ტიკინა ფეხზე იდგა, ცივი, უაზრო შუშის თვალებით წაქცეულებს მისჩერებოდა. დიდმა იოსებმა თვალი ჰკიდა რამოდენიმე დაჭმუჭმნილ ათას მანეთიანს, მიმოიხედა გარს, და იჩქითად ჯიბეში ჩაიდო. ისევ სადგურს მიაშურა.

მაფრაშებით, ტომრებით, ხელბარგით დატვირთული ადამიანების მასსა გარს შემორტყმოდა სადგურს. კარებში ჰედვა იყო.

ვისაც კარებში შესვლის იმედი დაჰკარგოდა ფანჯრებს ამტვრევდა. ტალანის შესავალთან რალაც მოებლანდა ფეხებში იოსებს.

იცნო ბერბერა.

— მინისტრის ცოლი ვარ. ვაგონი, ახლავე ვაგონი. უყვიროდა უფროსს, თოჯნასავით მრგვალი, დაბალი დედაკაცი, თან ნერვიულად ფეხებს აბაკუნებდა.

გადმოდგა წითელ ქუდიანი კაცი: — მოქალაქენო მცხეთასთან მტრის ჯარმა ლიანდაგი გადასჭრა და მატარებელი არ იქნება.

ამ ქადაგებას ქალების ისტერიული კივილი მოჰყვა.

ისე მოაწია დიდმა იოსებმა თავისუფლების მოედანს, რომ არც ეტლი და არც ადამიანი არ შეხვედრია.

აქა იქ უპატრონო ძაღლები დალოლავენ.

შიში გართხმულიყო ქალაქზე. სიბნელე და მღუმარება დაუფლებოდა მიტოვებულ ქუჩებს.

მიჰყვა იოსები ისევ ბერბერას.

ბინაში შესვლის უმაღლესი კარები, ფანჯრების დარაბები მაგრად დაგმანა.

ამ წუთში დამყარებული მყუდროება დაარღვია ხმამალა ფიქრმა. დიდი იოსების თავში უეცრად გაიხსნა იღუმალი კვანძი: უპატრონო ბინა უნდა მიესაკუთრებინა.

ეს ფრიად იოლი უნდა ყოფილიყო.

ახალი მთავრობა საიდან გაიგებდა რომ მეკურტნე იოსებმა სხვისი ბინა მიისაკუთრა. სახლის პატრონი ისე დაშინებულყო, იყო,—იგი ქალაქში ვერ გამოჩნდებოდა.

ქვედა სართულიც მიტოვებული იყო.

პირაღმა იწვა დიდი იოსები შეზღონგზე, ტკბილს ოცნებას ეძლეოდა. არასოდეს გამოეცადა იოსებ ქველიძეს საკუთარი სახლის სიყვარული.

დღეიდან მის ცხოვრებას ახალი მიმართება უნდა მიეღო. ამ სატიალე კურტანს თავიდან მოიცილებდა, ბინას გააქირავებდა, მარტო ავეჯი რომ გაეყიდა, რამოდენიმე წელს ესეც ეყოფოდა.

ახლა, კედლის საათები, სამზარეულოს ჭურჭელი, განიერ ჩარჩოებში ჩასმული სურათები, ხავერდის პორტიერები, კარადები, მაგიდები.

და ამ საგნებმა მწკრივად ჩაიარეს მის თვალწინ.

ენიშნა დიდ იოსებს თუთუნით გატენილი გემის ამბავი.

უცნაურმა სიხარულმა აანთო მისი მიმქრალი სულის ოდნავ მბუტბავი პატრუქი.

\* \*  
\*

ერთხელ უდაბურ ეწერში ვნადირობდი გაზაფხულის პირზე.

აპრილის მზე ბულრაობდა საქსონურ ფაიფურის ცადაქნილზე ცა ნადირის დევნამ.

მწყუროდა, მცხელოდა. საგრილობელი მენატრებოდა. გარშემო მხოლოდ ჩიგვნარები იყო და ჯაგი.

ვიარე, ვიარე, ვიარე—მუხას მივადექი ასწლოვანს.

აქ გამივლია ოდესღაც, მუხას შტოები შემოძარცვოდა.

აქ ყორნები მინახავს შემოხიზნული, ან წეროები, სამხრეთს მიმფრინავი, სულს რომ ითქვამდენ გამხმარ შტოებზე.

ახლა ეს მუხა ამწვანებულიყო გაზაფხულზე. მწვანე ყლორტები  
ალაგ ალაგ ამოსვლოდა.

გაზაფხულს გამოეგლიჯა სიკვდილის ხელიდან ბებერი მუხა.

ასე აპირებდა უკანასკნელად აყვავებას დიდი იოსების მკენარი  
ცხოვრება.

სისხამ დილაზე ფეხზე იდგა დიდი იოსები. დიდი დარბაზი და-  
გავა. გამოღებული ყუთები ისევ თავთავიანთ ალაგას შეაწყო. ღიად  
მიტოვებულ შკაფებში შეადგა მაგიდებზე დარჩენილი ჭურჭლები.

კედლებიდან ჩამოგლეჯილი სურათები, იატაკზე მიყრილ მოყ-  
რილი ისევ კედლებზე დაჰკიდა.

ავეჯი მიალაგა. დარჩენილი სუფრის საფენები მაგიდებზე გა-  
დაათარა. სამზარეულოშიც წესრიგი დაამყარა.

ჩაი აიღულა, კარადიდან პური და ყველი გამოიტანა, ბერბერას  
შეაძლია პურის ნატეხი, მაგრამ განებივრებულმა ცხოველმა არ იკა-  
დრა პურის ჭამა.

გაახსენდა იოსებს, რომ ერთი კარადი გაუხსნელი დარჩა. ადგა  
გასაღები ვერ იპოვნა. შეამტვრია კარი.

ფათახი, მოძველებული ჩოხა—ახალუხი და სადა ქამარ-ხანჯა-  
ლი, ვერცხლის ტარიანი დანა-ჩანგლები, ვერცხლის ბადიები და კოვ-  
ზები იპოვნა ქვედა განჯინაში.

მოიზმანა ჩოხა, საუცხოვოდ მოერგო. თავზე ქარვისფერი ბო-  
ხობი დაიხურა. დადიოდენ იოსები და ბერბერა განიერ კედლის სარ-  
კეების წინ.

რითი არ ჰგავდა მიხაკის ფერ ჩოხაში გამოწყობილი დიდი  
იოსები, მამა მისის მეზატონეს როსტომ წერეთელს. მასსაც სწო-  
რედ ასეთი ჩოხა ეცვა. თეთრი მეძებარი გვერდს უმშვენებდა.

მთელი საათები ტრიალებდა სარკის წინ.

ამ ბატონურმა დარბაზებმა, ამ საუცხოვო ავეჯმა, ბრჭყვიალა  
ლავუსტრებმა, ხავერდის პორტიერებმა, აზნაურულმა ჩოხა-ახალოხმა,  
მონადირე ძაღლმა, აუარებელი სიმდიდრის დაუფლებამ დიდი იოსე-  
ბი წამიერად გადაქმნა, რადგან საგნები გაბატონდენ მასზე.

## V

მეორე დღეს ბებუთოვის ქუჩაზე მობარბაცებდა მთვრალი იო-  
სები. აკაკი წერთლის ქუჩიდან გამოვიდა სამი, კიდემდის დატვირთუ-  
ლი საბარგო ავტომობილი. ამ ავტომობილებში უწესრიგოდ ეყარა  
საოჯახო კარადები, მაგიდები, საწოლები, ქვაბები, თავმოკრული  
ტომრები.

წინ და უკან ჩიქილიანი, ლეჩაქიანი დედაკაცები და ბავშვები  
ისხდნენ, სამიც კარმაგი კაცი.

ქუჩის მოსახვევთან მეწინავე ავტომობილს ბორბალი მოსძვრა.  
დაზიანებულ მანქანას ქუჩის ბავშვები გარს შემოერთყენ. უყურებდნენ  
თუ როგორ ქოქავდა შოფერი ახალ ბორბალს.

იოსებიც შეუერთდა ცნობისმოყვარეთა ბრბოს.

იოსებმა გელარ დამალა თავისი ცნობისმოყვარეობა.

მგზავრები ამბობდნენ: ჩვენ ნაძალადეველი მუშები ვართ და ქა-  
ლაქის აღმასკომმა სოლოლაკში ბინა მიგვიჩინაო.

ოცი ოჯახი დღეის სწორს უნდა გადმოვიდნენ, ამბობდა ხნიე-  
რი, ჩიქილიანი დედაკაცი.

დიდ იოსებს ენიშნა, მაგრამ არ ერწმუნა ნაამბობს. როცა შე-  
კეთებული და დაქოქილი ავტომობილი დაიძრა, იგი ძუნძულით მის-  
დევდა ავტომობილებს, მტვერი ეყრებოდა სახეში, ბერბერა წინა  
ავტომობილს მიეწია, უყეფდა კოფოზე მჯდართ.

ავტომობილი ბებუთოვის ქუჩაზე შესდგა.

როცა ავტომობილები შეაჩერეს და ბარგის გადმოტვირთვა  
დაიწყო, დიდი იოსები შესდგა, უყურებს: არ ზმანებული სასწაულის  
ახდომას.

მუშები სოლოლაკში? წინად ასეთ ჩამოგლეჯილ ხალხს არც კი  
გააჭაჭანებდნენ ამ უბანში.

როცა რაჭველი მეკურტნეები ქუჩის კუთხეში მოგროვდებოდნენ  
რუსი „გოროდოვო“ გამოივლიდა და მოყაყანე რაჭველებს დაშლიდა.

ახლა? ახლა ბურჟუებს სოლოლაკიდან მიერეკებიან, მუშები  
სოლოლაკში მოჰყავთ, ეს არ იყო 25 თებერვლის ღამეს განაგონი  
ჭორი, დიდი იოსები თავად ჰხედავდა ამ ამბავს, ეს ჩამოგლეჯილი  
მგზავრები, ამ ავტომობილში უწესრიგოდ ჩაზვინული საოჯახო ხელ-  
საწყო, ხელშესახები და სარწმუნო საბუთი იყო.

ჩიქილიანი ქალი ახალგაზრდამ ჩამოიყვანა ავტომობილიდან,  
იგი მთვრალივით დაბარბაცდა და მის გვერდით უქმად მდგარ იო-  
სებს ეუბნება:

— ეჲ მუშა, გვიშველე ბარგის გადაზიდვაზე.

დიდმა იოსებმა ოდნავ ითაკილა ასეთი მომართვა, ერთი ნა-  
ბიჯი უკან გადასდგა.

— მე მუშა აღარა ვარ.

წაილულლულა.

თქვენ შეგიძლიათ განუსაზღვრელი სიხარული გიღვივოდეთ გულში, თქვენ შეგიძლიათ განუსაზღვრელი ბედნიერება გულჩათხრობილად ატაროთ თქვენ სულში, მაგრამ ვიდრე ამ სიხარულს, ამ ბედნიერებას მეორე ადამიანს არ უწილადებთ, სავსებით თქვენ ვერ შეიცნობთ მათ.

ასე, დიდი იოსები წელში გამოასწორა ჩიქილიან დედაკაცისთვის ნათქვამმა სიტყვებმა. ვილაცამ ხომ იცოდა ამ ქვეყანაზე, რომ იგი უკვე მეკურტნე არ იყო, ვილაცას ხომ სჯეროდა, რომ იგიც ისევე ბედნიერია, როგორც მრავალი ათასი კარგად ჩაცმული, თავაწეული მგზავრი ამ ქუჩებზე და ამ ქალაქში.

აკი ამბობდენ: თვადები გაგლახდებიან და გლახები გათავადდებიანო.

ასრულდა კიდევაც, როგორც წინანდელი ღამის სიზმარი. მხოლოდ ეს იყო ვერავისთვის გაემხილა ამ უცნაური ბედნიერების ამბავი. უშველებელმა საიდუმლომ კიდემდის აავსო მისი სული.

საოცარ ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა დიდი იოსები. ქუჩაში ვერ ბედავდა ბატონური ჩოხა ახალოხით გამოსვლას. ისიც კმაროდა რომ ქუჩის ბიჭები ირონიული ღიმილით გააყოლებდენ თვალს ჯიშთან მეძებართან მოსეირნე ძონძებიან მეკურტნეს. ყველას ეუცხოვებოდა რომ ასეთი ღამაში ზრდილი ძალღი ჩამოგლეჯილ კაცთან დასეირნობდა.

ისწავლა იოსებმა საკომისიო მალაზიისა და „დეზერტიკის“ გზები. ხან ერთ ნივთს გამოიჩრიდა ილიაში, ხან მეორეს, ყიდიდა, აგირავებდა, მერმე „ქოსებს“ ჩაუვლიდა ან „მოდის ნახეში“ ისადილებდა. მთვრალი შინ ბრუნდებოდა, ჩოხა ახალუხს ჩაიცვამდა, ყალიონს გააჩაღებდა და ბატონურ ბუხარს მიუჯდებოდა და მისი ფანტაზია ცად ამწვდენ კოშკებს აგებდა. სახმელოში არ ეტეოდა მისი ოცნება მაშინ და სამხეოს მოედებოდა.

ეს ყოველივე სიმთვრალეში.

გამოფხიზლებულს მოსვენება დაეკარგა.

სადღა იყო მისი აუმღვრეველი ძილი, ის ტკბილი სიზმრები ავლაბრის სარდაში რომ ენახა.

როგორც კი შეღამდებოდა, ყოველ ფეხის ხმაზე, კარების დარახუნებაზე პორტფელიანი კაცის დანახვაზე ავტომობილის გუზგუზზე შემკრთალი წამოვარდებოდა.

ეხლა შეიგნო იოსებმა თუ რატომ კანკალებდენ შიშისაგან 25

თებერვლის ღამეს ქუჩებში მოლაშლაშე მოქალაქენი—როცა გაისმოდა სიტყვები მრისხანე და დამზაფრელი:

„მოდიან, მოდიან“.

ეზარებოდა დაძინება, რადგან მარჩობელა გველივით შემოადგებოდენ კოშმარული სიზმრები.

მოესმოდა სიზმარში „ჩეკის“ ავტომობილის შემზარავი გუგუნი.

ჩექმების ხმაურობა, ვილაცყეები კარებს აწვებოდენ, არახუნებდენ. ოფლში იწურებოდა მძინარე, ყვირილი ეწადა ხმა არ ყოფნიდა.

ყოველ შემთხვევისთვის პასუხი დამზადებული ჰქონდა.

თუ მის ბინას ახალი მთავრობა მოაგნებდა, შეევედრებოდა რაკი ბინა მან გადაარჩინა. მისთვის ეჩუქნათ იგი. ყოველშემთხვევაში სასჯელს აიცდენდა. ბებუთოვის ქუჩაზე შეხვედრილ მუშების მაგალითი მხნეობის ჰმატებდა მას.

ძლიერ ფრთხილობდა ბერბერა.

მცირეოდენი ჩამი ჩუმიც არ გამოეპარებოდა. ეს არ მოსწონდა მხოლოდ რომ ბერბერა იოსების ჩვეულებრივ კერძს არ კადრულობდა.

## VII

საღამოს გვიანამდის დარჩა დიდი იოსები „ნოეს ვაზში“. აქ რაჭველი მეთორნეები და მებარგეები ქეიფობდენ. სწორედ აქ გაანდო ერთ მეკურტნეს მთვრალმა თავისი სიხარული, რადგან საიდუმლო ველარ დაიტია მარტოხელას გულმა. მეთორნე ქიტესამ გააფრთხილა: ბევრი, ბათუმში გაქცეულთაგანი ახალმა მთავრობამ შეირიგა და შესაძლოა შენი სახლის პატრონიც დაბრუნდეს და ფრთხილად იყავიო. ურჩევდა ქიტესა.

ეს სიტყვები გესლივით ჩაენტხა გულში. ადრე დასტოვა სუფრა და შინ დაბრუნდდა.

იმ ღამეს დაიწყო ყოველივე უბედობის სათავე.

მთვრალს გაუხდელად დასძინებოდა შეზღონგზე.

ეზმანა დიდ იოსებს: კუთხეში მდგარ ფოლადის რაინდს სული აედგა, საშინელის ხრილით, ფარხმალის და ჯაჭვის პერანგის ჩხარუნით მოდიოდა ხმალ გაშვიშლებული შავნილაბიანი კაცი.

დაუირდაპირდა იოსებს და გადიძროო ჯაჭვის ჩაბალახი რათა ეჩვენებინა საზარელი პირი და გაცოფებული თვალები და ამ თვალეებით იცნო დიდმა იოსებმა ბინის პატრონი, მუხლები მოეკეცა, შეევედრა ეპატივებინა მისთვის, რომ მან, დიდმა იოსებმა, რომელსაც

არასოდეს სხვისი ნაოფლარი არ მიუთვისებია, მაგრამ ხელსაყრელ მდგომარეობისგან წაქეზებულმა სხვისი ქონება გაფლანგა. მაგრამ ამაო იყო მისი ცრემლში ამოვლებული სინანული. მოისმა საზარელი ფოლადის ტკცრიალი, და ავარვალებულმა ხმალმა შუაგააპო დიდი იოსების თავის ქალა.

შეშფოთებული წამოვარდა იოსები, თავის ტყაპუქს დაავლო ხელი, მეორე ოთახს შეეხიზნა და მაგრად გადარაზა კარები.

მაგრამ თვალს მილულავდა თუ არა, ისევ ფოლადის წკრიალი, კოშმარულ სიზმარში და ცხად ზრანებაში მოესმოდა გამუდმებული აბჯრის ჩხრიალი და რახტის ცემა, ყურის წამლები ფოლადის ჟღერა.

ნაშუალამევს როგორც კი მყუდროება ჩამოვარდებოდა, მთელი ბინა გაიქარჩხებოდა.

საოცარი იყო: ბერბერას არ ესმოდა ყოველივე ეს.

ერთ ღამეს. ძალზე მთვრალი დაბრუნდა იოსები. თვალი წა-  
ლულა თუ არა, ისევ ახმაურდა გაქარჩხული სახლი, არაკუნდა, აკა-  
კუნდა მთელი ავეჯი, ფანჯრებმა ზრიალი მორთეს. მერმე გაისმა ფო-  
ლადის აბჯარის რაჩხუნი, ხმლის წკრიალი.

თავზარდაცემული დიდი იოსები ეზოში გავარდა და პირველ  
სართულზე ახლად დამდგარი მდგუმრები ფეხზე დააყენა.

რევოლვერებით შეიარაღებული სტუდენტები, სანთლებით ხელ-  
ში შემოუძღვენ იოსებს დიდ დარბაზში. აქ მან ყოველივე უამბომათ,  
რაც მე ავსწერე ზემოდ —

ფოლადის რაინდი გაუნძრევლად იდგა თავის კუთხეში, რო-  
გორც სიცელქისათვის დასჯილი ბაღლი.

მეორე დღეს კომუნალური მეურნეობის აგენტმა ჩაიბარა ოქ-  
მით დიდი იოსების ნადავლი ბინა, ხოლო თავათ დიდი იოსები მე-  
ეზოვედ დააყენეს.

(დასასრული შემდეგში)

## კოფია საბჭოთა დღეებზე

### სიმღერა მეორე

#### I

ტოკავს სტამბოლი, იზნიქება ფილაქანები,  
ავტობუსებიც გრიალებენ ტყვიაზე მალი;  
ბრწყინავს ქალაქი ელექტრონის ატორტმანებით,  
შორს მეჩეთებიც დგას მღუმარედ ქუში და მწყრალი.  
თითქოს აღარ სჩანს ძველი ყოფა ნაყაჩაღარი,  
ბრწყინავს სტამბოლი ქუჩებით და ელვის ღვედებით...  
ბასფორის ყურეც დაფენილა ვერცხლის ჭაღარით,  
და როცა სცურავს შიგ გაბედვით რკინის გედები-  
მხნედ გრიალებენ რესპუბლიკის ვილაეტები.

#### II

უკვე აღარ გრძნობს ხონთქრის ძალას, ოსმალოს წელი,  
არც დიდ მყრობელი ერებისა ტრიალებს ხმალი,  
თითქო დაეცა მეხი ბომონს ქვის გამკვეთელი,  
და გაეკიდა ყველა კერპებს სამუმის ალი.  
გრგვინავს ქალაქი, მოაქვთ განძი შორით აქლემებს,  
თვალი, ოქსინო ყალამქარი ნაქსოვი მკედით,  
და სად მეფობა ჰქონდა უწინ ინგლისის გემებს,  
დღეს იქ ქემალმა გაბედულად აღმართა ქედი-  
და გამოჰკვეთა ბრძოლებისგან ანგორის ბედი.

#### III

ანატოლია! რა კარგია ცხოვრება ძმური,  
და ხალიჩებით შეფერილი დიდებულება  
მე, სხვა ამგვარი მხარე ტკბილი, აღმოსავლური,  
ფფიცავ შენს სახელს, ქვეყანაზე არ მეგულება.



შენი სტამბოლი, თითქო არის აღმასის რიყე,  
თან ბოსფორზედაც პრიალებენ უცხო მინები...  
ოცნების მხარევე, თითქო ჩემი სამშობლო იყვე,-  
ისე მახარებს შენი წინსვლა დინჯი დინებით,  
შემოფრქვეულო ფორთოხლით და მანდარინებით.

#### IV

ანატოლია! შენ მეტისაც იყავი ღირსი,  
მაგრამ არ მომწონს, რომ კვლავ ცხოვრობ ძველი წესებით,  
როცა ყულების ნაოფლარით იზრდება ქისა  
და ჰარამხანის მარგალიტებს ეალერსები.  
დრო გადაიარს, გაიღვიძებს ეხლა მძინარე,  
და გადატყდება ეს ცხოვრება, როგორც რომ რკინა,  
შრომის კერაზე დაინთება ცეცხლი მძვინვარე-  
და საბჭოების მზე, რომელიც ხალხისთვის ბრწყინავს,  
თავს დაგადგება საოცნებო შვების გვირგვინად.

#### V

მაგრამ მანამდე დე, იძვეროს, როგორც ძვერს გული  
და გუგუნებდეს საგალობელს შენი ხმა ნელი.  
დღეს ორბელიძეც, შენს კალთებს ქვეშ შეფარებული,  
თავის მხარეზე გულნატკენი შენგან ხსნას ელის.  
თუმცა მას სევდა გაეფანტა, მაგრამ იმედი  
მან ძველი მაინც სულ ერთავად ვერ დაიბრუნა,  
და ეხლა ასე, გაბზარული ცბიერი ბედი,  
როცა მას წელში დრეკს სიმძიმით, რკალივით ღუნავს-  
სულიც ეცემა და თან კარგავს სიცოცხლის უნარს.

#### VI

აღარ გამართლდა ის იმედი, რომ უცხო მხარე,  
შეიფარებდა თითქო ბედით დაცემულს მძიმედ,  
აქ, ეხლა, გული ორბელიძის უფრო სცემს მწარედ,  
და სისხლის ცრემლით თავს დასტირის დაღუპულ იმედს.  
ხედავს, რომ გაჰქრა, და ვერასდროს აწ ვერ იხილავს,  
ის ოქროს წუთებს—სიჭაბუკის ბრგეს და ბრიალას,

ვერც თავის მშობელ მხარის ძვირფას ნამიან დილას,  
ვერც თავის სახლ-კარს, დატოვებულს ოხერ-ტიალად,  
და გულში ძგერით კვლავ იღვიძებს ძველი იარა.

## VII

ერთი წელია, რაც შენს კალთებს აფარებს თავსა,  
ანატოლია! ჩვენი გმირი გულის ღრმა წყლულით,  
მაგრამ ხომ ხედავ, გაცოფებულ აფთარის მზგავსად,  
შენთანც არ არის გულის წვისგან მოსვენებული.  
აღარ იზიდავს მომხიბვლელი ეგ შენი სახე,  
და არც ტკბილი ხმა უცნაური შენი ორღელის,  
რადგან ბოღმებით სავსე კაცის გულს ვერ მოაღხენს,  
ვერც დიდებული მზის ცხოველი ოქროს ნათელი,  
და ვერც ბგერები ტკბილ ხმოვანი საგალობელის.

## VIII

ხედავს რომ შეცდა, როცა დაგმო მშობელი მხარე,  
სადაც მან დაჰყო ჭაბუკობის დღენი ბრიალა,  
და ეხლა ასე, გარიყული—ნაღველით მწარით,  
უცხო მხარეში უნდა ჩაკვდეს ოხერ-ტიალად.  
ვინ მოიგონებს ხსოვნას ასე დაღუპულ კაცის,  
როს მწუხარება არავის არ განგმირავს მწველი,  
თავის წესს, როცა შეასრულებს ბუნება მკაცრი-  
არ ეყოლება მას არც კუბოს გამცილებელი,  
არც მესაფლავე, რომ გაუჭრას სამარე ბნელი.

## IX

და ორბელიძე ამ ფიქრებით დამძიმებული  
ველარ იამებს ამაყ გულზე მომდგარ იარას.  
ხედავს, რომ მისი იდეები დღე-მოკლებული,  
ხალხმა უარყო და ოდნავ არ გაიზიარა.  
მაგრამ მას უფრო ეს აწუხებს, მშობელ მხარეში-  
იქნებ არავინ იხსენიებს პატივისცემით,  
თითქო თოვლივით დადნა ის ამ იღუნალ ხმებში,  
და გულს როდესაც გრძნობათ ღელვა მოაწვა ცემით-  
მან თვალებიდან გადმოღვარა მღუღარე ცრემლი.

## X

დიდი ხანია სამშობლოზე დაშორებული.  
ის უცხოეთში, რომ ატარებს სევდიან დღეებს,  
ცხოვრების ფსკერზე მყის მოექცა, დაეცა სულით,  
აღარ შორდება დღე და ღამე თახსირ-კაფეებს.  
აქ, მას უზნეო მეგობრებიც გაუჩნდენ მყისვე,  
და მათთან ეხლა ორბელიძეც ერთობა, ლხინობს,  
მას არც წარსული და არც აწმყო არ ახალისებს,  
ყოველი აზრი სიცოცხლისა ჩაუკლა ღვინომ,  
და გულიც ეხლა დაემზგავსა უგრძნობელ ტინობს.

## XI

აი, ის ეხლა კაფეში ზის, თვალამღვრეული  
გაშლილ სუფრაზე, მეგობრებთან ატარებს ღამეს,  
მაგრამ აქაც კი, ამ ლხინშიაც ღრმად ჩათრეული-  
გრძნობს ოდნავ მაინც, მეწყერივით მოწოლილ შხამებს.  
კაფე კი ტოკავს... აქ ფოქსტროტი, იქით ჯაზბანდი,  
ელექტროს შუქი, კარნავალი მუსიკის ხმაზე,  
აქ ორბელიძე წამოდგება ფეხზე ვით ლანდი,  
ხელში უჭირავს ორთომელი პირამდე სავსე-  
და სიტყვას ამბობს გულდაწყვეტით საკუთარ თავზე:

### 1

ასწით ჭიქები, ჯერი ჩემია,  
და ნუ იქნებით ამჟამად მკაცრი:  
ამხანაგებო გთხოვთ მოისმინოთ,  
გულის ტკივილი ქართველი კაცის.

### 2

დიდი ხანია, რაც მე თქვენს შორის,  
ოდნავ გავფანტე ნალველი მწარე.  
მე დამავიწყდა ძველი ბოღმები,  
მე დამავიწყდა სამშობლო მხარეც.

3

დღეს, აქ თქვენს ჰერ ქვეშ შეფარებული  
აღარ ეხსნება პირი იარებს...  
ღვინო, ქალები და თქვენი ძმობა  
გგრძნობ, რომ დასეტყვილ გრძნობებს მიამებს.

4

რაც არ უნდა სთქვან ზნეობის ხალხმა,  
და რაც არ ლესონ მახვილი მწველი,  
ჩვენ მეგობრებო, სხვა დროს თუ არა,  
ამ სუფრაზე ხომ მაინც ვართ წრფელი!

5

რამ შეამზადა ეს არემარე?  
ან რამ მოზიდა ალერსის ხმები?  
ამხანაგებო, დავსცალოთ მალე  
ბადაგით სავსე ცისფერი რქები.

6

ერთი დრო მაინც არავის რჩება,  
არც ერთნაირი ყოფილა დღენი,  
დაასხით ღვინო, გულს დაგვიამებს  
სტამბოლის ვაზის შერბეთის წვენი.

7

თქვენ ნუ სწუხდებით, თუ ვნაღვლიანობ,  
ჩემს გულში მუდამ სევდები ჩქეფდა;  
თუ მაქვს წაიღეთ ხალისის ცეცხლი,  
მწუხარება კი დარჩეს კვლავ ჩემთან.

8

არა ვარ ღირსი თქვენი ძმობისა,  
მაგრამ რაც არი დე დარჩეს ასე,  
მე თქვენზე წრფელი ამხანაგები,  
არც კი მყოლია ცხოვრების გზაზე.

დაასხით ღვინო ამხანაგებო,  
ჭიქები სავსე დასცალეთ მალე,  
დავლევთ თუ არა, ხომ სულერთია,  
ოდესმე მაინც დავხუჭავთ თვალებს.

და რაღას ფიქრობთ, მწუხარე გულსა  
ნუ მოარიდებთ გიშერის თვალებს,  
დღეს ერთი იყოს და თუ ეს წავა,  
სულ ერთი არის, სხვა მოვა ხვალე.

სამარის კარზეც არ მიგვაცილებს,  
ვინც რომ გვიყვარდა ოდესღაც მეტად,  
ჩვენთვის ცაც ალბად არ მოიღუშვის,  
და არც თმა გაშლით გვიტირებს ღედა.

ამხანაგებო, მწუხარე დღეთა,  
ცხოვრების ფსკერზე მცურავნო მუდამ,  
თუმცა არა გვაქვს სალხინოთ თავი,  
მაინც სიმღერა დავსძახოთ უნდა!

გთხოვ, მექამანჩევ, ერთი სიმღერა  
შესწირო ამ ჩვენს მწუხარე ძმობას,  
რომ გული სევდით გაყინვებული,  
აქ მაინც ერთხელ მიეცეს თრობას!

## XII

და იქვე მყოფმა მექამანჩემც გაბედულებით  
თავის ქამანჩა—ააკვნესა სიმების ჟღერით,  
მან სულ დაიპყრო მოყურადე ყველა გულები,

ორბელიძესაც გულზე მოხვდა ჰანგები მწველი...  
ხან ხმას ასწევდა, ხან კვლავ ისე მინაზდებოდა,  
რომ სიბრალოე ეტყობოდა მიბნედილ თვალებს.  
მან დიდი ხერხით გადმოსცა ის, რაც გულში ჰქონდა,  
შორით აფრქვევდა საოცნებო დამატკობ ალერსს-  
და ეს ჰანგები ქამანჩისა იპყრობდა არეს.

1

ბაღში ბევრია თეთრი სუმბული,  
ნაზი სოსანიც ცისფერი გულით,  
მაგრამ მითხარი ჩემო მებაღევ,  
რატომ არ გალობს შენი ბუღბული?

2

შროშანიც ნამით შემოფრქვეული  
აღარ ცქრიალებს ხავერდის გულით,  
მაგრამ მითხარი, ჩემო მებაღევ,  
რატომ არ გალობს შენი ბუღბული?

3

ნიაგმაც ხომ სულ შესწყვიტა ქროლა,  
ვარდისაც დაზრა ქობა და გული...  
მებაღევ, მითხარ, შენი ბუღბული,  
რომელ ბაღშია დატყვევებული?

4

შენს პატრონს ბევრი ფარჩა აქვს დიბის,  
ოქსინოც ოქროთ ამოქარგული...  
მაგრამ მებაღევ, სად დაიკარგა,  
რატომ არ გალობს შენი ბუღბული?

5

ხონთქარის კარზე ბაღია დიდი,  
და იმის ვარდებს ვხედავ შენ უვლი,  
მაგრამ მითხარი, ჩემო მებაღევ,  
რატომ არ გალობს დღეს იქ ბუღბული?

მზე სამხრეთისა, სისხლს ამღელვარებს,  
და ამ სისხლისგან ეღვარებს გულიც,  
მაგრამ მებაღევ, ვერ გამიგია,  
რატომ არ გალობს შენი ბულბული.

შენს ბაღში ბევრი ვარდი დამზრალა,  
და ტყვეობაში კვდება ბულბული,  
ხონთქარის კარზე, ჩემო მებაღევ,  
რატომ არსდროს არ ხარობს გული?

ყველაზე უფრო შენ გახალისებს  
ამ ბაღში ერთი ლერწამი რგული...  
მაგრამ სად არის, ჩემო მებაღევ,  
რატომ არსად სჩანს შენი ბულბული?

აი, ეს ვარდიც ხომ ხედავ ხმება,  
გაჰყვითლებია ყლორტიც და გულიც,  
ჩქარა მებაღევ, გაუშვი ბაღში  
თორემ მოკვდება შენი ბულბული!

### XIII

შესწყდა სიმთ ჟღერა; მექამანჩე აღარ სჩანს არსად,  
კაფე კი მღვრიე ბურანებით ზანზარებს ისევ,  
აქ, ორბელიძე გაცოფებულ აფთარის მზგავსად,  
ზეზე წამოხტა და განშორდა მეგობრებს მყისვე.  
მან მიატოვა ყველაფერი... და ეხლა ასე  
გულდაწყვეტილი სამუდამოდ მოსწყდა იმ არეს,—  
სადაც მას ჰქონდა ტკბილ შერბეთით ჭიჭები სავსე,  
მნათობის ნაცვლად მოელვარე ელექტროს მთვარე,  
და უნუგეშო ყოფნის დღენი მარად ჟამს მწარე.

#### XIV

იგი დარწმუნდა, რომ დაეცა მებრძოლი სულით,  
რომ იდეებიც გაეფანტა დარდისგან შორით,  
და ეხლა ასე დაცემულ კაცს გატეხილ გულით,  
აღარ უღირდა კვლავ დარჩენა მეგობრებს შორის.  
მან დაივიწყა მათი კვალი, მაცთუნებელი,  
თავის ოთახში ჩაიკეტა რომ იყოს წყნარად;  
მაგრამ გულს აქაც შემოაწვა ბოღმები ძველი,  
და ჩვენი გმირიც უკანასკნელ ტანჯვების ფარად,  
სწერს თავის დედას აცრემლებულ სევდიან ბარათს...

#### XV

„ძვირფასო დედავ, უტკბილესო დედათა შორის,  
ჩემო იმედო და კეთილი გრძნობებით სავსევ,  
დღეს შენი შვილი გარიყული ბედისგან შორით,  
უკანასკნელად ილუპება ცხოვრების გზაზე.  
ნუ შემიბრალებ... რაც ვიყავი აღარ ვარ ისა,  
ნურც ცრემლებს დაღვრი პირმშოსათვის ძვირფასო ცხარეს  
მე ხომ ეს გული არ მქონია გათლილა ქვისა,—  
რომ მწუხარება დამეძლია, არ მეგრძნო მწარედ,  
როცა დავშორდი სამუდამოდ სამშობლო მხარეს.

#### XVI

„ნურც მაპატიებ იმ ცოდვასაც, როდესაც წაველ  
დაგტოვე ობლად და „მშვიდობით“ არ მითქვამს თბილი,  
ეხლა ვგრძნობ ყველა ამ შეცდომებს და ვწუხვარ მწარედ,  
რომ მე ჩემს გვარში შევიქენი უღირსი შვილი.  
დიახ, უღირსი... რად დავმალო წახდენა ჩემი,  
ხომ სულერთია, აღარ თბება გრძნობები ცივი...  
და ეხლა, როგორც მშფოთვარ ზღვაზე გამტყდარი გემი-  
დაძირვის დროს, რომ საშინელი მძაფრი ხმით კივის,  
ისე მეც გაცნობ უკანასკნელ დაცემის ტკივილს.

#### XVII

„ნუ ატირდები შეიკავე გრძნობები თბილი,  
მოსაგონებლად თუნდაც წამხდარ უბედურ დღისა,



რომელიც უნდა ყოფილიყო ჩემთვის კეთილი,  
და რომლის ხილვა სიცოცხლეში მე არ მეღირსა.  
დავთმობ ყველაფერს, ამ გრძნობებსაც გათელილს მწარედ,  
თვითონ ჩემს ჩაკსაც დავივიწყებ ნალველით მწველით,  
მაგრამ ძვირფასო, მწარე დარჩა სამშობლო მხარე,  
რომლის დაკარგვამ მე ცხოვრება წამართვა მთელი-  
და გაიშალა მის არეზე ბოდმები ბნელი.

### XVIII

„ძვირფასო დედავ, უცხოეთში ველარ სძლებს გული,  
უმიზნო ყოფამ სიყრმის დღენი გაატიალა.  
და ეხლა ასე, მშობელ მხარეს მონატრებული-  
უცხო მხარეში ვიკარგები ოხერ-ტიალად.  
არც იმედია, რომ ოდესმე გაიხსნას ბედი,  
დავბრუნდე ისევ, ვნახო ჩემი მშობელი მხარე,  
სადაც მე უწინ არ ვიყავი მოხრილი ქედით,  
და არც ნალველი მაწუხებდა გესლივით ცხარე-  
ეხლა რომ გულში ქარბუქივით ტრიალებს მწარედ.

### XIX

მუდამ ვსტირი მე, დღე და ღამე, ამ უბედობას,  
დავდნი ცრემლებად, არც კაცი ვარ, არც ნატამალი.  
იქნებ ძვირფასო, ამ მოწოლილ უიმედობას,  
შენ მოუნახო სადმე მაინც, რამე წამალი.  
თორემ ეს არი ღამის თავიც მოვიკლა მალე.  
როცა ვგრძნობ, ტანჯვას, ჩემს არავინ არ იზიარებს.  
რა ვუყო მითხარ, ამ მოწოლილ შხამის იარებს,  
როცა ხუგეშიც არავისი გულს არ მიამებს,-  
და რომ ვერ ვხედავ ვერსად კაცურ ადამიანებს!

### XX

თითქო ეს არი, ტკივილები იყოს შხამისა,  
გულს ისე ჩხვლეტენ კაეშანის მწველი ნემსები...  
წუთებს მოწყენის და საშინელს ფიქრებს ღამისას,  
ვით კარგ მეგობარს, ისე ტკბილათ ვეაღერსები.  
მაგრამ ესეც ხომ ბურანია, წამებით სავსე,

უბედობაზე და სევდაზეც ათასჯერ მწარე.  
და რომც დავეცე ამ ცხოვრების მოლიპულ გზაზე,  
შენ ერთი მაინც მწამს დააფრქვევ ცრემლების ღვარებს,  
უცხო მხარეში დაღუპულის სამარის კარებს.

## XXI

ძვირფასო დედავ, უტკილესო დედათა შორის,  
ტკბილო იმედო და სიკეთის აზრებით სავსევ,  
დღეს შენი შვილი გარიყული ბედისგან შორით-  
გულის ტკივილით იღუპება ცხოვრების გზაზე.  
უკანასკნელი წერილია, შემდეგ ამისა,  
ვინ იცის ჩემო, სად წამიყვანს ცხოვრება კრული;  
ჩემი სიკვდილიც რომ შეიტყო მოსისხლე მტრისგან,  
ნურც გეწყინება, ნურც იტირებ, გამაგრდი გულით,-  
ერთხელ ხომ მაინც კაცმა უნდა დალიოს სული!..

## XXII

რა გააგზავნა ეს წერილი, გავიდა გარედ,  
აქაც გულს ისევ შემოაწვა სევდის ჩქერები.  
იდგა სალამო და ბოსფორის ელავდა არეც,  
მუდამ მშფოთვარე გემებით და კრეისერებით.  
ჩვენს გმირს აქ ოდნავ აუჩუყდა მდულარე გული.  
ხედავს რომ ყველგან მას თან დასდევს წამება ავი,  
და მთელი მისი სიჭაბუკე აღუღებული-  
როცა ატირდა მდულარების ცრემლებით მწვავეით,-  
მან გადასწყვიტა, რომ ხვალ დილით მოიკლას თავი.

## XXIII

და ამ აზრით ის, ბინისაკენ წამს გაეშურა  
რომ აღასრულოს საშინელი, განზრახვა ბნელი.  
მკერდში უტოკავს გული, როგორც ღუზღუზა ქურა,  
ცხარე ფოლადის მდულარებით გამაღნობელი.  
მისვლისთანავე მან რევოლვერს დასტაცა ხელი.  
თავს იგი არ სთვლის სიცოცხლის და ამ ქვეყნის ღირსად;  
უკვე მზად არის ჩაწყობილი ტყვიები ცხელი,  
რომ სულ დააქროს კაეშანი მწუხარებისა —  
მაგრამ დახეთ ბედს! ამ დროს წერილს ღებულობს ძმისგან...

## XXIV

„ძმაო, ძვირფასო, ბედწამხდარო სიყრმიდანვე,  
გულ-გატეხილო წუთი სოფლის მავნებელ შურით,  
მანდ თუ ბოღმების მდინარეში გულს აბანავენ,  
ჩემიც მიიღე ღვიძლი ძმისგან სალაპი ძმური.  
განა არ ვხედავ, რომ დღეს შენი მძიმეა ხვედრი,  
უცხო მხარეში, რომ ვერ ჰპოვე ვერსად სიამე.  
დაგვიწყებია თავის მხარე და სევდა მკვეთრი,  
გულში რომ გიჩენს მწარე წყლულს და მწარე იარებს,  
ამას შემდეგში, ვერც სამშობლო ვერ დაგიაშებს.

## XXV

„დროა დაბრუნდე, მშრომელ მხარეს მიენდე ბედით,  
დღეს შრომის ცაზე, მზეც ოდნავად არ იქუფრება,  
დროა დაბრუნდე, ჩემი ენით ეხლა გაბედვით,  
შენი სამშობლოს მშრომელები გესაუბრება.  
შენ გაახარებ მათ გულს, როცა შეურთდები—  
დიდ მშენებლობას, განახლებულ სამშობლო მხარის,  
სად მხიარულად მუშაობენ ჩვენივე ძმები,  
და ველებია დინამიტით გადანათხარი,—  
რომ დაიმარხოს ჩვენი ქვეყნის წარსული მწარე.

## XXVI

დღეს შენ ამ წარსულს ნულარ სტირი, და ნურც ბნელ წყვილიადს,  
რაც ერთი დაკვრით სამუდამოთ აშორდა არეს.  
ჩვენ უნდა ეხლა ვემსახუროთ შრომის განთიადს,  
და მრავალ წლობით დამონებულ სამშობლო მხარეს.  
დააქრე ყველა ჩირაღდნები წარსულისაკენ,  
და მხოლოდ ერთად-ერთ მომავალს დაუწყე ცქერა,  
ის გადაგიშლის ძმაო ნამდვილ ცხოვრების სარკეს,  
და დაინახავ, რომ საყვარელ სამშობლო კერას  
შრომის ხელები უფრო მტკიცე დულაბით ჰკერავს.

## XXVII

„ძმაო ძვირფასო, უცხოეთში რად უნდა წახდეს,  
გონება, სწავლა და ეს ღონეც ახალგაზრდური,  
როცა ეს ყველა სჭირია შენს საყვარელ მხარეს,—  
სადაც შრომაა ყოველ ფრონტზე გამეფებული.  
ჩაკვდები სადმე, უცხოეთშიც ხომ დაბერდები,  
კაცი-კაცურად მანდ ვერ დაჰყოფ ნათელსა დღესა,  
გაგიმწარდება ცხოვრება და ეს იმედებიც—  
დაემზგავსება გრიგალისგან მოგლეჯილ ხესა —  
რადგან სიხარულ შენ მშობლიურს ვერ იგრძნობს ვერსად.

## XXVIII

„ძმაო ძვირფასო, ჯერ არ არის კიდევ გვიანი,  
და გადასწყვიტე, შენი ხელით ეს ბედიც მყისვე.  
მხარე მშრომელი, უბოროტო, თავაზიანი,  
თავის კალთებს ქვეშ მეგობრულად მიგიღებს ისევ.  
დროა დაბრუნდე, დედაც გელის თვალცრენლიანი,  
შენს წასვლას იგი თავს დასტირის აქამდე ცხარედ,  
დაბრუნდი მეთქი, ჯერ არ არის ძმაო გვიანი,  
ჩამოგშორდება სულ ერთავად ბოღმები მწარე,  
როცა დასეტყვილ გულს გაუხსნი დახურულ კარებს“.

## XXIX

რა წაიკითხა ორბელიძემ წერილი ძმისა,  
თვალეში ცრემლი მოერია, ატოკდა გული.  
შემოეცალა ბურანები და თითქო მყისვე—  
მორჩა ტკივილებს მწუხარებით დასმული წყლული.  
ერთი წამი მას არაფერზე არ შეუცდია—  
მოკრა ბარგი და წამს გავარდა ბინიდან გარედ,  
და მიჰქრის იგი ეხლა, როგორც ყურშუმის ტყვია,—  
აღარ აწუხებს უკვე ძველი ნაღველი მწარე,  
იმ იმედით, რომ ნახავს მალე სამშობლო მხარეს.

— : —

## THE BLACK BOLSHEVIK. 1)

იგი ხშირად ჩამოდიოდა ბოსტონში, თითქმის „საპატიო“ სტუმრად ითვლებოდა. ქალაქის მამები უჩვენებდნენ მას რევოლუციის ბრწყინვალე ძეგლებს: ბეკერ ჰოლს, სად პირველი რევოლუციის გრიგალი ამოვარდა, „ბოსტონელ აგარაკს“, ფინაუელ ჰოლს, სადაც დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელი მოაწერეს, მრავალრიცხოვან სტატუებს ამერიკის რევოლუციის გმირებისას.

იგი ერთი იმათგანი გახლდათ, რომელსაც ქალაქის მამები განსაკუთრებულის ყურადღებით ექცეოდნენ; კმაყოფით აღსავსენი უამბობდნენ ბოსტონელ თეთრებსა და შავებს შორის არსებულ ჰარმონიულ დამოკიდებულების შესახებ, არ ივიწყებდნენ გმირ-ზანგებსაც, რომელთა ხსოვნას დია პატივს სცემენ ბოსტონში.

მაგალითისათვის ვასახელებთ პიტერ სალმს, ყოფილ მონას; პიტერ სალმი ერთი პირველ მსხვერპლთაგანია, ამერიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული, იგი დაიღუპა „სამშობლო“ მიწისათვის ატეხილ ომში.

ქალაქის მამებს ძლიერ უყვარდათ პიტერ სალმის მოგონება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს: ქალაქის მამებს ერთხელაც არ უხსენებიათ, რომ იმ ხანებში როცა პიტერ სალმი ამერიკის განსათავისუფლებლად იბრძოდა, ბოსტონში მცხოვრები თეთრი ამერიკელები გულდასმით განაგრძობდნენ აფრიკიდან მოგვრილი ზანგების—პიტერ სალმის თანამემამულეების—ამერიკაში გაყიდვას. ყველა ერიდებოდა ამ ამბების მოგონებას.

პიტერ სალმი რევოლუციის სამარხში დაკრძალეს და სათანადო ძეგლიც აუგეს.

ბოსტონი მუდამ ზანგების იმედების ნავთსაყუდელად ითვლებოდა.

ფრედერიკ დუგლასი, ცნობილი აბოლიციონისტი (ზანგების გაყიდვის მოწინააღმდეგე), შეუპოვარი დამცველი იყო ზანგების უფლებებისა; იგი ბოსტონში ჩამოსვლის უმაღლეს ზანგების ემანისიპაციისათვის ბრძოლას შეუდგა.

1) შავი ბოლშევიკი.

ბოსტონმა დიდი პატივისცა ფრედერიკ დუგლასს, ხოლო დუგლასმა უკვდავყო თავის მხრით ბოსტონი.

ბოსტონის სახელგანთქმულ შავკანიან მოქალაქეთა სია მარტოოდენ ამ ორი სახელით როდი განისაზღვრება.

მართალია, სალემი და დუგლასი განსაკუთრებული ხოტბის ღირსნი არიან, მაგრამ მათ გარდა კიდევ მრავალმა ზანგმა გაითქვა სახელი და პატივისცემა დაიმსახურა.

ბოსტონში ზანგებს მუდამ სხვა მოქალაქეებთან ათანაბრებდნენ. ბოსტონელებს არასოდეს ახასიათებდა ტრადიციული ცრუმორწმუნოება და სიძულვილი ზანგების მიმართ. ბოსტონის სასტუმროებს და საჯარო დაწესებულებებს მუდამ ღია ჰქონდათ კარები ზანგებისათვის, მათ ისევე ეპყრობოდნენ, როგორც დანარჩენ მოქალაქეებს.

იგი ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა ამგვარ სჯას და თავადაც დარწმუნებული იყო რომ მართლაც და ყოველივე ისევეა, როგორც მას მოუთხოვდნენ.

იგი ბოსტონის სახის მხოლოდ იმ მხარეს ამჩნევდა, საიდანაც ბოსტონი ღიმილს აგებებდა შავკანიანებს; რომელთაც მთელს ამერიკაში გაუგონარი თავდამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა უხდებოდათ.

იგი ბოსტონს ამერიკის თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობის აკვნად სთვლიდა და ჭეშმარიტი ადამიანური კულტურის აუმღვრეველ წყაროდ.

მაგრამ დახეთ, უცებ ყოველივე შეიცვალა.

მან სავსებით სხვაგვარი ბოსტონი დაინახა. შესაძლოა, ეგ იმიტომაც მოხდა, რომ მისი ხედვა უფრო ღრმად ჩასწვდა ხედვის საგანს, სულ სხვა თვალთ დააკვირდა ამ ქალაქს.

ერთბაშად მან უამრავი ახალი რამ გაიგო ბოსტონის შესახებ, ისეთი რამ, რაც წინად არა სცოდნია.

ახალ ინგლისურ შტატებში დღესაც არსებობს მრავალი ველური ცრუმორწმუნეობა, რომელთა აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. მაგალითად: „კუდიანების“ დაწვა.

და აჰა, მან გაიგო, რომ ახალ ინგლისის წმინდა ქალაქი — ბოსტონი, ახალ — ინგლისურ შტატების თავისებური მეკაა, თურმე ეს ქალაქიც ღებულობს „კუდიანების“ დაწვაში მონაწილეობას, ისევე როგორც ახალ-ინგლისის დანარჩენი ქალაქები.

ისიც „აღმოაჩინა“ მან, რომ ბოსტონის სახელგანთქმული გვარების — კებატების და ლოდჯების სიმდიდრე უმეტესად მონებით ვაჭრობიდან იღებს თურმე თავის სათავეს. თურმე ამ მოქალაქეთა

ცოლების, რძლებისა და დების სამკაულებიც შავი მონების გახრწნილი ცხედრების სუნით ყოფილა გიჟდენთილი, მათ სარდაფებში ათასობით არიან დაყრილი ხელფეხშეკრული ზანგები ახალ ბაზრებზე გასაგზავნად დამზადებულნი.

როგორ მოხდა რომ მას ეს დღემდის არ შეუნიშნავს? იგი დღე ნიადაგ ათვალერებდა ჩელსის დიდებული სასახლეების მწკრივებს; ამ მომხიბლველ აგარაკში ზრდილი მილიონერები იტალიელ და პოლონელ ემიგრანტ მუშების ბავშვების ცხედრებზე ადგამდნენ ფეხს, და ცივილიზაციის უდიდესი კომფორტით სტკებოდნენ ყოველივე ამის მიუხედავად.

ამჟამად დაქირავებულ თეთრ მონებს არა ნაკლები სარგებლობა მოაქვთ ამ მილიონერებისათვის, ვიდრე გასაყიდსა და ნასყიდ შავკანიანებს მოჰქონდათ თავის დროს.

სიხარული და მშვიდობა სუფევს ჩელსის აგარაკში, ჟინჯლილივით ლოყაწითელი, მორგვევით მრგვალი ქარხნის ბარონები გულმადლიერნი ოსანას უგალობენ ზეცას.

უწინადაც ენახა მას ბოსტონის ეს ნაწილი, მაგრამ მხოლოდ ახლა შეიცნო იგი ნამდვილი ხედვით.

ამის შემდეგ მან ბოსტონის ის უბნებიც დაათვალიერა სადაც ვიწრო და ბინძურ ქუჩების ნაპირას, მრავალსართულიან ყაზარმულ სახლებში ფეხსაცმელებისა და საქსოვ ქარხნების დაზგებთან მომუშავენი ბინადრობენ.

ეს ულაზათო და ბინძური სახლები ღაღადებდნენ იმ განსხვავების შესახებ, რომელიც ბატონებსა და ყმებს შორის დადებულია დასაბამიდან.

ხამს, ყოველმა კაცმა თავისი ადგილი იცოდეს. შესცქეროდა იგი ამ ბოსტონს, ბინძურსა და საძაგელს, რომელიც ადრე სიყრმიდანვე უმახინჯებს ადამიანებს გონებას და სხეულს. ამგვარი ადამიანები ბოლოს და ბოლოს იძულებით ჰკარგავენ კიდევაც ადამიანურ გამომეტყველებას.

შესცქეროდა ამ უბნებს იგი და თანაც ფიქრობდა: სჩანს ბოსტონის სასაფლაოებზე დაკრძალულ რევოლუციონერების შვილებს დიდიხანია, გაჰქრობიათ მეამბოხე სული სახელგანთქმული წინაპრებისა.

ამერიკაში ხომ დიდი, დიდი ხანია რაც რევოლუცია არ მომხდარა და რევოლუციისათვის დაღუპულთ მაღალი და ხშირი ბალახი ჰფარავს, დავიწყებას მისცემიან რევოლუციის მომხდენნი და მისი ამტეხელნი.

ვის ახსოვს ახლა ამ მხარეში ახალი რევოლუცია?

ზოგი მათგანი „კრული უცხოელია“, დაწყევლილი „დაგო და პოლაკი“—ესენი ბინძური სამხრეთ ევროპიელი გახლავთ. მათზე ამბობენ: თუ ამერიკა არ მოსწონთ უკანვე მიბრძანდნენ იქითკენ, საიდგანაც მოეთრენ. საჭიროა მათი ამერიკანიზაცია.

პოლისმენების ჯოხები მათ ჭკუაზე მოიყვანს.

საერთოდ, უმჯობესია ეს მაწანწალები სავსებით არ გავაჭაჭანოთ ისეთ თავისუფალ ქვეყანაში, როგორცაა ამერიკა.

საამისოდ იმიგრაციის კანონდება უნდა გავაძლიეროთ. რაც უფრო ღმობიერად მოვექცევით ამ გარეწარებს, მით უფრო თავებდდებიან ისინი.

ახლა ამ გარეწარების ბრბომ უნიათო ღრიალი ასტეხა საკკო-სა და ვანცეტის გასამართლების გამო. მათ ხომ ეს სწადიათ: ქვეყანა დაარწმუნონ, ესაო და ამერიკაში კლასობრივი დევნა არსებობსო. არსებითად კი ეს ორი „დაგო“ თავდასხმასა და მკვლელობაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

გარნა გამოძიებამაც არ დაადასტურა, რომ საკკო და ვანცეტი დამნაშავენი იყვნენ? ვთქვათ ამ საქმეებში არ ედოთ მათ წილი, მაგრამ განა ეს ორი მაწანწალა არ ამბობებდა ფეხსაცმელებისა და საქსოვი ქარხნების მუშებს? ისინი არ მოუწოდებდნენ მუშებს გაფიცვებისაკენ? ისინი არ მოითხოვდნენ მუშებისათვის უკეთესი პირობების შექმნას? მაგრამ ერთი ვიკითხოთ, სად არის ამერიკაზე უფრო კარგი პირობები? არა სჯობია რომ მათ გუბერნატორის მასა ჩუხეტის ბიოგრაფია რომ შეისწავლონ?

გუბერნატორი ფულერი—აი ჭეშმარიტად დიდი კაცი ვინ იყო. იგი თავდაპირველად უბრალო დაზვის მუშა იყო, დასასრულ მილიონერი და გუბერნატორი გახდა.

ეს ყოველივე მან მოახერხა იმ დროს, როცა ეს გარეწარი „დაგო“ უკეთეს პირობებზე ღრიალებდა.

ნუთუ შესაძლოა რომ სიმპატიურ ბოსტონელებს ასეთი რამ უწინაც ეთქვათ და მას ეს არც კი გაეგონოს?

ახლა კი ყოველის მხრით ამგვარი საუბარი ესმოდა მას და იძულებული იყო ეს ყოველივე მოესმინა, რადგან იგი ამჟამად საკკო და ვანცეტის საქმისთვის იყო ბოსტონს ჩამოსული და არა მარტო საკკო და ვანცეტისა, არამედ მთელი მუშათა კლასის საქმისათვისაც.

ასეთი ამბები ესმოდა მას ყოველგან, სადაც კი მიდგებოდა.

ეს ესმოდა იმ წუთშიაც, როცა შრომის სასახლეს უახლოვდებოდა. იგი იძულებული იყო ამ საუბრებისათვის ყური ეგდო, რად-



განაც 1924 წლის აგვისტოს 21-ს ბოსტონელებს სხვა არაფერი ჰქონდათ სასაუბრო.

ქებული ბოსტონი ამ ხანებში დაუპირდაპირდა მთელს ქვეყანას, ისტერიული სენტიმენტალობით აღტყინებულს. მაგრამ ერთი ვიკითხოთ ვინ ასტეხა აურზაური ამ ორი „გარდამთიელი მკვლელის“ სახელით?

— ისევ და ისევ გარდამთიელებმა, სხვა ქვეყნიებიდან მოთრეულებმა. „წარჩინებული“ კლასები საკმარისად ერკვევიან მომხდარ ამბებში. მათთვის ბოსტონი ამჟამად კანონიერებისა და მართლმსაჯულების ბასტიონი გახდა.

მართალია ზოგიერთი გზადაბნეული, ლიბერალი ინტელიგენტი არ იშლიდა სენტიმენტალობას და „უცხოელებს“ ამართლებდა. ეს ხომ ინტელიგენტების წესია, მუდამ იქ უნდა ჩასჩარონ ცხვირი, სადაც მათი ალაგი არ არის.

ეს საუბარი გაიგონა მან შრომის სასახლის წინ ყველგან პოლისმენები იდგნენ. ბოსტონი შეიარაღებულ ბანაკს მოგაგონებდათ. ყველა დიდი ამბების მოლოდინში იყო. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა. ადგენდენ მთავრობის სასახლისათვის მისაჩენ პიკეტების სიებს. საღამოს „ტაძარში“ მოსაწყობ მიტინგზე მოლაპარაკე ორატორების სიაც გამოაქვეყნეს.

მან თავისი სახელი და გვარიც ამოიკითხა ამ სიაში.

ვის უნდა „ბოსტონელ აგარაკზე“ ილაპარაკოს. იგი თანხმობას აცხადებს. აინტერესებთ პიკეტსაც თუ წაიყვანს იგი თან? რატომ უნდა იგი მზადაა ყოველივე შესაძლებელი ჰქნას. პიკეტები გამოვიდნენ, სულ 12 კაცი.

ყველა კაპიტოლისკენ გაემართა, რათა მოსალოდნელი სიმხეცის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადონ. მათი მოვალეობა ეს იყო: მთავრობის სასახლის მახლობლად ევლოთ, თუ პოლიციას ხელიდან დაუძვრებოდნენ. პიკეტებს დროშები უნდა ეტარებინათ. დროშებზე ამგვარ წარწერებს წაიკითხავდით: „საკო და ვანცეტი არ უნდა მოკვდნენ“. „რიგიანობა საქმის გადასინჯვას მოითხოვს“. „მასსაჩუხეტსი ჯალათად გახდომას ლამობს“. „გუბერნატორო ფულერ, ჩვენ სამართლიანობას მოვითხოვთ“. „ძირს კლასობრივი სასამართლო“.

ტელეფონმა დაიწკრიალა.

რაა ახალი?

პიკეტები დაატუსაღეს. რამოდენიმე კაცს სცემეს.

ასეთ სურათს წარმოადგენდა ქ. ბოსტონი 1927 წლის აგვისტოს 21-ს.

იგი მეექვსე პიკეტის უფროსად დანიშნეს.

მათი გამოსვლის ჯერი იყო.

ბოსტონის აგარაკზე ავტოთი მიმავალთ გზად უნდა გაეარნათ მთავრობის სასახლესთან.

პიკეტებთან ერთად ავტომობილში მჯდარს, მას ერთადერთი აზრი უტრიალებდა თავში. ყოველი სხვა ფიქრი ამ ერთისაგან იზრდილებოდა. შავკანიანს უკეთ ესმოდა თუ რა ხდებოდა მის გარშემო. იგი თვალებით ზვერაავდა ლინჩის—სასამართლოსთვის განმზადებულ ბრბოს.

არსებითად ეს იგივე იყო მაგრამ ამ შემთხვევაში „ლინჩის“ მსხვერპლი უნდა გამხდარიყო არა ზანგები, არამედ ორი იტალიელი. ბრბო უადრესად აფორიაქებული იყო და ზღვასავით ღელავდა. იგი ბრალდებულთა მოკვდინებას მოითხოვდა.

ნაირად მოკაზმული, დინჯი, სტუმართ მოყვარე ბოსტონი ციებით აფორიაქებული ეძიებდა „ლინჩს“ და მთელს ქვეყანას ხმამაღლა ატყობინებდა თავის უდიერ განზრახვას.

მან სავსებით შეაფასა ბრბოს განწყობილება, როცა „აგარაკს“ შიუახლოვდნენ. ყველა ჩამოვიდა ავტოდან. მანაც გაამწკრივა თავისი მცირედი რაზმი.

წარწერებიანი პლაკატი ჰაერში ავარდა.

ბრბო ისე მჭიდროდ შემოერთყა ახლად მოსულებს, რომ მის რაზმელებს ძლიერ უჭირდათ გზის გაკაფვა.

მის სმენას დაუცხრომლად ესმოდა კიცხვა:

„შეხეთ, ამ რაზმს „ზანგი წინამძღოლობს“.

„ასე ეგ შავი არამზადა“ „ბინძური ცხოველი“.

რაზმელები მწყობრად მიიჩქაროდნენ „აგარაკისკენ“.

წინამძღოლი ისმენდა თავისი რასის დაუზოგველ კიცხვას.

აჰა, ესეც შენი კულტურული ბოსტონიც.

აჰა, თეთრებსა და შავებს შორის „არსებულ ჰარმონიულ დამოკიდებულებაზე“ მოტრაბახე ბოსტონიც. შავკანიანი სახელოვანი გმირების წარმომშვეები ბოსტონი!

მთავრობის სასახლეს ტყვიამფრქვევთა რაზმების ლეგიონები სდარაჯობდნენ და ხალხს ახლოსაც არ უშვებდნენ სასახლესთან.

ადრე მოსული დემონსტრანტი ამხანაგები უკვე შეეპყროთ და ციხეებში დაერიგებინათ.

მან თავის რაზმს გადახედა.

ყოველი კაცი თავის ადგილზე იყო.  
მან წინასწარ დათქმული ნიშანი მისცა.

მდუმარეთ აუშვეს დროები მალა და გაემართნენ მწყობრი  
მარშით.

სულ რვაჯერ გაუარეს დემონსტრატებმა გუბერნატორის სასახ-  
ლეს და ერთბაშად ვილაცა ყელში სწვდა ბელადს.

„სცემეთ ამ „ზანგს“ მოესმა მას.

და პოლიციელები ხარხარით მივარდნენ აქშინებულნი.

— ეს პირველად ვნახე შავი ბოლშევიკი.

— უშენოდ ვინ რას გაარიგებდა ბოსტონში!

იგი პასუხს არ აძლევდა თავხედებს.

იგი პოლიციის კარეტაში ჩასვეს. აქ მას მრავალი თეთრი ამ-  
ხანაგი დაუხვდა.

— როგორ ვქნათ?

ეკითხება უმცროსი პოლიციელი უფროსს.

— ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ზანგი თეთრ ქალთან ერთად ჩავს-  
ვთ კარეტაში? მოაწყვე იგი კოფოზე ან გარედ სადმე.

მხოლოდ ამ წუთში შეიცნო მან ბოსტონის ჭეშმარიტი, უნი-  
ლაბო სახე. ისინი ციხეს მიუახლოვდნენ. ციხესთან მოგროვილმა  
ბრბომ სიცილი და ლანძღვა დაახვედრა ტუსალებს.

იგი პირველი ჩამოათრიეს კარეტის კოფოდან და ციხის ჭიშ-  
კარში შეაგდეს.

— საინტერესო ცხოველი მოგიყვანეთ დღეს.

მოახსენა ღიმილით პოლისმენმა ციხის მორიგეს.

აჰა, ეს გახლავთ შავი ბოლშევიკი.

ინგლის. თარგმნილი უ. უ—ს მიერ.

— : —

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

გრიგოლ რობაქიძე

ბ ა მ მ

ა რ ე

უახლოვდები ბაქოს.

მირაჟები ჰქრებიან, ტრამალები ასკდებიან გორაკებს, გორაკები ჰგვანან გასუდრულ ცხედრებს.

არე: გადამწვარი, გადატრუსული, გადაბუგული.

ეს სივრცეები არ ჰგვანან სპარსეთის ტიტველ კლდეებს. იქ ცეცხლი ჯერ კიდევ არ დამქრალა. ცეცხლი ღვივის: ფერები და მურები იქ მზიურ იღვენთებიან. აქ კი ცეცხლი თითქო ჩამქრალა: დარჩენილა მხოლოდ ნაცარი (ლადარიც არაა). ფერი და მური ნაცრისაგახაა თითქო. არე: ღნიოში ჩაფერფლილი.

ხანდახან აქლემი გამოჩნდება—

და მოაქვს უდაბნოს ცხელი სუნთქვა.

აზერბაიჯანი გაგრძელებაა სპარსეთის, სპარსეთისა და ინდოეთის შუა არიან ცეცხლის თაყვანისმცემელი: დღესაც, ცეცხლის თაყვანისმცემელი აზერბაიჯანშიაც ყოფილან. მათი ძველი სალოცავი ეხლაც არსებობს ბაქოს ახლო. ორიოდე წლის წინად კიდევ ნახულობდა მგზავრი ამ სალოცავში ორიოდე მათაყვანებელს ცეცხლისას. მკვლევართ თუ დავუჯერებთ, ზოროასტრის (და ზარატუსტრასიც) სამშობლო აზერბაიჯანი ყოფილა. ზოროასტრის ელემენტი კი ცეცხლი იყო მუდამ. ეს არის ირანის ხაზი აღმოსავლეთის.

ხოლო ცეცხლი რო ჩამქრალა თითქო?

არა: ეს ზედაპირი ხილვაა.

უახლოვდები ბაქოს.

თვალის წინ იშლება უცნაური ტყე, ტევრა-ტევრად: შავი, დაკვარტლული. თითქო „სალოსები“ დაყუდებულან ლოცვად. არა: ლოცვას აქ რა უნდა? აქ შრომაა. ეს ტყე საბურღეებია: განუწყვეტელ ჟონავს ნავთი.

არა: ცეცხლი აქ არ ჩამქრალა.

„ცეცხლი აქ სითხედ ქცეულა. მიწის ფენები აპშერონის ნახევარკუნძულის გაქლენთილია ამ სითხით.“

მილლიონი თვალეები სხვადასხვა კუთხიდან უცქერენ ბაქოს.

### რევოლუციამდე

თვითონ ქალაქი, ბაქო, გაშენებულა ამ სითხისათვის ცეცხლისა. ქვა და რიყე. ქვა—სახლები, რიყე—ქუჩები. მიწა უმცენარო: აქ არაფერი იზრდება. ბაღი გაშენებულია მოტანილ მიწაზე. მცენარეები კლექიანს ჰგვანან. სად შეუძლიათ მათ ავარდენ ველური ატეხილობით? ისინი მხოლოდ თვლემენ და ყვინთავენ.

და მაინც:

„ცეცხლის სითხე“ იზიდავს აქ ყველას.

აქ თქვენ ნახავდით: ინგლისელს, გერმანელს, დანელს, შვედს, ფრანგს, იტალიელს, რუმინელს, პოლონელს, რუსს, ქართველს, სომეხს და სხვებს: ათას ტომს და ათას ხალხს.

ათას ტვინს და ათას ნებას ერთი-რამ ახელებდა: შოვნა და გამდიდრება. იყო გაჩაღებული ბრძოლა არსებობისათვის. ბრძოლა—აზარტი. მონაკოში, საცა მოთამაშენი ბედს აღეზიანებენ და გამხეცებულნი რულეტს უცქერენ,—მონაკოში არ არის ისეთი აზარტი, როგორც იყო ბაქოში ნავთის გარშემო. ათასი გეშეფტმახერი“, ათასი მაკლერი. მათთვის ევროპული „ფეშენებელობით“ გამართული და მორთული იყო სასტუმრო „მეტროპოლი“ და სასტუმრო „ევროპა“.

ვის არ შეხვდებოდნენ სასადილო ზალაში?

ლაპარაკი კი ერთი იყო: ნავთი, საბურღე, შადრევანი.

იყო ერთი-მეორის მჭამელი „საქმიანობა“, ხშირად ისეთი, რომ „საქმესთან“ არც კი მიდიოდა უშუალოდ მოსაქმე. „საქმე“ არის „სა-ქმე“, საკეთი, საშრომი. მოსაქმე კი საშრომს გაურბოდა აქ ხშირად. იგი უმეტესად ქალაქის ნიშნებით ჩარხავდა საქმეს.

მთელი ტვინი და მთელი ნება მოცული იყო ნავთისაგან წარმოშობილ ოქროთი. არ იყო დასვენება, არ იყო დაღლილობა.

მხოლოდ ერთი-რამ იყო მათი ენერჯის ასამახვილებლად:

შანტანი „კაზინო“, გამართული როგორც თვალისმჭრელი სერალი. კაზინოს ესტრადაზე ერთი-მეორეს სცვლიდა მომღერალი თუ მოცეკვავე ქალი—ასამდე. საყურებელი დარბაზი სავახშმოდ იყო ქცეული. რა არ იყო აქ? შამპანურისაგან შეიძლებოდა შადრევანების

აფეთქება. ქვირითი „მოპირავდა“ ლუკულებსაც. მაგრამ ლუკუ-  
ლებს სხვა-რამ იპყრობდა უფრო:

ესტრადაზე გამოსული ქალი.

ქალი მღეროდა, ქალი ცეკვავდა.

ხოლო მაყურებელს სიმღერა და ცეკვა ნაკლებ იტაცებდა.

იგი ქალის ტანს უცქერდა უფრო.

კაზინოს ეტანებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ყოველი კუთ-  
ხიდან უამრავი ქალი: ყოველი ჯიშის და ყოველი ჯურის.

მაყურებელი ჯიშს ეძებდა ქალში და ჯურით ირჩევდა მას თა-  
ვის გემოზე. შემდეგ — „შეკვეთა“. რასაკვირველია, არა შამპანურის  
და არა ქვირითის. „შეკვეთისათვის“ მზად იყო ზემო სართულში  
მრავალი „კაბინეტი“, საცა ტანშხვართა ქალები ვნებას ჰყიდდნენ  
თავისას.

ქალებიც „შოვნისათვის“ მოდიოდნენ ვითომ ბაქოში. იძენდნენ:  
ფულს, ძვირფას თვლებს, ვერცხლეულს და ოქროულს. შეძენისათვის  
არ ზოგავდნენ თავს: ზოგი წამიერ, როგორც მეძავი, ზოგი ხანგრძ-  
ლივ, როგორც ხასა. განსაკუთრებით ხშირი იყო ხასა. არსებობდა  
მთელი ინსტიტუტი მისი. ხანებს, ბეგებს, გამდიდრებულ მდაბიოს  
(ხშირი იყო ასეთი) — ყველას ჰყავდა განზე ხასა. ცოლები კი ჩაკე-  
ტილი ისხდნენ სახლში. ხასის ყოლა აუცილებელ საჭიროებად ითვ-  
ლებოდა, ხშირად სასახელოდაც. დროდადრო იმართებოდა რომანიუ-  
ლი ინტრიგა, რომელიც ხანდახან ტრაგიულად მთავრდებოდა: იყო  
შემთხვევაც კედელში ჩახრჩობისა. მაშინდელი გაზეთები სავსეა საში-  
ნელების ქრონიკებით.

აზერბაიჯანის მკვიდრი (ხალხი, მასსა) მხოლოდ ეტნოგრაფიულ  
მასალად იყო მიჩნეული. უკეთეს შემთხვევაში მას „ამბალს“ ეძახდნენ.

## ე ხ ლ ა

რევოლუციამ ძირიანად მოსპო ძველი ურთიერთობა.

„დელეცის“ მაგიერ ბაქოში ეხლა მშრომელია. „შოვნის“ მაგიერ  
— შრომა. სიმღერის მოპოება მუშის ხელშია. იგია მისი გამგე. აქ  
არის ძირეული სხვაობა. ურთიერთობა შეიცვალა.

მუშათა საცხოვრებლად გამართულია თითქმის მთელი ქალაქი:  
„არმენიკენდ“. შენობები აგებულია უკანასკნელი ტექნიკის მიხედვით.  
ვერ ვიტყვი, რომ სტილის მხრით მათში სილამაზეც იყოს დაცული.  
მაგრამ დაღლილი სხეულის სასვენებლად, მუშას საცხოვრებლად —  
ესეც დიდი ამბავია.

გამართულია ქალთა კლუბი. ეს არის უჯრედი შემოქმედი, სა-  
ცა იკვეთება აზერბაიჯანელ ქალთა განთავისუფლება. სამშობიარო,  
მცირეწლოვანთა ზრდა, ჭრა-კერვა, ქსოვა, წერა-კითხვა, გართობა,  
თეატრი, — ყველაფერია აქ მოქცეული, ამ უჯრედიდან რადიუსებად  
გადადის კულტურული მუშაობა ქალთა მასებში.

გამგე კლუბის — გაულძარა აფროთოვანებული პატრიოტია ამ  
საქმის. ჩვენ ყველამ ვიგრძენით მისი ღია გული და თავდადებული  
ჯაფა. არც ნათელი ღიმილი, თითქმის ბავშური, დაგვავიწყდება  
მისი.

შენება, შენება: აი რას გრძნობ ბაქოში.

საბუნჩის სადგური მშვენიერია თავის არქიტექტურული განზო-  
მილობით და მოხდენილობით. უწინ სიტყვა „საბუნჩი“ ერთერთი  
წესი იყო ბაქქარას თამაშში, ბაქოელების მიერ გამოგონებული —  
(ალბად ამ თამაშის ისტორიაში ეს წესი შევა როგორც ერთგვარი  
აღმოჩენა). დღეს ეს სახელი შუაგულია ბაქოს მუშათა კულტურული  
შეკავშირების. აქ არის გამართული მშვენიერი შენობა: წარმოდგე-  
ნისათვის, მოხსენებისათვის, საღამოსათვის, გართობისათვის.

ერთი სახასიათო დეტალი:

როცა ვინმე რუსულად ლაპარაკობს, იქვე გვერდით აზერბაი-  
ჯანელი თარგმანს ამზადებს: მაშინაც კი, როცა აუდიტორიის უმ-  
რავლესობას არა აზერბაიჯანელთა მასსა შეადგენს.

საოცარია: როცა საბუნჩისაკენ ღამით მიემგზავრები. გაყვანი-  
ლია ელექტრო-გზა. მიემგზავრები — და თითქო ამერიკის რომელიმე  
კუთხეს ჰლახავ. ღამე ანათებელია ელექტროს თვალვარსკვლავა მტე-  
ვნებით. გზაზე ამჩნევ პურის ქარხანას, ლამაზსა და მაგარს. სივრცე,  
ელექტროთი აქათქათებულის, დიდდება. გრძნობ შრომის სამთავროს:  
მის მაჯისცემას და მის მიმართებას.

აზერბაიჯანი გამოდის როგორც მხნე და ენერგიული ხალხი.  
რასაკვირველია. ძველია ეს ხალხი, როგორც რომელიმე სხვა ხალხი  
აღმოსავლეთისა. მაგრამ ეხლა ხედავ თითქო, რომ იბადება — (აქამდე  
თითქო თვლემდა აღმოსავლური მოდუნებით). რამდენი ენერგია ყო-  
ფილა დაგროვილი ამ ხალხში: რევოლუციას სადენი მიუცია ამ  
ენერგიისათვის. და გეჩვენება — თითქო ახალგაზდა ხალხი გამოდის  
საბჭოთა კავშირში.

ბაქოში ეხლა აზერბაიჯანის მკვიდრი (ხალხი, მასსა) ეტნო-  
გრაფიული მასალა კი აღარაა, არამედ ნამდვილი ერის სახის მქონე.  
ეს ჰქნა რევოლუციამ.

## წარმოება

საბჭოთა კავშირში ძვირად მოიპოვება ისეთი ქალაქი, რომლის ინდუსტრიული პულსი ასე ინტენსიურად სცემდეს, როგორც ბაქოსი.

ეს ფაქტია.

აიღეთ „ილიჩის სრუტე“ ბიბი-ეიბათში.

აქ მუშის ხელი თვითონ ზღვას ედავება. თანდათან „მიდენის“ იგი ზღვას სულ იქით და იქით. ართმევს მას ხმელეთს. ხმელეთი გაჟონილია ნავთით. მუშის ხელი ბურღავს ხმელეთს. შადრევანი შადრევანს მოსდევს.

საოცარია ნავთის ქარხანა—დამამზადებელი.

უზარმაზარი ლაშქარივით ამართულან დახურული ქვის გიგანტები, საცა ცეცხლი აპოკალიპსურ მოჩვენებად ღვივის.

უზარმაზარი ლაშქარივით დაწყობილან მუნჯი თუჯები, რომელთა მეოხებით „ცეცხლის სითხე“ სხვადასხვა ელემენტად იშვის: ნავთი, ზეთი და სხვა.

შრომა მედგარი. არავითარი ფუსფუსი. მაჯის დაჯერება და სინელე. არავითარი ხრიალი. ხმადაბლა ლაპარაკი. მოკლე სიტყვა. არული „მჭერმეტყველობას“. მჭერმეტყველი აქ საგანია თვითონ. პატივდება მატერიის. გზნება ელემენტის. ბოლოს: ისევ შრომა, მედგარი, უძლევი.

ამასავე გრძნობ, როცა ხედავ საქსოვ ქარხანას.

მხოლოდ იმ გარჩევით, რომ აქ უფრო მოცარტის ფრთებია.

იქ კი, სანავთოში, თუჯის დემონების გახელება.

## თ ა ვ ი ღ ა თ ა ვ ი

და მაინც: თავი და თავი წარმოებაში ეხლა სხვაა.

ჩვენ ვნახეთ ინჟენერი ალიევი „ილიჩის“ საბურღეებში.

გასაოცარია მისი ქცევა ნივთებთან და საგნებთან.

რასაკვირველია, თავს არ ზოგავდა იგი. როცა ამ არეს გვაჩვენებდა. თუ როგორ ჰბურღავენ, თუ როგორ ამოჰყავთ ნავთი, თუ როგორ უშვებენ მას მიღებით დასამზადებელ ქარხანაში,—ყველაფერს ამას გვირკვევდა აფროთოვანებით.

მაგრამ თავიდათავი კიდევ სხვაა.

ჯერ ერთი: იგი მიდის ნივთთან თუ საგანთან არა როგორც მგზნები რაიმე საიდუმლოსი. მის ალავს ძველად ცეცხლის მოთაყვანე



დაიჭერდა. ასე იყო ალბად კიდევ: მოვიგონოთ ბაქოს ახლო დარ-  
ჩენილი სალოცავი ცეცხლის თაყვანისმცემელთა.

მეორე: იგი მიდის ნივთთან თუ საგანთან არა როგორც ევ-  
როპელი ინჟენერი. უკანასკნელი ცნობს საგანს თუ ნივთს, მაგრამ  
მოწყვეტილია საგანისაგანაც და ნივთისაგანაც. იგი „იურვებს“ სა-  
განს, საგანი მას „ეურჩება“. იგი „ძალას ატანს“ ბუნების ძალას. იგი  
„იყენებს“ მას მხოლოდ, რადგან სოციალური ბაზა მისი პსიხიკისა  
ყვლეფაა. იგი მექანიკურად უდგება საგანს. მისი გზნება ატომისტუ-  
რია, არაორგანიული.

აქ კი სულ სხვას ვხედავთ.

ინჟენერი ალიევი „უბრალოდ“ მიდის ბუნების ძალასთან: თით-  
ქო უკანასკნელი მეგობარი იყოს მისი. „ყვლეფა“ არაა ბაზა მისი  
სოციალური პსიხიკის. იგი „ელოლიავება“ საგნებს: ეფერება, ეალერ-  
სება საგანსა და მის შორის არ არის შუღლი. შეხლა. თუ არის ძა-  
ლის-ხმარება, არ არის ძალდატანება. უკიდურეს შემთხვევაში არის  
დახმარება მშობიარის მიმართ, ან და მოვლა ნაყოფის გამოღებისა-  
თვის. მისი გზნება არაა ატომისტური, რადგან მექანიკურად არ  
მიდის იგი ბუნების ძალასთან. იგი შესხეულებია მას ნერვით. მაჯის-  
ცემა მისი რიტმს მართავს საგნებთან.

ეს არის ახალი.

ეს არის „თავიდათავი“.

ყოველი მისი ქცევა, ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი ბიჯი,  
ყოველი მისი მოხედვა, ყოველი მისი მობრუნება, — მოწმობს ამას.

ეს ინჟენერი ალბად მხატვრული რაკურსია ახალი ურთი-  
ერთობის.

ასეთები მრავალნი უნდა იყვნენ აბლბად.

### ლიტერატურული ფიქრები

როცა ხედავ ამ დიდ წარმოებას, შემოქმედი სიტყვა ქავილს  
გზნობს:

მას სურს მხატვრულად გადმოიღოს იგი.

ასეთი სურვილი ბევრს ჩვენგანს დაებადა.

მაგრამ რა გზით და რა ხერხით?

ეს საკითხი დამაფიქრებელია.

ასწერო წარმოება თვითონ? მაგრამ ამას ინჟენერი უფრო შეს-  
ლებს, მუშაც. მთვარეს აინშტაინი უფრო კარგად გვაცნობებს თავის-  
თავად ვიდრე რომელიმე პოეტი.

ხოლო პოეზიაში ხომ არის მთვარე?

აღზად პოეტის სიტყვაში მთვარე „მოზრუნებულა“ სხვანარი-  
მთვარე, როგორც ლიტერატურული ფაქტი, ერთი რიგიდან  
ამოვარდნილია და გადატანილი სხვა რიგში. ან და: მთვარე ჭვირვალ  
სახედ გამოადის, რომელშიაც სხვა-რამ ისარკება.

აქ არის ერთგვარი მეტოდი შემოქმედების.

ბუნების ძალების მიმართ ეს მეტოდი საკმაოდ გამართულია  
მსოფლიო ლიტერატურაში.

კაცის მიერ ქმნილი კი რომ მხატვრული მეტოდით დაიჭირო,  
ამისათვის საჭიროა ძველი მეტოდის გადასინჯვა.

ეს გადასინჯვა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ამით აიხსნება სისუსტე „წარმოებით“ პოეზიის.

ყოველ შემთხვევაში აქ დიდი პრობლემაა.

## მ უ ს ი კ ა

განათლების სახალხო კომისარს ამხ. მუსტაფა კულიევს მე შე-  
ვეკითხე:

რა მდგომარეობაშია აზერბაიჯანის მუსიკა? არის თუ არა მისი  
ევროპული გაფორმება?

ამხანაგმა კულიევმა ამ საგანზე დიდხანს ილაპარაკა:

აზერბაიჯანის მუსიკა იმავე სპარსეთის მუსიკაა. იგივე ჰინგი,  
იგივე საკრავი, იგივე სიმღერა. თარი და სევდიანი მოთქმა-სიმღერა.  
ბაქო ინდუსტრიის შუაგულია, ცხოვრების ფორმები იცვალენ, ირ-  
გვლივ ენერჯიაა და შენება—აქ კი, ამ მუსიკაში, „შახსეი-ვახსეის“  
ტირილი და ვაებაა. უნდა ძირიანად ამოიფხვრეს ეს მუსიკა აზერბაი-  
ჯანში. სხვა გზა არაა.

ამხანაგმა კულიევმა სასტიკად გაილაშქრა ამ მუსიკის წინააღმ-  
დეგ. გაილაშქრა ტემპერამენტით.

მე მგონია, ამხანაგი კულიევი უკიდურესობაში ვარდება.

ცხადია, მუსიკაც უნდა იცვალოს. მაგრამ შესაძლოა მრავალი  
ელემენტი აღმოსავლეთ მუსიკის გამოყენებულ იქნეს.

მე არ ვგულისხმობ ისეთ გამოყენებას, როგორსაც ადგილი  
აქვს აზერბაიჯანის საოპერო თეატრში. როიალი, კონტრაბასი, თა-  
რი—შექანიკურად არიან იქ შეზავებულნი. ეს—საკრავები. უკეთეს  
მდგომარეობაში არც ჰარმონიისა და მელოდიის ელემენტებია. აქ  
უფრო უცბური აღრევაა.

მაგრამ საგანს შესაძლოა სხვა მხრით შევხედოთ.

ევროპაში ეხლა დიდი ძიებაა მუსიკის სფეროში. აიღეთ თუ

გინდ გერმანელი ექსპრესიონისტები და საფრანგეთის ჯგუფი „ექსი“. ეს ძიება გააძლიერა რუსული მუსიკის გაცნობამ. განსაკუთრებული როლი ითამაშა იგორ სტრავინსკიმ. ბოლო დროს ზანგების რიტმებმაც დააფიქრეს მუსიკოსები.

და აი: სურთ რეფორმა მოახდინონ.

ზოგს როიალის სისტემის გადამუშავებაც უნდა.

ხარბი თვალთ უცქერენ აღმოსავლეთს:

ეგებ მან მისცეს მათ გამოსავალი.

აქ სპარსულ-აზერბაიჯანულ მუსიკას შეუძლია საკმაოდ საგრძნობი როლი ითამაშოს.

ამისათვის საჭიროა, თვითონ აზერბაიჯანელი დაეწაფონ ევროპის მუსიკას. საჭიროა—შეისწავლონ მისი კანონები. შემდგომ, დიდი მუსიკალური ტექნიკით აღჭურვილნი, მივლენ თავის მუსიკასთან, იგზნობენ მას სხვარიგ შეჭმნიან ახალს. ამ „ახალში“ მასალა აღმოსავლური იქნება, მაგრამ დამუშავება კი სხვანაირი. თარიღი მონახავს ორკესტრში თავის ადგილს.

ეს „ხვანაირობა“ დამუშავებისა, ცხადია, არ ჰგულისხმობს ევროპულ ტექნიკის პირწმინდათ გადმოღებას. პირიქით: ეს ტექნიკა უთუოდ შეიცვლება (ოდნავ მაინც) მასალის გეზით, აქ მხოლოდ „განაყოფიერება“ მოხდება: ევროპულ ტექნიკისა და აღმოსავლური მასალის.

ამით აზერბაიჯანულ-სპარსული მუსიკა ბევრს მოიგებს.

არც ევროპული წააგებს.

(შეკითხვა-ფიქრი: საინტერესოა, არის თუ არა აზერბაიჯანში ბარიტონის ან ბასის ამღერება?),

## დ ა ვ უ ლ

ეს „დავუღ“.

დავით, დავიდ, დევიდ, ეხლა კიდევ „დავუღ“,

არის ამ „უ“-ში რალაც თავისებური, განუმეორებელი. ამ „უნით“

ეს სახელი მედალიონივით იჭრება: მასში თითქმის ინდივიდუალ სახეს სუდავ.

ხოლო ეს გაკვრით.

„ხანის სასახლეს“ ვათვალისწინებდით.

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი წინამძღოლი. სახე ნაყვავილენი.

ხოლო „ყვავილს“ მარცვლებით არ ამოუჭრია პირის-კანი: თითქო მისტური ფოთლებით გადაუწვავს იგი. თვალები მეოცნების, არაბულ

ტექსტებში გადასულის. თვალის გუგას მთვარის-ბაკედ ევლება თეთრ ყვითური ცილი, ცალი თვალი ხშირად განზე ფართოვდება შემოგხედავს და მერე ისევ სივრცეში გადადის. მოსჩანან დანერწყვილნი კბილები. შიგადაშიგ კბილებში—რაღაც მომწვანო, თითქოს მწვანლის ნამცეცი. სუფთა, დაშოთილი ხელები.

ლაპარაკობს წინამძღოლი ეგვიპტელი ქურუმის ღირსებით. ოდნავ „დიდრაჯობა“ ემჩნევა. ამავე დროს გგონია: თითქოს შენს წინაშე მოწაფე იდგეს გულმოდგინე, რომელიც გაზეპირებულ გაკვეთილს გიყვება, ალბად მრავალჯერ წარმოუთქვამს მას ეს გაკვეთილი. თუ შეეჩარ მოყოლისას უდროოდ დროს, მრისხანებით შემოგიტევს.

კაცი, სიძველეში გადასული სიყვარულით.

ბეჯითი და მეტათ სიმპატიური, იშვიათი.

ნამდვილი სახე აღმოსავლეთის.

ბევრი-რამ მოგვითხრო „ხანის სასახლის“ შესახებ, მე ეს „დავუდ“ დამამახსოვრდა (ვიღაც მთავარი და მეომარი).

სასახლის „წინკარი“ მრავალკუთხიანია. აქ სასამართლო ყოფილა. იატაკს ქვეშ ჯურღმულია, საცა დამნაშავენი ჰყავდათ დაპატიმრებული. გასამართლების დღეს ამოჰყავდათ: ამისათვის შუაგულში ნახვრეტია ჭურისთავივით.

გარეთ კედლებზე ამოჭრილია სახელი „ალი“. ხოლო ამოჭრილში დარჩენილი ცალიერი ადგილიდანაც „ალი“ ამოიკითხება. ასე ხელოვნურად არის გამოყვანილი ეს სახელი. ყოველ უჯღედში სამჯერ არის გამოჭრილი იგი. ხილულად—სამი, უხილავად—სამი, სულ ექვსი.

წინამძღოლი ამბობს:

„ალლაჰიდან ყველა წინასწარმეტყველია ამ ექვსი რიცხვით მოცემული“.

დავითვალიერეთ დიდი სასახლე.

კიდევ ოთახი, კიდევ ჯურღმულით. ჯურღმულში სანოვაგეს ინახავდენ, ეს—ერთნის აზრით. სხვანი კი სხვას ფიქრობენ: აქ ლოცულობდენ, ჩვენი წინამძღოლი შერიგებას ცდილობს:

„ მე მგონია, ორივე აზრია მართალი, ძველად ეგონათ ჭირნახულს ლოცვა შეეღისო, ასე რომ“...

გვაჩვენა პატარა ოთახი, საცა ომში მოკლული მწერალია დასახლებული.

## ბაქო-ხან

ავედით „ქალწულის კოშკზე“.

მე გამოვსთქვი აზრი: ამას უთუოდ ეცოდინება, რამდენი საფეხურია-თქო. და მართლაც: როგორც კი შევეკითხე, წამსავე მომაყარა: „ას შვიდი“.

ეკითხებიან, თუ რათ ჰქვია ამ კოშკს „ქალწულის კოშკი“.

მან გაიხსენა ერთი კინო-ფილმი, რომელმაც ამ კოშკის ლეგენდა გადმოგვცა.

„სტყუის ყოველი ლენტა“, — წარმოსთქვა მან ქურუმით, მოიყვანა სხვა ლეგენდა.

მე ვუთხარ: ეს კოშკი ბაბილონის „ციკურატს“ ჰგავს-თქო. შემომანათა მცდელი თვალები და არა თქვა-რა. მსურდა მომეყვანა ცნობა ბაბილონის შეწირულ ქალწულთა შესახებ (ალბად აქედან წარმოსდგა ეს სახელი — „ქალწულის კოშკი“), — მაგრამ კოშკიდან ბაქო და ზღვა იყო გაშლილი და საუბარი სხვაგვით გადაიხარა.

„საიდან წარმოსდგა სახელი ბაქო?“.

წინამძღოლი გვეუბნება: ბაქ-ხან იყო მეომარი, მონღოლი. მან დაარქვა თავის სახელი. როგორც ეხლა „ლენინგრად“, „სტალინგრად“, — (ამ დროს მას ვერ შეამჩნევ ღიმილს).

შემდეგ შეუცვლიათ მისი სახელი.

„მაშინაც იყო ანთირელიგიური პროპაგანდა და ამისთვისო“, — ასკვნის იგი — (ამ დროს შემპარავი თვალი შეამჩნევს მალულ ღიმილს).

გულმოდგინე დამცველი წარსულის ნაშთის.

კაცი, ბეჯითი და სიმპატიური.

უკეთესს გამგეს ნაშთებისას ვერ მოსძებნით.

## ორი სახე

გამოვემშვიდობეთ ბაქოს.

დამრჩა ორი სახე.

პირველი. ნავთის ნაკადი, ნაკადულობას ვერ ამჩნევ, თითქო გაქვავებული სითხე მეტად პლასტიური. მწვანე ლითონი, ჭაობის ყვავილ-ფერი.

ეს „ცეცხლის სითხე-ჰქმნის ბაქოს.

მეორე. ინჟენერმა ალიევმა გაკვრით წაილაპარაკა საბურღესთან: ეს მანქანები არ არიან თავიდათავი, აი, ხედავთ იმ მუშის

ხელს? (მუშა იქვე იდგა და უნდო თვალებით იხედებოდა). ეს ხელია ყველაფერი. იგი გრძნობს ნიადაგს, როცა ბურღი ბურღავს, გრძნობს ბურღვის რიტმს, გრძნობს ქვას, რომელიც ბურღს ხვდება, გრძნობს მიწის სხვადასხვა ფენებს ნაირნაირს, გრძნობს სადაა ნავთი, გრძნობს ყველაფერს. ბურღი ამ ხელის ამსრულებელია მხოლოდ. თუ ხელი არ ვარგა, ბურღი შესაძლოა წახდეს ან ვერ ჰბურღოს მან რიგზე.

შევხედე ამ მუშას. სხვანაირად იხედებოდა.

იგი უსახელო დარჩა ჩემთვის.

მაგრამ ამ უსახელო მუშაში ჩვენ ვიგრძენით მთელი მუშათა კლასი ბაქოსი. მის ხელში—ათიათასი ხელი.

ამ ხელის მაჯის-ცემას ყურს უგდებს მთელი კავშირი.

— : —

## ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული დაკავშირებისათვის

(ქართველ მწერალთა დელეგაციის მოქმედების ანგარიში)

ჩვენი დროის მატერიალური კულტურის უნივერსალური ტენდენცია ასეთსავე მიმართებას აძლევს თანამედროვე ხელოვნების განვითარებას. ცივილიზაციის ნივთობრივი ინვენტარი კარნახობს ადამიანთა ფსიხიკის ადგილობრივ თავისებურებათაგან თანდათანობით განთავისუფლებას რის შედეგათაც ხელოვნება—დამყარებული სოციალურ ფსიხიკაზე—თავისი განვითარების პროცესში არღვევს ნაციონალურ კარჩაკეტილობის საზღვრებს. მით უფრო აშკარაა ეს პროცესი საბჭოთა კავშირის კულტურულ მშენებლობაში. საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები გაერთიანებული სოციალ-პოლიტიკური ინტერესებით, გაერთიანებული კლასიური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის მთლიანი პროცესით არ შეიძლება მჭიდროთ არ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს მხატვრული კულტურის მშენებლობის მხრივაც.

აქედან ცხადია თუ რამდენად შეუსაბამოა მიმდინარე რევოლუციის ამოცანებთან ის კარჩაკეტილობა და ეროვნული გათიშვა, რომელსაც ადგილი აქვს დღემდე ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში. ქართველ მწერალს შეუძლია თავისუფლად იმსჯელოს საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის ლიტერატურაზე, მაგრამ იგი არ იცნობს თავისი მეზობელი ერის პოპულარულ მწერალსაც კი. და რასაკვირველია ამ მხრივ ჩვენ არ წარმოვადგენთ გამონაკლისს. ასევე მოწყვეტილი არიან მეზობელ ხალხთა კულტურული ატმოსფერისაგან სომხეთისა და აზერბეიჯანის კულტურული ძალები.

ქართულმა მწერლობამ თავის დროზე შეიგნო ასეთ მდგომარეობის აღმოფხვრის აუცილებლობა და რამოდენიმეჯერ დააყენა საკითხი კულტურული დაახლოვებისათვის შესაფერ პროაქტიულ ღონისძიებათა შესახებ. ამჟამად ქართული მწერლობის ეს განზრახვა უკვე რეალურ საქმედ იქცა, რის პირველ ნიშანს ქართველ მწერალთა დელეგაციის აზერბეიჯანში გამგზავრება წარმოადგენს.

ჩვენი დელეგაცია შედგენილი იყო საქართველოში მომქმედ ყველა ლიტერატურულ დაჯგუფებათა წარმომადგენლებისაგან.

17 მაისს, საღამოთი ჩვენ ჩავედით ბაქოში. სადგურზევე ჩვენ ვიგრძენით ის გულწრფელი და მეზობლური განწყობილებით სავსე ატმოსფერა, რომლითაც მიგვიღო ჩვენ აზერბეიჯანის მწერლობის, კულტურულმა ძალებმა, მუშათა კლასმა და მთელმა საბჭოთა საზოგადოებრივობამ. სადგურში ჩვენ გაგვიმართეს საზეიმო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბაქოს პარტიულ, პროფესიონალურ და კულტურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ა. კ. პ-ის ბაქოს კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ნიკიშინი, რომელმაც აღნიშნა ჩვენი დელეგაციის ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა და იმ ამოკანათა დაჩქარებით გადაჭრის აუცილებლობა, რომელთაც ჩვენი დელეგაცია ისახავდა.

იმავე საღამოს ჩვენ მიგვიწვიეს თურქულ ოპერაზე. აქ ჩვენ ვნახეთ საკმაოდ მდიდარი ვოკალური მასალა და პოტენცია, მაგრამ ამავე დროს ჩამორჩენილობა თანამედროვე კაცობრიობის მუსიკალური კულტურისაგან და საგრძნობი პრიმიტიულობა. შემდეგ, აზერბეიჯანის განსახკომის ამხ. კულიევის მოხსენებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ აზერბეიჯანის საბჭოთა საზოგადოებრივობას, მის პროგრესულ ნაწილს შეგნებული აქვს ეს გარემოება და ინტენსიურ ბრძოლას აწარმოებს ძველი, სპარსული გავლენის განსაღვენად თურქული მუსიკიდან და მისი კულტურისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოწინავე კაცობრიობის მუსიკალური კულტურის დონემდე.

დელეგაციის შემადგენლობის უმრავლესობისათვის ეს პირველი ჩასვლა იყო ბაქოში. პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც იძლევა ქალაქი, არის მეტად ცხოველი ტემპი, საქმიანი ატმოსფერა. ყოველი ქუჩა გაგრძნობიებს იმ დიდ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელიც სწარმოებს საბჭოთა აზერბეიჯანში.

ვიდრე აზერბეიჯანის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების შესწავლას შევუდგებოდით, ჩვენ თურქ მწერლებთან ერთად გავემგზავრეთ ბაქოს 26 კომისარის საფლავზე, რომელიც ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ—გრიგოლ რობაქიძემ შეამკო ცოცხალი ყვავილების გვირგვინით.

აქ სიტყვები წარმოსთქვეს აზერბეიჯანის ცნობილმა მწერალმა ახვეროვმა ლე ჩვენი დელეგაციის წარმომადგენელმა პაოლო იაშვილმა. ორატორები აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ აზერბეიჯანისა და საქართველოს კულტურულ ძალთა დაკავშირება ერთ-



ერთი მნიშვნელოვანი მომენტია იმ დიდი საქმის განსახორციელებლად, რომლისთვისაც იბრძოდნენ ბაქოს კომუნარები და რომ მათს საფლავზე შეხვედრა კიდევ უფრო უნდა აძლიერებდეს ამ დაკავშირების შეგნებას და ერთმანეთისადმი მეგობრულ განწყობილებას.

აქედან ჩვენ გავემგზავრეთ აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარიატში, სადაც მისასალმებელი სიტყვით მოგვმართა განსახკომმა ამხ. კულიევმა. მან გვთხოვა მიგვეცა შეკითხვები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ჩვენი დელეგაციის თითქმის ყველა წევრებმა დასვეს მთელი რიგი საკითხები აზერბეიჯანის კულტურული ცხოვრების შესახებ. ჩვენი შეკითხვები უმთავრესად ეხებოდნენ აზერბეიჯანის სწავლა-განათლების საქმეს, თურქულ ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მდგომარეობას, ნაციონალ უმცირესობათა და კერძოდ ბაქოს ქართველობის კულტურულ მდგომარეობას და სხ. და სხ.

შეკითხვათა სიმრავლის გამო შეუძლებელი იყო პასუხი ყველა ამ კითხვებზე იქვე მოგვესმინა. ამიტომ მეორე დღისათვის ჩვენ დავნიშნეთ კულტურული თათბირი აზერბეიჯანის კულტურულ ძალებთან ერთად, რომელზედაც ამხ. კულიევმა აღგვითქვა ვრცელი მოხსენებით გამოსვლა.

ამ დარბაზობის შემდეგ ჩვენ შევუდექით ბაქოს სამეურნეო ცხოვრების გაცნობას. პირველად ჩვენ ვინახულეთ ე. წ. „Ленинская бухта“. ეს ვეებერთელა სივრცე ამ ორიოდ წლის წინად წარმოადგენდა ზღვის ფსკერს.

ხელოვნური საშუალებებით, ბაქოს მშრომელ ხალხს ზღვისთვის გამოუტაცნია იგი და ეხლა მასზე აღმართულია რამოდენიმე ათეული ნავთის საბურღავი კოშკები.

ეს არის საუკეთესო ილუსტრაცია ადამიანის ბუნებაზე გამარჯვების. ჩვენთვის ყოველთვის ცნობილი იყო, რომ ამ ხაზით მიემართება წინ საკაცობრიო კულტურა, მაგრამ ამ პროცესის ასეთი ცხადი მაჩვენებელი, პირადათ ჩემთვის—იშვიათია. ნავთის საბურღავი კოშკები მოწყობილია ამერიკანულ სისტემით და მუშაობენ თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით. ჩვენ დაწვრილებით გავეცანით ნავთის მოძებნისა და ბურღვის მთელ პროცესს. რამოდენიმე საათის განმავლობაში გვაძლევდა ჩვენ ამომწურავ ახსნა-განმარტებებს ახალგაზრდა ინჟინერი ალიევი, რომელმაც ჩვენს დელეგაციაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

მისი ყოველი სიტყვა ანთებული იყო თავისი საქმისადმი და ამ სამრეწველო რაიონის ყოველი წვრილმანისადმი საოცარი სიყვარულით, ენტუზიაზმით, პათოსით.

ეს ტიპია სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის ფრონტზე თავდადებულად მებრძოლი ტექნიკური ინტელიგენციისა. აქვე ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბურღავებზე მომუშავე მუშებმა. ისინი იმდენათ დახელოვნებული არიან თავიანთ საქმეში, რომ მიწაში ღრმად ჩაშვებულ ბურღზე ხელის შეხებით ამჩნევენ თუ ნიადაგის რომელ ფენაში გაიარა ბურღმა და რამდენათ დაუახლოვდა იგი ნავთის წყაროს.

ეს მუშები მართლაც განსახიერებენ იმ ძალისა, პიტენციისა და კლასიური თავგანწირულების, რომელითაც ყოველთვის ხასიათდებოდა მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილი ბაქოს პროლეტარიატი.

ამავე დღეს ჩვენ დავათვალიერეთ ქალაქის ახლად აგებული ნაწილები. აშენებულია მთელი კვარტალები. რამოდენიმე ათეული უზარმაზარი შენობები—მუშათა საცხოვრებლებისათვის. შენობები აგებულია ახალი, ევროპული სტილით და სავსებით შეფარდებული მუშათა კულტურული ყოფა-ცხოვრების მოთხოვნებისადმი. მთელი ეს ახალი ქალაქი აგებულია ამ უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში და ესეც მაჩვენებელია იმ დიდი რეკონსტრუქციისა, რომელიც განუწყდია ბაქოს და მთელს საბჭოთა ადერბეიჯანს გასაბჭოების შემდეგ.

18 მაისს საღამოს ბაქოს რადიო-სადგურში მოეწყო ქართველ მწერალთა გამოსვლის, რადიო-გადაცემა. სიტყვა ქართველ მწერალთა ბაქოში ჩამოსვლისა და ქართული მწერლობის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ წარმოსთქვა ამხ. ბენიტო ბუაჩიძემ. ლექსები წაიკითხეს: გალაქტიონ ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, პაოლო იაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, კარლო კალაძემ, კონსტ. ლორთქიფანიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ტ. ტაბიძემ, სანდრო შანშიაშვილმა, და სხ.

იმავე საღამოს ჩვენ წავედით „ლენინის რაიონში“, რომელიც აერთებს საბუნჩისა და ბალახანის სამრეწველო ქვერაიონებს. ჩვენ ვიმოგზაურეთ ელექტრონის რკინის გზით, რომელიც ერთად-ერთია მთელს საბჭოთა კავშირში. იგი აერთებს ქ. ბაქოს ამ სამრეწველო რაიონთან.

საბუნჩის მუშათა კლუბში, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი შესანიშნავი მოწყობილებით (ამ მხრივ მას ვერც ერთი ჩვენი მუშათა კლუბი ვერ შეედრება) ჩვენ დავესწარიტ მუშა-მკითხველთა კონფერენციას. აუდიტორია ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეგვეგება. მუშებმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიაც ესალმებოდნენ ჩვენს პირველ ნაბიჯს და მოგვიწოდებდნენ მუშათა კლასის ინტერე-

სებთან უფრო ახლო დადგომისა და მათს ბრძოლაში და აღმშენებლობაში მონაწილეობისაკენ.

კონფერენციას მოკლე მოხსენება გაუკეთა ამხ. ბენიტო ბუაჩიძემ ქართული მწერლობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა სანდრო შანშიაშვილმა და ლექსები წაიკითხეს: გ. ქუჩიშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ს. შანშიაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ და სხ.

ლექსები წაიკითხეს აგრეთვე თურქმა ახალგაზრდა პროლეტ-პოეტმა სულეიმანმა და რუსეთის პროლეტარულმა პოეტებმა კირილოვმა და გერასიმოვმა.

კვირას 19 ივნისს დილით ჩვენ დავათვალიერეთ მეტად ღირს-შესანიშნავი დაწესებულება—ბაქოს ქალთა კლუბი. ეს კლუბი საყუარადღებოა მით, რომ იგი საუკეთესო მაჩვენებელია თურქი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მომხდარი, მართლაც და ძირეული გარდატეხისა. გუშინდელი მონა, თურქი ქალი, რომელიც ჩადრში გახვეული გამო-ხატავდა იმ დროინდელ სოციალ-პოლიტიკური და ყოფითი მდგომარეობის მთელს სიბნელესა და უკულმართობას, ეხლა ჩვენ ვნახეთ ახალი ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ფრონტზე, თავისუფალი, და ახალი ცხოვრების მშენებლობაში აქტიურად ჩამბული.

ყოველწლიურად ეს კლუბი რამოდენიმე ასეულ მომზადებულ თურქ-ქალს აწვდის აზერბეიჯანის პროვინციებს ყოფა-ცხოვრებისა და კულტურულ ფრონტზე სამუშაოდ.

ეს კლუბი მართლაც ნამდვილი ლაბორატორიაა ახალი ყოფა-ცხოვრებისა და ნამდვილი მაჩვენებელი იმ გარდატეხისა, რომელიც მომხდარა აზერბეიჯანის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში გასაბჭოების შემდეგ.

აქედან ჩვენ გავემგზავრეთ ე. წ. „შავი ქალაქის“ დასათვალიერებლად. ქალაქის ამ ნაწილში მოთავსებულია უდიდესი ფაბრიკები და ქარხნები ნავთისა და სხვ. ნავთის პროდუქტების დასამუშავებლად. სპეციალისტები გვაძლევდნენ დაწვრილებით ახსნა-განმარტებას. ჩვენს წინ წარმოდგა სრული სურათი წინა-დღით დათვალიერებულ ნავთის საბურღავებიდან მიღებულ მასალის დამუშავებისა და იქიდან ნავთის, მაზუთის, ბენზინის, ზეთის, სხვადასხვა გაზების და სხვა პროდუქტების დამზადებისა.

ყველა ამ ფაბრიკა-ქარხნებში იგრძნობა მძიმე ინდუსტრიის ატმოსფერა. ყველგან მუშაობა სწარმოებს ახალი სისტემის, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა ნიადაგზე.

ე. წ. „თეთრ ქალაქში“ ჩვენ დავათვალიერეთ ამიერ-კავკასიაში

უდიდესი საქსოვი ფაბრიკა—ლენინის სახელობის. აქ მუშაობს 3500-მდე მუშა. ჩვენ გავეცანით წარმოების მთელ პროცესს—ფაბრიკაში ნედლი მასალის—ბამბის შესვლიდან—უკვე გამზადილ ნარმის მიღებამდე, ფაბრიკის ყველა განყოფილებებში მუშაობა სწარმოებს ელექტრო-ენერჯიის საშუალებით, ავტომატიურად

ქალაქის ამავე ნაწილში ჩვენ დავათვალიერეთ ლუდის ქარხანა.

19 მაისს, საღამოს 7 საათზე ბაქოს ერთ-ერთ სასწავლებლის შენობაში შესდგა ჩვენი დელეგაციისა და აზერბეიჯანის კულტურულ ძალთა გაერთიანებული თათბირი, რომელზედაც აზერბეიჯანის განსახკომმა ამხ. კულიევი გააკეთა ვრცელი მოხსენება აზერბეიჯანის კულტურულ მშენებლობის შესახებ. მომხსენებელი ლაპარაკობდა თითქოს 3 საათის განმავლობაში.. მან ციფრული მასალით გვიჩვენა ის წარმოუდგენელი ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს გასაბჭოების შემდეგ მოსახლეობის განათლების საქმეში. ამ უკანასკნელ წლებში საოცრათ გაზრდილა ყველა საფეხურების სასწავლებელთა ქსელი, განვითარებულა პროფ-ტექნიკური და სპეციალური განათლება; ფართოთ გატარებულა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და საერთოთ მტკიცე ნიადაგზე დამდგარა მასსიური განათლების საქმე.

ასეთივეა მდგომარეობა თურქული წიგნის გამოცემისა და გავრცელების მხრივ. მომხსენებელმა გაგვაცნო აზერბეიჯანში ახალი ალფაბეტის შემოღების დადებითი შედეგები და მრავალი სხვა საერთო-კულტურული მიღწევები.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო მოხსენების ის ნაწილი, სადაც ამხ. კულიევი ვრცლად შეეხო თურქული ხელოვნების ყველა დარგებისა და კერძოთ ლიტერატურის მდგომარეობას. სქემატიურად, მოკლედ, მაგრამ მთლიანი შთაბეჭდილების მომცემი გარკვეულობით დაგვიხასიათა მომხსენებელმა თურქული მწერლობის ისტორია: მისი რევოლუციის წინა-დროინდელი და რევოლუციის შემდეგი ვითარება. ჩვენ დავინახეთ, თუ რა გარდატეხა მომხდარა თურქულ მწერლობაში გასაბჭოების შემდეგ, რა დიდი კვალი დაუშინევია ამ მწერლობის იდეურ-თემატიური ბუნებისათვის ბაქოს მუშათა კლასის თავგანწირულ ბრძოლებს და გამრჯვებებს.

ამ ჟამად აზერბეიჯანში არსებობს საკმაოდ მძლიერ ორგანიზაციად ჩამოყალიბებული პროლეტარული მწერლობა, რომელსაც ყავს უკვე არა ერთი ნიჭიერი და პოპილარული პოეტი და მწერალი. სხვა ლიტერატურული ორგანიზაცია ადირბეიჯანში არ არსებობს. ძველი მწერლები იჩენენ თანამედროულ განწყობილებებს და ასეთე-

ში ოიტერატურულ ნუშაობას ეწევიან პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის დახმარებით. განსაკომის ხელოვნების განყოფილება სცემს ჟურნალს, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ლიტერატურას და ხელოვნებას. აქ პროლეტ მწერალთა გარდა იბეჭდებიან თანამგზავრი მწერლებიც.

მთელ რიგ აზერბეიჯანელ მწერალთა ნამუშევრები აგებული ყოფილა აგრეთვე ქართულ მასალებზე. მაგალითად გუსეინ ჯავიდს დაუწერია ახალი დრამა „გიჟი თავადი“ ქართველების ცხოვრებიდან.

კულიევის მოხსენება საყურადღებო იყო მით, რომ იგი საკმაოდ კრიტიკულად იყო აშენებული და მომხსენებელი თანაბრად გვიჩვენებდა როგორც მიღწევებს, ისე ნაკლსაც. ამ მხრივ საყურადღებო იყო მისი შენიშვნები კრიტიკის შესახებ, თურქული მუსიკის შესახებ და სხ. მომხსენებელმა გაგვაცნო აგრეთვე თურქულ თეატრის, კინოს, და სხვა დარგთა მდგომარეობა. სამოქალაქო არხიტექტურის დარგში აზერბეიჯანშიც ადგილი ქონია თითქმის ისეთსავე, აზრთა დაპირისპირებას, როგორსაც ვხვდებით ჩვენში „ნაციონალურ სცილის“ და ახალი მშენობლობის პრინციპთა ბრძოლის სახით.

მთლიანად კულიევის მოხსენებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა ადერბეიჯანს ისეთივე დიდი მიღწევები აქვს კულტურის ფრონტზე, როგორიც ვნახეთ მისი სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებით ვითარების შესწავლის დროს.

მოხსენების დასასრულს ჩვენ მიგვიწვიეს ბანკეტზე. აქ თურქი მწერალის ახვერდოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა კამათი მოხსენების გარშემო ჩვენი დელეგაციიდან ვილაპარაკეთ პაოლო იაშვილმა, არისტო ჭუმბაძემ და მე.

ჩვენ ვლაპარაკობდით უმთავრესად იმის შესახებ, რომ ჩვენსა და თურქ მწერალთა შორის, როგორც გამოირკვა ყოფილა ბევრი რამ საერთო უახლოეს ამოცანებისა და მიზნების მხრივ. რისთვისაც კიდევ უფრო ნათელი ხდება ჩვენი დაკავშირების აუცილებლობა. ჩვენ მიუთითეთ იმ უარყოფით მოვლენაზე, რომ ადერბეიჯანში ვერ შეუქმნიათ მწერალთა ისეთი ორგანიზაცია, როგორიც გვაქს ჩვენ, საბჭოთა მწერლობის ფეცერაციის სახით. მიუთითებდით მთელ რიგ პრაქტიკულ საშვალეებზე, ჩვენი დაკავშირების და კულტურულ გამოცდილებათა და მიღწევებით დაახლოვებისათვის.

კამათში გამოვიდენ აგრეთვე მთელი რიგი თურქი მწერლები და კულტურული ორგანიზაციების (პრესა, გამომცემლობა და სხ.) ხელმძღვანელები. აქ გამოირკვა, რომ თურქულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ყოფილან ამ უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ქარ-

თველი მწერლები. მაგალითად: დანიელ ჭონქაძე, ეგ. ნინო-  
შვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ნ. მიწიშვილი, კ. ლორთ-  
ქიფანიძე და სხ.

აქ გამოითქვა პრაქტიკული მოსაზრებები ურთიერთ თარგმანე-  
ბის მოგვარებისა, დამაკავშირებელ ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა  
და სხვათა შესახებ.

დასასრულ ჩვენ მოვისმინეთ აზერბეიჯანელ მომღერალთა და  
პოეტების გამოსვლა. ლექსები წაიკითხეს თურქმა პოეტებმა—გუ-  
სეინ ჯავიდმა, ჯათარლიმ, სულეიმანმა და სხ. ლექსები  
წაიკითხეს აგრეთვე ქართველმა პოეტებმა: ი. გრიშაშვილმა,  
პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილმა, კ. ლორთქი-  
ფანიძემ და სხ.

ვინაიდან შეუძლებელი აღმოჩნდა თათბირის ამავე სხდომაზე  
მოხსენების მოსმენა ქართველი მწერლების შესახებ, მეორე დღისათვის  
დაინიშნა თათბირის მეორე სხდომა.

ორშაბათს, 20 მაისს დილით ჩვენ დაგვათვალისწინებინა ბაქოს  
ისტორიული ძეგლები. მათ შორის აღსანიშნავია „ხანის სასახლე“  
და „ქალწულის კოშკი“. პირველი წარმოადგენს მე-15 საუკუნის და-  
საწყისის ნაშთს. საკმაოდ მოზრდილი, ორ სართულიანი სასახლე,  
აგებული ძველი, ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი თავი-  
სებურებებით — ჯურღმულები, კატაკომბები, ვიწრო ფანჯრები,  
თაღები. ადამიანთა საზოგადოების მიერ განვლილი უსაშინელო,  
მონური, ბნელი ცხოვრების თვალსაჩინო ილლიუსტრაციაა.

მეტად საინტერესოა ამ სასახლის ის ნაწილი, სადაც ხანის სა-  
მსჯავრო ყოფილა გამართული. არის დამახასიათებელი ორნამენტები  
და საერთოდ იმ ეპოქის ხუროთმოძღვრების ნიმუშები.

აღბათ რომელიმე პატრიოტისათვის ეს „ნაციონალურ სტი-  
ლის“ საამაყო და საყვარელი ნიმუშებია, ჩემთვის კი ამ სასახლის  
ყოველი ქვა, ყოველი თაღი თუ ორნამენტი მაჩვენებელია იმ საზო-  
გადოებრივ ურთიერთობის მთელი სიბნელისა და უკულმართობის,  
რომლის ატმოსფერა სდგას ამ მრავალთახიან შენობის საკმაოდ  
დაცულ ყოველ კუთხეში.

„ქალწულის კოშკი“ წარმოადგენს ვეებერთელა, შვიდი სარ-  
თულისგან შემდგარ კოშკს ეს იშვიათი ისტორიული ძეგლია თავისი  
მონუმენტალობით და ხელუხლებლობით. იგი დაცულია თითქმის  
მთლიანად. კოშკში აყვანილია კიბე, რომლითაც ჩვენ ავედით კოშ-  
კის თავზე, საიდანაც მოსჩანს მთელი ბაქო თავისი მიდამოებით და  
უსაზღვრო სივრცეები. ეს კოშკი ოდესმე ყოფილა აგებული ზღვის

პირას. ამას მოწმობს კოშკის ძირში დარჩენილი უდიდესი დამბე-  
ბი. ახლა კი ზღვა ამ კოშკიდან საკმაოდ დიდ მანძილზეა დაშორე-  
ბული. კოშკი უძველეს ეპოქას ეკუთვნის. დაახლოვებით იგი უნდა  
იყოს აგებული 2000 წლის წინად.

კოშკის სახელწოდება წარმომდგარა იქიდან, რომ მტერისათვის  
იგი ყოველთვის მიუვალი და ხელუხლები ყოფილა. ამიტომ მისთვის  
ხალხს ქალწულობის ეპიტეტი მიუცია. ყველა ამ ცნობებს გვაძლევს  
ამ ისტორიულ სიძველეთა თურქი სპეციალისტი. ის მეტად დამახა-  
სიათებელი პიროვნებაა: ნირვანში და, წარსულში გადასული ადა-  
მიანის ექსტაზით გვიამბობს იგი ამ უშორეს ეპოქათა ამბებს—სპე-  
ციალისტ მეცნიერთა დასკვნებს, თავის პირად შეხედულებებს.

ჩვენ ვნახეთ აგრეთვე ქალაქის ძველი ნაწილები, თავისი ვიწრო  
ქუჩებით. ბნელი ჭუჭყიანი შენობებით ძველებური. მაღალი ქვითკი-  
რის გალავნებით, ალაყაფებით და სხ. ვათვალიერებთ ამას და ჩვენ-  
თვის კიდევ მეტად საგრძნობი ხდება კონტრასტი ამ ბნელ წარსუ-  
ლის ნაშთებისა და იმ მშვენიერებას შორს, რომელსაც ჩვენ 4 დღის  
განმავლობაში ვეცნობოდით.

იმავე დღეს სალამოს 6 ს-ზე თურქული კულტურის შენობაში  
შესდგა კულტათბირის მეორე სხდომა. ეს სახლი წარმოადგენს  
უზარმაზარ შენობას, რომელშიც მოქცეულია მთელი რიგი კულტუ-  
რული დაწესებულებანი. შენობა მორთულია პლაკატებით და ლოზუნ-  
გებით, რომლებითაც აზერბეიჯანის კულტურული ძალები გვესალ-  
მებიან ჩვენ და კმაყოფილებით აღნიშნავენ ჩვენი ურთიერთ დაკვა-  
შირებისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს.

აღმოსავლურ დარბაზში შესდგა ჩვენი სხდომა თურქი მწერლე-  
ბის, კულტურული მუშაკების და განსახკომის თანდასწრებით. აქ  
გრიგოლ რობაქიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება ქართული  
მწერლობის შესახებ. მან განავითარა ჩვენი ლიტერატურის ისტო-  
რიული გენეზისი მე-5 საუკუნიდან დღემდე. ძველ ლიტერატურის  
ანალიზიდან განსაკუთრებით საინტერესოთ გაარჩია მან იაკობ ხუ-  
ცესის, გიორგი მერჩულის და რუსთაველის შემოქმედება. მომხსენე-  
ბელმა გაურკვია მაყურებელთ ქართული სიტყვის თავისებურებანი და  
ამ სიტყვის ძველი ოსტატების უდიდესი მიღწევები. ახალი მწერლო-  
ბის გარჩევის დროს შესაძლებელი ობიექტივობით დაახასიათა მან  
ჩვენში არსებულ ლიტ. მიმდინარეობათა ყველა იმ წარმომადგენლე-  
ბის შემოქმედება, რომლებიც დელეგაციაში შედიოდნენ. რობაქიძე  
თითქმის 2 1/2 საათის განმავლობაში ლაპარაკობდა მისთვის ჩვეული  
პათოსით, ერუდიციით და დამაჯერებლობით. მისიანალიზი ატარებ-

და წმინდა ლიტერატურულ-სპეციფიურ ხასიათს. დამსწრე თურქი მწერლები და კულტურული ძალები დიდის ინტერესით ისმენდენ მოხსენებას და დიდი კმაყოფილება გამოსთქვეს ამ მოხსენების გამო.

კულტურათბირის დამთავრების შემდეგ ჩვენ წავედით ამავე შენობის დიდ დარბაზში, სადაც დანიშნული იყო ამ. კ. ხალხთა კულტურული დაკავშირების საღამო. მრავალრიცხოვანი აუდიტორა, შედგენილი მუშებისა, მოწინავე ინტელიგენციისა და მოწაფე ახალგაზრდობის მიერ არა ჩვეულებრივი სიმხურვალით შეხვდა ჩვენს ესტრადაზე გამოჩენას.

საღამოს პირველ ნაწილში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მოკლე სიტყვით გახსნა ა. კ. პ-ის ცეკას სააგიტ.-საპრ. განყოფილების გამგემ ალმამედოვმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აზერბეიჯანის განსახკომი—კულიევი; პროფსაბჭოს კულტურულ-განყოფილების გამგე—შახბაზოვი. მწერალთა წარმომადგენელი—ახვერდოვი. პროლეტმწერალთა წარმომადგენელი—სულეიმანი და მთელ რიგ მუშათა ორგანიზაციისა და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ჩვენი მწერლობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბენიქო ბუაჩიძე, რომელმაც სოციოლოგიური-კლასიური თვალსაზრისით მიმოხილვა გაუკეთა ეხლანდელ ქართულ მწერლობას და გარკვია ლიტ. მიმდინარეობათა შორის არსებული დიფერენციაცია.

ჩვენი დელეგაციის სახელით მოკლე სამადლობლო სიტყვა წარმოსთქვა გრიგოლ რობაქიძემ, დელეგაციის სახელით ილაპარაკა აგრეთვე ბეს. ჟღენტმა.

საზეიმო მიტინგის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ალმამედოვმა, რის შემდეგ მთელმა დარბაზმა ჩვენს დელეგაციას გაუმართა მხურვალე ოვაციები. მთელი აუდიტორია ფეხზე ამდგარი გვიძღნიდა ოვაციებს და გაიძახოდნენ—„გაუმარჯოს ქართულ მწერლობას“, „გაუმარჯოს ჩვენს კავშირს“ და სხ.

საღამოს მეორე ნაწილში გაიმართა მეტად მრავალფეროვანი კონცერტი.

21 მაისს, ჩვენ თურქ მწერლებთან ერთად გავემგზავრეთ ბაქოდან 40 ვერსის მანძილზე გაშენებულ სააგარაკო ადგილების—მარდავანის დასათვალიერებლად, სადაც ვნახეთ ახლად აგებული სანატორიუმები ბაქოს მუშებისათვის.

ეს სანატორიუმები სეზონში სამსახურს გაუწევენ 12000 მუშას. ისინი მოწყობილი არიან მეტად კულტურულად და მიზანშეწონილად.



მარდავანში გამგზავრების წინ ჩვენ დავათვალერეთ აზერბეიჯანის მუზეუმი, რომელიც სულ 3-4 წელიწადია, რაც დაუარსებიათ. საკვირველია, რომ ასეთ მცირე ხნის განმავლობაში მათ მოუხერხებიათ ასეთი დიდი რაოდენობის სამუზეუმო ექსპონატების დაგროვება, მუზეუმის ყველა განყოფილებებისათვის (ეტნოგრაფიული, ისტორიული, თეატრალური, სამხატვრო, ბოტანიკური და სხ. და სხ.).

უკანასკნელ საღამოს ბაქოში ჩვენ ვისვენებდით. ვაწარმოებდით კერძო საუბარს თურქი მწერლებთან, ვსეირნობდით ზღვაზე და ვათვალერებდით ქალაქის ზოგიერთ ნაწილებს.

22 მაისს, დილით გამოვემგზავრეთ ტფილისისაკენ.

მთელ ბაქოში ყოფნის განმავლობაში ჩვენ ერთი წუთითაც არ გვიგვრძნია თურქი მწერლებისა და ხელისუფლების სათანადო ორგანოების ყურადღების შენელება ჩვენს მიმართ.

ჩვენს ყველა მოგზაურობებს ხელმძღვანელობდენ პროლეტმწერალი ამხ. სულეიმანი და აზერბეიჯანის სახელგამის თანამშრომელი — განათლების მუშაკთა კავშირს სამეცნიერო სექციის პ/მგ. მდივანი — ამხ. მარგოლინსი.

დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ჩვენს დელეგაციას ბაქოს პრესა. განსაკუთრებით „Бакинский рабочий“ და თურქული „კომუნისტი“. იბეჭდებოდა დაწვრილებით ინფორმაციები, დელეგაციის წევრთა ანკეტები, შთაბეჭდილებები, ბიოგრაფიები, პორტრეტები და სხ. დაიბეჭდა აგრეთვე ადგილობრივ პრესაში ზოგიერთი ქართველ პოეტების ლექსების თარგმანები.

ორიოდე სიტყვა ბაქოს ქართველობის შესახებ: ბაქოში სცხოვრობს რამდენიმე ათასი ქართველი. ძველად აქ იყო მეტად ძლიერი ქართული კოლონია. აქ ყოველთვის იყო ქართული თეატრი, სკოლა და სხ. ჩვენ დავინტერესდით მოსახლეობის ამ ნაწილის ეხლანდელი კულტურული მუშაობით. გავიგეთ, რომ, ჩვენი ჩასვლის დღეს იხურობოდა სეზონი ბაქოს ქართულ თეატრში. რამოდენიმე მწერალმა მოვახერხეთ წასვლა. ქართულ სკოლის შენობაში არის პატარა კლუბი. დამსწრე აუდიტორია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო: საღამოში მონაწილეთა შორის შევნიშნეთ რამოდენიმე საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდაც, მაგრამ რაც იქ ჩვენ ვნახეთ, მას არაფერი საერთო არ აქვს ჩვენს ეხლანდელ თეატრალურ კულტურასთან. ჩამორჩენილობა და პრომიტიულობა ვიგრძენით ჩვენ ამ თეატრის მუშაობაში. ჩვენ გვითხრეს, რომ თეატრს არ აქვს არავითარი ნივთიერი საღსრები და ეძლევა მეტად უმნიშვნელო დახმარება.

ამის შესახებ ჩვენ ვესაუბრეთ განსახკომს ამხ. კულიევს,

რომელმაც კატეგორიულად აღგვითქვა მომავლისათვის ქართულ მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებისადმი მეტი ყურადღების მიპყრობა და მეტი დახმარების აღმოჩენა.

მე ვფიქრობ ქართველმა მწერლებმა და ჩვენმა განსახკომმა უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება ამ საკითხს.

—

მრავალმხრივია და ქართულ მწერლობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამ მოგზაურობის შედეგები. მეზობელ რესპუბლიკის მწერლებთან და კულტურულ ძალებთან პირადი დაახლოებისა და დაკავშირების გარდა—გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი საშუალებანი ამ ორ ხალხის კულტურული დაახლოებისათვის. ამავე დროს ბაქოს პროლეტარიატთან შეხვედრა, ამ დიდი სამრეწველო ქალაქის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების გაცნობა, მეტად მდიდარ მასალებს აძლევს ქართველ მწერლებს და უეჭველად ხელს უწყობს ჩვენი მწერლობის უფრო მეტად დაახლოებას მიმდინარე რევოლუციის გზებთან და ამოცანებთან.

საჭიროა ინტენსიურად გაგრძელდეს დაწყებული საქმე. ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული დაკავშირება რეალურ ფაქტად უნდა იქცეს.

— : —

## ხელოვნების მუშაობათა აკადემია და ქართული ხელოვნება

ქართულ ხელოვნების მეცნიერული შესწავლა ჯერ არ არის დაყენებული, მთელი თავისი სიფართოვით, თვით საქართველოში. ამდენათვე, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დიდი სიძნელე არის აღმართული. ცხადია, თუ ქართული ხელოვნება ვერ იპოვის მკვლევარს თვით ქართველ მეცნიერთა შორის, თუ არ იქნება ნაწილობრივად მაინც შემუშავებული მასალები სამეცნიერო კვლევისათვის, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიას არ ექნება საშუალება თავის მუშაობის პროცესში მოაქციოს ქართული ხელოვნება. ამ საკითხს ეხება ვახ. კოტეტიშვილის წერილი, მოთავსებული „ქართული მწერლობის“ № 1-2-ში. ავტორი არ ეთანხმება იმ გზას. რომელიც აირჩია აკადემიის ქართული ხელოვნების განყოფილებამ (აღსანიშნავია, რომ ავტორი არ გვაცნობს თუ რაში გამოიხატება ეს გზა) და აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საქართველოში შეიქმნეს ხელოვნების ინსტიტუტის სახით გარკვეულ ცენტრი, რომელიც გაუწევს დახმარებას აკადემიის მუშაობას.

ჩვენ ამ საკითხს განზრახ არ ვაყენებდით, არ ვაყენებდით იმიტომ, რომ ჩვენი ფინანსიური და სამეცნიერო შესაძლებლობანი საკმაოდ მცირედ მიგვაჩნდა ხელოვნების ინსტიტუტის შესაქმნელად. ვფიქრობდით, თავდაპირველად დავკმაყოფილებულიყავით აკადემიასთან კაბინეტის ჩამოყალიბებით, სადაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ქართულ ხელოვნების ყველა დარგი (მისი ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა, საუკეთესო მიღწევათა ნიმუშები). ამასთან ერთად კავშირი დაგვემყარებია ყველა სამხატვრო-სამეცნიერო დაწესებულებებთან და მოღვაწეებთან, რომელთა თანამშრომლობით ქართულ ხელოვნების მასალები ჰპოვებდა გარკვეულ ადგილს აკადემიის მუშაობაში. ეს ამოცანა ჩვენ ნაწილობრივად გავანაღდეო. ქართულ ხელოვნების კაბინეტის ორგანიზაციის პირველი ნაბიჯი გადადგმულია, დამყარებულია ურთიერთობა სათანადო ორგანოებთან და ძალებთან.

ცხადია, საქმე ამით არ სრულდება. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით წერილის ავტორს, რომ საჭიროა ამ საქმემ მიიღოს ფართო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ხასიათი. ავტორის აზრი,

რომ მოწვეულ იქნეს თათბირი ხელისუფლებისა და ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლებისაგან აღძრულ კითხვისა და მისი ორგანიზაციული მხარის გამორკვევის შესახებ, სავსებით დროულია. მართალია, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიამ ჰპოვა დიდი თანაგრძნობა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ კიდევ მთელი რიგი საკითხები არ არის გამორკვეული.

ჩვენ შევეცადეთ გარკვეულ ცენტრის შექმნას, რომელსაც უნდა მოეგვარებია ურთიერთობა ჩვენსა და ადგილობრივად მომუშავე დაწესებულებებსა და პირებს შორის. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ შემთხვევითი ხასიათი არ ექნეს აკადემიასთან თანამშრომლობას საქართველოდან, ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში. განათლების კომისარიატის ხელოვნების მთავარმართველობასთან დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ამ საკითხზე ზრუნვა მაგრამ ეს საკითხის გადაწყვეტა კიდევ არ არის. კომისიას არა აქვს არც სახსარი, არც სპეციალური აპარატი, არც მჭიდრო კავშირი საჭირო ძალებთან.

როგორც ავლნიშნეთ, ვახ. კოტეტიშვილი აყენებს საკითხს სპეციალური სამეცნიერო დაწესებულების შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა აწარმოოს მუდმივი მუშაობა ქართული ხელოვნების შესწავლისათვის და დაიჭიროს კავშირი ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან. თუ ეს პრაქტიკულად შესაძლო იქნება, უნდა ვიფიქროთ საკითხი იპოვის საუკეთესო გადაწყვეტას, თუ არა იმ შემთხვევაში აუცილებლათ უნდა შეიქმნეს სპეციალური საუწყებათაშორისო ორგანო სამხატვრო დაწესებულებათა წარმომადგენლობისაგან, ერთი მუდმივი მუშაკით მაინც და სპეციალური რესურსებით, რომელიც შემუშავებულ საწარმოო გეგმის მიხედვით ორგანიზაციულათ წარმართავს ქართულ ხელოვნების სამეცნიერო კვლევის საქმეს. თუ ადგილობრივათ ასეთი ორგანო არ შეიქნა ჩვენ ცენტრში ვერ შევძლებთ რაიმე სერიოზული მუშაობის ჩატარებას.

უზბეგისტანის მოსკოვის წარმომადგენლობისაგან ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო ცნობა, რომ უზბეგისტანის კომისართა საბჭომ გადადო აკადემიაში უზბეგისტანის ხელოვნების კაბინეტის ჩამოყალიბებისათვის 7.000 მანეთი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უზბეგთა კულტურა და ხელოვნება მეტად ღარიბია. საქმე გვაქვს უფრო მეტად პრიმიტივებთან, ვიდრე კულტურულ მიღწევებთან. ასეთ პირობებში 7.000 მანეთი საკმაო თანხაა, რომ უზბეგთა ხელოვნება წარმოდგენილი იქნეს აკადემიაში საკმაო სიფართოვით. ჩვენ ვერ შევძელით ვერავითარი ქონებრივი სახსარის გამოძებნა ჩვენი

კაბინეტისათვის. წლის მთელი მუშაობა ჩვენ ჩავატარეთ აკადემიის სახსრებითა და დახმარებით. წინ გვაქვს საკმაოდ ფართო ამოცანა: ქართული ხელოვნების კვირეულის ჩატარება მოსკოვში. ეს მოითხოვს ადგილობრივი ძალების გამოწვევას (მწერლები, სამეცნიერო მუშაკები) გამოფენების მოწყობას, ხოროების მოწვევასა და სხვა. აკადემია ვერ იკისრებს მთელი ხარჯის გაწევას.

განზრახულია სპეციალური ექსპედიციის გაგზავნა საქართველოში ხალხური ხელოვნების შესასწავლათ. ეს მოითხოვს ადგილობრივ ძალებთან კავშირის დამყარებას, საერთო გეგმის შედგენას და თანამშრომლობას ექსპედიციასთან. ვიმეორებ, ყოველივე ამას, და ამის მსგავს საკითხებს შემდეგშია, ვერ მოაგვარებს ხელოვნების მთავარმართველობის კომისია, რომელსაც არც აპარატი აქვს და არც სახსარი.

ეხლა მიმდინარეობს ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ ეს დაწესებულება კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდეს მარქსისტულ მსოფლმხედველობის და თანამედროვეობის პრობლემებს. ამ უკანასკნელში უპირველესად იგულისხმება კავშირის ერთა ხელოვნების შესწავლა. ჩვენ არ უნდა გაუშვათ ხელიდან ის დიდი შესაძლებლობა, რომელიც გვაქვს საკავშირო ცენტრში ჩვენი კულტურისა და ხელოვნების როგორც მეცნიერული შესწავლის, ისე გავრცელებისათვის. ამ საქმეს დიდი ყურადღებით ეკიდება როგორც რუსეთის განათლების კომისარიატი, ისე ეროვნებათა საბჭო.

ჩვენ გვჭირია კავშირი და თანამშრომლობა რუსეთის მეცნიერულ მუშაკებთან არა მარტო სამეცნიერო, არამედ პოლიტიკური მიზნითაც. ნაციონალური პოლიტიკის ერთ ერთ მთავარ ამოცანას ერთა დაახლოვება წარმოადგენს. დღეს კულტურული რევოლუციის პირობებში, ჩვენ მოძმე ერებთან უნდა შევკრათ კავშირი ერთმანეთის კულტურის გაცნობისა და შესწავლისათვის. საქ. სამხატვრო აკადემიაში გამართულ თათბირზე, ჩვენი საინფორმაციო მოხსენების ირგვლივ, სახ. მსახიობმა ზ. ფალიაშვილმა თათბირს გადასცა ცნობა მის მიერ უკრაინაში ჩატარებულ ქართულ მუსიკის კონცერტის შესახებ. მან აღნიშნა დიდი ინტერესი და ყურადღება ჩვენი მუსიკისა და ხელოვნებისადმი უკრაინელების მხრით და მოითხოვა ამ საკითხსაც მიქცეოდა ყურადღება.

ჩვენ ვფიქრობთ უკვე დროულია შეიქმნეს რაიმე სახის კულტურულ-სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურ-

რის გატანას მოძმე რესპუბლიკებში და გახდის მას სამეცნიერო კვლევის საგნათაც.

ჩვენ გვქონდა ერთი თვალსაზრისი, რომელსაც ეხლაც ვიზიარებთ: ასეთი კულტურული ცენტრის შექმნა არ უნდა ხდებოდეს უმთავრესად სახელმწიფოს სუბსიდიებითა და დოტაციით. მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა, მშრომელი ინტელიგენცია, სამხატვრო სამეცნიერო დაწესებულებანი აქტიურად უნდა ამოძრავდენ ამ დიდი საქმისათვის. საკუთარი თაოსნობითა და საშუალებებით უნდა შეეძლოთ რაიმე ხელშესახები ნაყოფის შექმნა. ჩვენ სრულიად ვერ ურიგდებით იმ ინვალიდურ განწყობილებას, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც ყოველ წამოწყებასა და კერძო ჩვენ წამოწყებასაც, შეკითხვით შეეგება—რამდენი ავანსები იქნება თანამშრომლობისათვის, რამდენი თანხები გეძლევათ მთავრობისაგანო. ჩვენ არავითარი თანხები არ გაგვაჩნდა, მაგრამ ჩავატარეთ მეტად სერიოზული მუშაობა (ამ მუშაობის ანგარიშები ცალკე იქნება დაბეჭდილი). ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები აღფრთოვანებული არიან ჩვენი მუშაობით და ამასვე სანიმუშოთ მიუთითებენ სხვა ეროვნებათა განყოფილებებს. ამას გვალაპარაკებს არა რაიმე საპირადო მოსაზრება, არამედ ის გარემოება, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ შევეთვისოთ საკუთარ ინიციატივას და მთელი კულტურული მუშაობის სიმძიმე არ დავაკისროთ სახელმწიფო ბიუჯეტს.

ვიმეორებთ, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ვახ. კოტეტიშვილის აზრს, რომ აუცილებელია სპეციალური თათბირის მოწვევა, (შეიძლება ეს თავზე იდოს მწერალთა კავშირმა, ან სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ) რომელზედაც საბოლოოთ უნდა გამოირკვევს ისეთი კულტურული ცენტრის შექმნის საკითხი, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას, კერძოთ ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობას ქართული ხელოვნებათ—მეცნიერების შესაქმნელად და საერთოდ ჩვენი კულტურული მიღწევების გასატანათ მოძმე ერებში, ისე როგორც ამ ერთა კულტურულ მიღწევათა შემოტანას ჩვენში.

მოსკოვი 25 III.

— : —

# ლიტერატურული დოკუმენტები

ი. მანსვეტაშვილი

## ჩემი წარსულიდან

### ნანახი და გაგონილი

წარსული საუკუნის 70 წლები უნდა აღინიშნოს, როგორც ღირსშესანიშნავი ხანა ქართველ მოზარდ ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში თავი იჩინა ეგრედ წოდებულმა ნაროდნიკობამ (ხალხოსნობამ), რომელმაც მიზნად დაისახა სოფლად სიარული და გლეხთა შორის გავრცელება თვითმპყრობელობის და ძველი სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ მემართული აზრებისა. რუსეთში დიდი მოძრაობა შეიქმნა. ამ მოძრაობის ტალღებმა ჩვენცენაც გადმოჰკრეს. რუსეთის მაღალ სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდა ქართველებმა გაიზიარეს ეს მოძღვრება და საქართველოში გადმოიტანეს. ამ პირველ პიონერთა შორის კარგად მახსოვს ი. ჯაბადარი, რ. ფავლენიშვილი, ეგ. იოსელიანი და სხვანი.

ამ მოძღვრებამ ჩვენში კარგი ნიადაგი მოიპოვა. ხალხში სიარული, გლეხებში ახალი მოძღვრების გავრცელება არც ისე ძნელი საქმე იყო. ნუ დავივიწყებთ რომ უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობის სოფლის ღვიძლი შვილები იყვნენ, სოფელს არ იყვნენ მოწყვეტილნი. კარგად იცოდნენ მისი ავი და კარგი. კარგად ესმოდათ მისი დარდი და ნაღველი ისიც არ იყო მათთვის საიდუმლო, თუ ვინ იყო ხალხის მჩაგვრელი, რა აწუხებდა მას, რა სტანჯავდა, რა იყო მუდმივი მისი საზრუნავი და სანატრი.

მართალია, კარგა ხანმა გაიარა, რაც ბატონყმობა მოისპო, მაგრამ ხალხმა მალე აახილა თვალი და ცხადად დაინახა, თუ როგორ გაუცრუვდა იმედები, რომელსაც იგი ამყარებდა ამ განთავისუფლებაზე.

\*) ამ მოგონებების ავტორი, იაკობ მანსვეტაშვილი (1855—) გაზ. „ივერიის“ ცნობილი თანამშრომელი იყო, სადაც იგი ათავსებდა წერილებს დონიაგოს ფსევდონიმით.

კარგად ჩამეჭრა მეხსიერებაში ის სიხარული, რომელსაც ხალხი განიცდიდა განთავისუფლების ამბის გამო. ეს მოხდა ჩვენში 1864 წ. მე მაშინ 9 წლისა ვიყავი. ახლად ვიყავი სასწავლებელში მიბარებული და ტფილისში ვცხოვრობდი. ხმა გავარდა, რომ ამა და ამ დღეს საჯაროდ გამოცხადდება ბატონყმობის გადავარდნაო. ეს ამბავი მოხდება გუნების მოედანზეო. გუნების მოედანი მაშინ იმ ალაგს, ეწოდებოდა სადაც ეხლა ამართულია უხეში და უშნო შენობა, ყოფილი სამხედრო ტაძარი, სასახლის გვერდით, რუსთაველის პროსპექტზე.

დანიშნულ დღეს მოედანზე მართლაც ხალხის ტევა არ იყო. ყველა ღელავდა დიდი ამბის მოლოდინში, მოედნის შუაგულში ამართული იყო მაღალი ფიცრული ესტრადა და ზედ იდგა კათედრა. ესტრადაზე თავი ჰქონდათ მოყრილი ღენერლობას, წარჩინებულ და დიდ მოხელეებს დიდის ზარით და ზეიმით წაკითხულ იქმნა მანიფესტი. გათავდა. ხალხი გვეგრვინავდა სიხარულის ცრემლებით ერთმანეთ ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. საზღვარი არ ჰქონდა სიხარულს, ბედნიერებას მეტადრე მათ შორის, ვინც მართლა თავს აცლიდა იმ მძიმე და ადამიანის ღირსების დამამცირებელ უღელს, რომელსაც სახელად ბატონ-ყმობა ეწოდებოდა.

გაქრა პირველი აღგზნება, როგორც თვალთ-წარმტაცი სინათლე აფეთქებულ შუშხუნისა. ჩაიფერვლა აღფრთოვანება და ხალხმა აშკარად იგრძნო, რომ ეს დიდი წყალობა რომელიც ერთი ზეიმით იყო გამოცხადებული, თავისუფლება კი არ გამოდგა, არამედ თვალთმაქცობა, მოტყუება. მართლაც და რა ფასი უნდა ჰქონდეს თავისუფლებას, რომელსაც თან არ მოსდევს რაიმე ეკონომიური გაუმჯობესება ცხოვრებაში. რა გაუმჯობესებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი როდესაც განთავისუფლებულ, „გაბედნიერებულ“ გლეხს თითო ბოხჩა მიწა უბოძეს და ვითომ დაჩაგრულს მებატონეს კი უკეთესი მამულები ისევ საკუთრებად დაუნარჩუნეს. ესეც არ აკმარეს განთავისუფლებულებს; უფრო მეტი წყალობა გამოიღეს და გარდა ჩვეულებრივ ხარჯებისა და ბეგარისა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა და სტანჯავდა გლეხს, ზედ დაუმატეს კიდევ ეგრედ წოდებული „გამონასყიდობის გადასახადები“ (выкупные платежи). ეს გადასახადები დაწესებული იყო ვითომ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მებატონეებს მოუვიდათ იმის გამო, რომ მიწები ჩამოეცალათ.

მაგრამ რა ჩამოეცალათ? გლეხებს მიუგდეს რაღაც დაწვრილმანებული, ხშირად მწირი ნაჭრები, და უკეთესი მიწები კი, და აგრეთვე საძოვრები და ტყეები ისევ მებატონეებს შეჰრჩათ. აბა პა-



ტარა ნაბოძებ მიწით გლეხი რას გახდებოდა, და ისევ თავი უნდა მოეხარა ყოფილ მებატონესთვის მიემართა და მისგან აელო მიწა იჯარით. მებატონეც სარგებლობდა ამით და ფეხს აჭერდა. ერთის მხრივ გაჯავრებული იმით, რომ ბატონობა ჩამოერთვა და ამით მის ღირსებას შეურაცყოფა მიაყენეს, მეორეს მხრით, უფრო უარესად განრისხებული რომ მუქთი მუშა ხელი მოაკლდა და ამით მეტი შემოსავალი შემოაკლდებოდა, მებატონე იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი გამოეგლიჯა და ხშირად იჯარაში ნახევარ მოსავალს თავის სასარგებლოთ იტოვებდა. ამასაც არ კმარობდა: მოიჯარადრეს ნაბატონარის წილი თავისივე ურმით მის კარზე უნდა მიეტანა. საძოვარსა და ტყეზე ნულარას ვიტყვით. აქ მებატონე გაონავრებულ შემოდგომის ბუხს ემსგავსებოდა და, როდესაც კი გაჭირვებული ნაყმევი ხელში ჩაუვარდებოდა, ცდილობდა ერთის მაგიერ ხუთი ტყავი გაეძრო. ასე რომ ამ ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებით არც ბატონი დარჩა მადლიერი და არც ნაყმევი შეიქმნა გაბედნერებული. და როგორც ბატონყმობის დროს, ყმა-გლეხი ეხლაც ისევე ჩიოდა, ---აკაკის სიტყვებით რომ ვსთქვათ:

...უხვად მოვიდა წელს ჰური,  
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,  
რომ ამას სულ სხვა წამართმევს,  
და მე კი ტყვილად ოფლსა ვღვრი“...

რამდენჯერ მქონია გლეხებთან ლაპარაკი ამ საგნის შესახებ. და როდესაც კი ვკითხავდი, ---როგორ სცხოვრობთ მის შემდეგ, რაც თავისუფლება მიიღეთ, მეთქი სულ ერთგვარ პასუხს ვიღებდი: „განა გლეხის გაჩენაში ღმერთი რეულა? როგორც ძალღურად ვცხოვრობდით წინად, ისეც ეხლა ვართ. ვმუშაობთ, ნაწლეგებზე ფეხს ვიდგამთ, წელში ოთხად ვიხრებით, და სიმშილს მაინც თავი ვერ ავაშორეთ. ის რაღაც „ნადელები“ დაგვირიგეს, წაიღონ უკანვე, შიგ არაფერი ყრია და ხარჯებით და სარგებლის გადახდით კი სული ამოგვხუთეს. წელში გავწყდით, თავი მალლა ვეღარ აგვიღია“.

მართალი იყო პოეტი ნეკრასოვი, როდესაც ამბობდა ბატონყმობის მოსპობის თაობაზე შემდეგ საგულისხმიერო სიტყვებს:

„Разорвалась цепь великая и ударила одним концом по барину, а другим по мужику“.

ასეთი იყო გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა, მისი სულიერი განწყობილება, როდესაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ახალგაზრდობამ ხალხში სიარული დაიწყო. და რა საკვირველია, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა, წრფელის გულით, ახალგაზღური გატაცებით

ნათქვამი, გზას ადვილად იკვლევდა მსმენელის გულსა და სულში, და ისიც ნდობით გვეპყრობოდა ჩვენ.

ისეთი წიგნების წაკითხვა, როგორც იყო, «Хитрая механика», „Копейка“ და სხვანი. საიდანაც მდებრივად და ადვილი ენით ვაწოდებდით გლეხებს ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ და რისთვის არის მოწყობილი თვითმყრობელობის სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, თუ რაში და რისთვის იხარჯება ხალხისაგან შეკრებილი ფული,—მსმინელს ჭკუაში უჯდებოდა და წყლულზე მალამოდ ედებოდა.

რასაკვირველია, იყვნენ ისეთნიც, რომელნიც უნდობლობით, ეჭვის თვალთ უყურებდნენ ჩვენს ლაპარაკს და ცოტა დაცივნის კილოთიც გამოგვეპასუხებოდნენ ხოლმე. უამბნიათ ჩემთვის ასეთი შემთხვევა. როდესაც მთავრობამ ხალხში მოსიარულე პროპაგანდისტებს დევნა დაუწყო სხვათაშორის დაიჭირეს ს. მაყაშვილიც. როდესაც იმის სოფლის გლეხებს ჰკითხეს, ისეთი რა დააშავა სანდრომ რომ ციხეში ჩასვესო, პასუხათ მიიღეს: „რა მოგახსენოთ, ამბობენ „კაპეიკი“ მოუპარავს და იმისთვის დაუჭერიათო. აფსუსი არ არის ამისთანა ვაჟკაცი ერთი კაპეიკის გულისთვის წახდეს-ო. აჰ, ცხადია დაცივნით გადაკრული იყო წიგნაკ „Копейка“-ზე.

ამავე დროს, ტფილისში ერთს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ალექსანდრეს ბაღში (ეხლა კომუნარების) ორი სემინარიელი, (ერთი მათგანი იყო დ. კეზელი, შემდეგში სხარტი მეფელეტონე ქართულ და რუსულ გაზეთებში „დ. სოსლანის“ და „ზოილის“ ფსევდონიმით, ხოლო მეორე სტ. ჭრელაშვილი, შემდეგ ჟურ. „იმედის“ და გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი „სანოს“ ფსევდონიმით) სკამზე მსხდარიყვნენ. ამ დროს აქ გამოეარა დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მაშინდელ ხელმწიფის მოადგილეს კავკასიაში. სემინარიელები არ ამდგარიყვნენ და თავი არ დაეკრათ. დიდ მთავარს ეს, რასაკვირველია, დიდ შეურაცხყოფად მიელო და განრისხებულს ბრძანება მიეცა თავის ამალისთვის დაუყონებლივ შეიპყარიოთო. სემინარიელები მეტეხში ჩასვეს. დაიწყო კვლევა-ძიება. ფეხზე დააყენეს პოლიცია და ჟანდარმერია. არა სჯეროდათ, რომ ეს ორი სემინარიელი მარტონი ყოფილიყვნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამათ უნდა ჰყოლოდათ შთამგონებელნი, წამქეზებელნი. დაეძებდნენ რაღაცა ქართველების შეთქმულებას. ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერაფერი გამოძებნეს. საქმე იმითი გათავდა, რომ რამდენიმე მასწავლებელი და მოწაფე სემინარიიდგან გააძევეს. ამ განდევნილთა შორის, როგორც გამიგონია

იყნენ, სხვათა შორის, ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და საქვეყნო მოღვაწენი.

კარგა ხნის შემდეგ თვით დ. კეზელს უამბნია ჩემთვის ეს საქმე. დაწვრილებით საქმის გამოძიება მინდობილი ჰქონია ჟანდარმების პოლკოვნიკს ეგაძეს, რომელიც თურმე ხშირად მიდიოდა მეტეხში ჩვენების ჩამოსართმევად. ერთხელ თვით მიხეილ ნიკოლოზის ძეც კი მისულიყო მეტეხში. ენახა კეზელიც და ეკითხა: „შენ მაინც სჯიუტობ, არ გამოსტყდები, შენ წამქეზებლებს არ დაასახელებო?“ მე ახალგაზრდული სიკერპით და ჯიუტობით ვუპასუხეო: არა, არას გეტყვითო.

მაშინ მიხეილ ნიკოლოზის ძე გაბრაზდა და ფეხების ბარტყუნით დამიღრიალაო: „Ну так сгниешь здесь в тюрьме“.

საბრალო დიდო მთავარო! შენ რომ ყაზარმებში არ მიგელო სწავლა-განათლება და საჯინბოში არ დაგემთავრებია შენი განვითარება, იქნება მეტი ჭკუის გამჭრიახობა გამოგეჩინა, მეტის დანახვა შეგძლებოდა და მაშინ მიხვდებოდი, თუ ვინ იყვნენ შთამგონებელნი, წამქეზებელნი იმ სემნარიელებისა და მათთან სხვათაც მრავალთა, რომელთაც ციხეში დაღპობას შენ არ დაიშურებდი.

ქართველებას შეთქმულებას ეძებდი! რომელ ქართველებისა? განა შენ თითონ არ იცოდი, რომ ქართველი ლენერლები, დიდკაცობა, წარჩინებულნი და დაწინაურებული მოხელეები, რომელნიც შენ გარს გეხვივნენ, როგორც ბუზები თაფლს, და ხელებს გიკოცნიდენ, რომ ეს გადაგვარებული ქართველები შენს დღეს ფიცულობდნენ და შენ და რუსეთის წინააღმდეგ არაფერ შეთქმულებას არ შეადგენდნენ.

არ დაგიფარავთ, რომ შეთქმულობის ჩანასახი იყო, რომ შთამგონებლები და წამქეზებლები გყვანდნენ. ვინ? მოგახსენებთ. ზოგი მათგანი თქვენ ახლო-მახლოს გახლდათ და თქვენ რომ თვალთახილვის უნარი დახშული არ გქონდათ, დაინახავდით. ზოგნი კი ძალიან შორს იყვნენ. მათი ნახვა შეგეძლოთ პეტერბურგში, ლონდონში, ჟენევაში. როგორიო? იკითხავთ უფრო გაკვირვებული. ქვემოდნათქვამიდან მიჰხვდებით. თქვენ კარგად იცოდით, რომ ტფილისში იყო კლასიკური გიმნაზიები, სასულიერო სასწავლებლები და სხვა.

ერთი ასეთი გიმნაზია თქვენი სასახლის პირდაპირაც იყო. კარგად გეცნობებათ, რადგან იქ თქვენი შვილებიც სწავლობდნენ \*).

\*) ამის გამო ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას 1874 თუ 1875 წ. დიდი მთავრის ორმა შვილმა მოისურვეს გიმნაზიაში სწავლა, ვითომ იმის საჩვენებლად, რომ ისინი არაფრით განირჩევიან უბრალო მომაკვდავების შვილებისაგან. მოდიოდნენ

ცოდნით კი იცოდა, ხოლო რა ხდებოდა შიგ იმისი კი არაფერი გაეგებოდა როგორც მას, ისე ბევრს სხვასაც.

ხომ მოგეხსენებათ, ვინ განაგებდა 1870 წლებში რუსეთის განათლების ბედ-იღბალს. ესენი იყვნენ ა. ტოლსტოი და პობედონოსცევი, — რუსეთის ხალხის სულის შემხუთველნი მისი ბოროტნი სულნი. ამათ ბოროტ განზრახვის წყალობით გამეფებული იყო ეგრედწოდებული „კლასიციზმი“, ე. ი. ლათინური და ბერძნული ენების და საეკლესიო სკოლები, ე. ი. სწავლა, დამყარებული ჟამნ-დავითზე და ეკლესიურ გალობაზე. მეტადრე გააფთრებული სისასტიკით მძვინვარებდა კლასიციზმი. თავებს გვახოცინებდნენ, სულს გვიხუთავდნენ ტვინს გვიფიტავდნენ ლათინური „სუპინებით“, „აბლატივი აბსოლუტებით“ და ბერძნული „აორისტებით“. არსებითი სახელები და თანდებულნი, რომ მტკიცედ და სამუდამოთ ჩაგვბეჭდოდა მეხსიერებაში, ლექსებათ იყო დაწყობილი და ასე თუთიყუშებივით გვაზეპირებინებდნენ. ეს უხეში და უგუნური მეთოდი ისე მოეწონათ, რომ სხვა სამოსწავლო საგნებშიაც შემოიღეს, მაგალითად გეოგრაფიაში.

მოგეხსენებათ, რომ იაპონია კუნძულებზე სძევს, რომელთაგან სამია მოზრდილი და აღსანიშნავი სახელდობრ: ნიპონი, იეზო და კიუ-სიუ. და აი რომ, — ღმერთმა ნუ ქნას, — არამცა და არამც ჩვენ სიცოცხლეში არ დაგვიწყებოდა ეს დიდად მნიშვნელოვანი სამი სახელი, ასე გალექსილად გვასწავლიდნენ:

„ნიპონ, იეზო — სიკოკო,

კიუ — სიუ დრიკოკო“!

ან კიდევ ჩრდილო ამერიკის ახლოს მდებარე კუნძულები: კუბა, იამაიკა, პორტორიკო, გაიტი, — რუსულად ასე იყო გალექსილი:

„Куба, Ямайка, — знай-ка

Порторико, Гаити, — не забывайте.“

კვირაში ორჯერ თუ სამჯერ ადიუტანტების თანახლებით უნდა გენახათ, რა განგში და ალიაქოთი დადგებოდა ხოლმე გიმნაზიაში. დირექტორი, ინსპექტორი და სხვა წარმომადგენელი გიმნაზიის მთავრობის, სადღესასწაულო მუნდირებში გამოწყობილნი გამოეჭიმებოდნენ ქუჩაში შემოსავალ კარებთან და დიდის მოწიწებით მოაცილებდნენ კლასში. სწავლა აქ არაფერ შუაში იყო ყველა ეს მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, ხალხის თვალის ასახვევად. მიდიოდნენ-მოდიოდნენ, ხმას არავის სცემდნენ, გაკვეთილს არავინ ჰკითხავდათ.

ასე გასტანა ამ კომედიამ ერთ წელიწადს. რითი გათავდა, აღარ მახსოვს ნამდვილი არ ვიცი.

უნდა დავძინო, რომ ერთი ამათგანი, სახელდობრ ნიკოლოზ მიხელის ძე დახვრეტელ იქნა პეტერბურგში 1918 წ. როგორც კონტრ-რევოლუციონერი.

ხომ ხედავთ, როგორ ზრუნავდენ: იცოდეთ და არ დაივიწყოთ. არა, ვითომ რა დაშავდებოდა, რომ ეს კუნძულები არამც თუ არ დაგვივწყებოდა, არამედ სრულებითაც არ გვცოდნოდა, ან რა დაგაკლდებოდათ, მკითხველო, რომ ეს სასაცილო ამბავი თქვენთვის არ მემამბნა.

დაჟინებით გვაკითხებდენ ჰომეროსის განთქმულ „ილიადას“ და „ოდისეას“. მთელი ნაწყვეტები ზეპირად უნდა გვცოდნოდა. ჩვენც ლამეებს ვტეხდით, თვალებს ვიწყალებდით და ნელის ხმით ცოტა მესტვირული კილოთი ვიზეპირებდით ილიადას ფერადოვან ბერძნულ ლექსებს. მახსოვს ჩემი ბეჯითობის სურათი. მოუჯდებოდი მაგიდას, ნიდაყვებით დავეყრდნობოდი. ხან, ხელებს თავში მაგრად წავივლებდი, ვირყეოდი, ხმას ხან აუმაღლებდი, ხან დავუმდაბლებდი, მერე თვალებს დავხუჭავდი, და ლამის სიჩუმეში გაისმოდა ჩემი ბუბუნი: „ანდრა მოი, ენნეპე, მუზა პოლიტროპონ“<sup>1)</sup>.

ამ დროს რომ უცხო ვისმე დავენახე, იტყოდა: ეს სწორედ მეშაბათეებრაელია თავის ტალმუდსა კითხულობსო.

რომ დავეკითხებოდი, რაზედ გვაწვალებთ და გვტანჯავთ ამდენსაო, ასე გვიპასუხებდენ. ჩვენი ზრუნვა და წადილი ის არის, რომ თქვენ ესთეტიური გემოვნება მშვენიერებისა გაგიღვიძოთ, ესთეტიური მაღალი გრძნობები გაგიღვიოთ გულშიო. ამის მისალწევად კი კაცობრიობას ჯერ „ილიადა“ და „ოდისეოსის“ უკეთესი არა შეუქმნია რაო.

ყოველივე ეს ტოლსტოის ხეპრული სისტემის შედეგი იყო. ლათინურ-ბერძნულ ენების სწავლება ქვა-კუთხედათ იყო დადებული. ერთსაცა და მეორესაც კვირაში ექვს-ექვსი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რამდენი მასწავლებელი უნდა დასჭირებოდა. და რადგან რუსეთში ამისთვის მომზადებული მასწავლებელი საკმაოდ არ მოიპოვებოდა, მიჰმართეს საზღვარგარეთ და იქიდან იწვევდნენ უფრო უმეტესად ჩეხებსა და გერმანელებს, რუსულის ენის თითქმის სრულიად უცოდინართ. აქ ცოტაოდნად ახერხებდნენ ჩიქორთულ ენის შესწავლას და ამგვარად რაღაც დამახინჯებულ ენით გვაცნობებდნენ ბერძნებისა და რომაელების ენისა და პოეზიის სიმშვენიერეს. ამათი გაკვეთილები ნამდვილ ბაბილონის გოდოლს წარმოადგენდა, სადაც რუსული—გერმანულ-ბერძნულ-ლათინური სიტყვები ისე დომხალივით იყო არეული, რომ იმათ ლაპარაკს თავსა და ბოლოს ვერ გამოაბამდი. ჩვენ გვცხვენოდა იმათ მაგიერ და ისინი კი არც კი წითლდებოდნენ. გათავდებოდა გაკვე-

1) მუზავ, მიაბზე ვაჟკაცის ხანგრძლივ მოგზაურობის ამბავი.

თილი და დინჯად გაბრძანდებოდნენ კლასიდგან, სრულიად დარწმუნებულნი, რომ კეთილსინდისიერად, ღირსებით შევასრულეთ ჩვენი დიდი, სავალდებულო მოვალეობაო. ან კი რა აწუხებდათ, განა ჩვენი დარდი ჰქონდათ. ისინი იყვნენ რუსეთში მოსული, როგორც ლერმონტოვი ამბობს: „Для любви счастья и чинов“, — და დანარჩენი კი ფეხებზე ეკიდათ.

და ასეთი გზით ასეთი მასწავლებლებით უნდა შთაენერგათ ჩვენში სიყვარული ძველი ცნებისა, აი ამ გზით უნდა აღეზარდათ ჩვენში ესთეტიური გრძნობა და გემოვნება. მთავრობა ასე გვეფიციბოდა. მოდი ნუ იტყვით: ფიცი მწამს და ბოლო კი მაკვირვებსო. ჩვენც კარგათ გვესმოდა, რომ ყოველივე მხოლოდ ოინბაზობა და თვალისახვევა იყო მთავრობის მხრივ. ჩვენ კარგათ გვესმოდა მისი მუცლის გვრემა. ვერ მოგვატყუებდნენ, რომ ეს „კლასიციზმი“ მხოლოდ იმიტომ იყო შემოღებული, რომ დაეხმათ ჩვენი ჰკუა და გონება, მოეწამლათ სული და გული, აეშალათ ნერვები აუტანელი ტვირთით და გამოეფიტათ ტვინი.

მიაღწიეს კიდევ ბევრად თავიანთ ზრახვას. რამდენი თავიდგანვე ჩამორჩა სწავლას, რამდენი ნახევარ გზაზე გაჩერდა და ბოლო ველარ გაატანა. თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რომ თუ, მაგალითად, პირველ კლასში 30 მოწაფე იყო, უკანასკნელ კლასამდე ამათგან ხუთი-ექვსი თუ მიაღწევდა. დანარჩენი კი ცხოვრების ტალღებში ინთქებოდნენ, ბევრი მათგანი სამუდამოდ ილეკებოდა და ილუპებოდა, ხოლო სულით მძლავრი ზედაპირს ამოტივტივებას ასწრობდნენ, ცხოვრების გზას გაბედვით ჰკათავდნენ და ხშირად დიდ კვალსაც სტოვებდნენ.

აი ერთი უპირველესი და მძლავრი წამქეზებელი შეთქმულებისა, მათ შორის რომელნიც ზემოდ დავასახელეთ. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი ყოფილ წესწყობილებით უკმაყოფილებისა, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა შეთქმულება. ეს მიზეზი იყო, თუ ასე შეიძლება ითქვას, უარყოფითი მიზეზი. იყო დადებითი მიზეზებიც. ზემოდ დავასახელეთ შეთქმულების სულის ჩამდგმელად ლონდონი, ჟენევა და პეტერბურდი. აი რა აზრით:

ლონდონში გამოდიოდა იმ დროს ემიგრანტ გერცენის ჟურნალი „КОЛОКОЛ“ მთელ რუსეთს მოედო მისი მრისხანე ხმა. ეს ხმა ემსგავსებოდა იერიქონის საყვირს, „დაბადებაში“ რო იხსენიება, რომლისგან ქალაქის კედლები ინგრეოდა. ბეგრს და მათ შორის ყველაზე ძლიერ მიხეილ ნიკოლოზისძეს ეს ზარი გლოვის ზარად მოესმოდათ, რასაკვირველია, გულში ეკლად ესობოდათ. ხოლო ჩვენ

ახალგაზდობას კი, სანატრელ ხმად გვესმინებოდა, გულში ცეცხლს გვიღვივებდა, და იმედებს გვაძლევდა უკეთეს მომავლისას. გვამხნევებდა, ძალას და ღონეს გვმატებდა მუშაობისთვის. ჩვენ აქ, დაჩაგრულნი, ყოველ უფლებას მოკლებულნი, ჩვენი უფროსების წინ ხმის მაღლა ამოღებასაც ვერა ვბედავდით, და იქიდგან, ლონდონიდგან კი ჭექა-ქუხილის ხმა მოისმოდა, თვით ალექსანდრე მეორეს მკვახე სიტყვებით ელაპარაკებოდნენ და თვით მის ტახტს ძირს დაცემას და დამსხვრევას უქადდნენ. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხელთ ვიგდებდით ჟურნალის რომელიმე ნომერს. მწყურვალვით მოვეკიდებოდით, და მანამ წყურვილს სავსებით არ მოვიკლავდით თავს მაღლა არ ავიღებდით.

ამავე ხანებში დაბრუნდნენ ჟენევიდგან გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და შეუდგნენ საზოგადო მოღვაწეობას. ჩვენ მიჩვეულნი ვიყავით, რომ, როდესაც ახალგაზდანი სწავლადამთავრებულნი დაბრუნდებოდნენ ჩვენში, მაშინვე უსათუოდ სამსახურის ძებნას შეუდგებოდნენ. ესენი პირიქით, მოზარდ თაობას დაუმეგობრდნენ, მათგან წრეები შეადგინეს და მეთაურობას, ხელმძღვანელობას უწევდნენ. ამათვე დაარსეს ჟურნალი „კრებული“ სადაც მაღლიანი კალმით ახალ აზრებს ავრცელებდნენ საზოგადოებაში. მეტადრე დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენზე ნ. ნიკოლაძეს. მისი სიცოცხლით სავსე წერილები, მისი მწვავე მათრახები მოწინააღმდეგის მიმართ, მისი მახვილი ბასრი კალამი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩვენ გულში. ყველა ჩვენგანი ცდილობდა მოჰყოლოდა იმ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. გურამიშვილი, ნ. ნიკოლაძის ცოლის ძმა, იმ იმედით, რომ იქ თვით ნიკოლაძესაც ვნახავდით, პირის-პირ ვნახავდით და მის ცოცხალ სიტყვას მის საკუთარ პირიდგან გავიგონებდით. რა არ გვსმენია აქ უცხოეთის და განსაკუთრებით შვეიცარიის თავისუფალ ცხოვრების შესახებ. ჩვენ აჩქარებულ ახალგაზდურ გატაცებას საზღვარი არ ჰქონდა. შვეიცარია გვეხატებოდა ჩვენს წარმოდგენაში რალაც აღთქმის ქვეყნათ, თავისუფლების დედაბუდეთ. ჟენევის ნახვას, იქ ცხოვრებას ისე ვნატრობდით, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანი მექაში წასვლას ქააბის თაყვანისსაცემლად.

ჟურნალ კრებულს დიდი გავლენა ჰქონდა მოზარდ თაობაზე. ჟურნალში თავი მოიყარეს ყველამ. ვისაც კი ნიჭი შესწევდა და საზოგადოების გამოცდილებისა და წარმატებისათვის მაჯა უცემდა. ახალგაზდური ცელქობით და გაბედულობით ნავარდობდნენ და მწარე მათრახებს ურტყამდენ ყველას, ვისაც კი უკუღმართობას, ხალხის თვალის აბმას და მოტყუებას შეამჩნევდნენ.

ამ უკანასკნელი ჯგუფის მოღვაწეთ ეკუთვნოდა პლატონ იოსელიანი. ეს ახლად სრულიად დავიწყებას მიცემული ადამიანი. იმ დროს დიდ გავლენიან კაცად ითვლებოდა. დიდი მოხელე იყო, რომელსაც უმაღლესი სწავლა ჰქონდა მიღებული სასულიერო აკადემიაში და საზოგადოებაში ფილოსოფოსის ხმა ჰქონდა დავარდნილი. ვგონებ, აქ ცოტაოდენი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ გარემოებასაც, რომ იმის სახელის გაგონება უნებლიეთ გამოიწვევდა საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსის პლატონის სახელს.

მე ჯერ პატარა ვიყავი, პლატონ იოსელიანი პირველად რომ მანახვეს, და სამუდამოდ გონებაში ჩამრჩა მისი გარეგანი შეხედულობა: მაღალი, უშნო, ახმახი ტანი, წელში ცოტა მოხრილი, უზომოდ ჩამოგრძელებული პირის სახე, დაბღრძილი მოდიდო თვალები, მოგრძო წვერი, ნიკაპში გამოპარსული, როგორც მაშინ მოხელეებს წესათ ჰქონდათ მიღებული, გრძელი ხელები, მოდიდო ფეხები, რომლითაც ისე აბიჯებდა, გეგონებოდათ სპილოაო. ნამდვილ ორანდუტანგს წარმოიდგენდით იმის დანახვაზე.

და აი ამ კაცს დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში, მეტადრე სასულიერო წოდებაში. მაგონდება საუბარი ერთ მოხუც მღვდელთან. კაცი დამჯდარი ჭკუისა, აუჩქარებელი მოლაპარაკე, წიგნის მოყვარე, სემინარიაში სწავლა-დამთავრებული, არ იყო საღ მსჯელობას მოკლებული. საუბრის დროს სიტყვამ მოიტანა პლატონ იოსელიანის სახელი. იმ ხანებში პლატონს სიტყვა წარმოეთქვა რაღაც ყრილობაზე და ეს სიტყვა ცალკე წიგნაკად დაებეჭდათ. ჩემს მოსაუბრეს წაეკითხა ეს წიგნაკი და დიდის კმაყოფილებით მეუბნებოდა: რა დიდი ჭკუისა და ცოდნის კაცია ეს პლატონიო.

— მაინც რას სწერს? ვეკითხები.

— სწორედ გითხრათ, კარგათ ვერ გავიგე.

— მაშ დიდი ჭკუა რაში შეამჩნიეთ?

— დიდი ჭკუაც სწორედ იმაშია, რომ კაცმა სავსებით ვერ გაიგოს, რაც დაწერილია. აი ძველი ფილოსოფოსებიც განა ეგეთი ძნელი გასაგებარნი არ არიან?

ასეთ ჯანყსა და ბურუსში ახვევდნენ საზოგადოებას მაშინ პლატონი და მისნი დამქაშნი. ამათ ანგარიშის გაწევა უნდოდა. ამ მოღვაწეებს სახელი ჰქონდათ აგრეთვე განთქმული, როგორც ლათინურის და ბერძნული ენის მცოდნეთ. ამ ენების ცოდნა კი მაშინ თითქმის დიდ მეცნიერებად ითვლებოდა. თუ რა ღირსების იყო ეს ცოდნა, შემდეგი მაგალითი დაგვანახებს:



„უამნი მრავალნი უხილველ  
მირბიან ვითა მახინა.  
ტემპორა ჩვენი მიილტვიის,  
გველის ალაპი ჩვენ წინა.  
წარვიდეთ, ვითა წარმოსთქვა  
ძველთაგან ძველმა ჰომირმა:  
ასპიროზ, ზუვალ, მარიხი  
არ წარიტაცოს ჰიმერმა“.

ეს გესლიანი პაროდია დაბეჭდილი იყო „კრებულში“ როგორც მახსოვს, ნ. ნიკოლაძის კალამს ეკუთვნოდა, მგონი. აი ამ გვარი სიტყვების რახა-რუხით, ბერძნულ-ლათინურ ზღაპრებიდგან ამონაგლეჯ და უადგილო ადგილას ნახმარ სიტყვებით თავის თავს მეცნიერად მოაჩვენებდნენ და საზოგადოების გონებას, შეგნება-განვითარების მაგიერ ბნელ ბურუსში ახვევდნენ. ამასთან ისიც გამომჟღავნდა, რომ ეს ცრუ მეცნიერები და ძველი ენების ვითომ მცოდნენი, საზოგადოებაში, თუ რაიმე კრებაზე, ძველს მწერლებს მოიყვანდნენ მოწმედ, ჩვეულებად ჰქონდათ ციცატების ზეპირად მოყვანა, მაგალითად ბერძნულად. ამით გულუბჟყვილო და ენების უვიცი მსმენელი განცვიფრებაში მოჰყავდათ. მერე რა გამოდგა? თურმე, ნუ იტყვიო, მწერლის სიტყვების მაგიერ, „პატერვიზონს“ \*) კითხულობდნენ.

როდესაც ძველ თაობას ასე ამასხვარავებდნენ და სასაცილოდ იგდებდნენ ჩვენ, რასაკვირველია, სიამოვნებით ვისმენდით და ვაშავაშას ძახილით ვამხნევებდით. ძველებს, ცხადია, ეს არ მოეწონებოდათ. ითაკილეს, განრისხდნენ და დაიწყეს მოქმედება. ჯერ იყო და კახეთის თავადაზნაურობამ მოკვლა დაუპირა ილია ჭავჭავაძეს, როგორ თუ გაბედა და „კაცია ადამიანით“ ბრწყინვალე თავადობა მასხარად აიგდო და გააპამპულაო; „კაკო ყაჩაღში“ — კაკოს, ამ უბრალო მოყმეს, ავაზაკს, თავის ბატონის მკლელს მოსარჩლედ გამოუდგა და ქებათა ქეზასაც უძღვნისო.

ასევე ბედი ეწვია აკაკი წერეთელს იმერეთის თავად-აზნაურობისაგან ამასაც მოსაკლავად არ იზოგავდნენ. როგორ თუ ჰბედავს და ჩვენ მოყმების თვალში მასხარად და ავაზაკებად გამოვეყვართო. აკაკის გესლიანი და მსუსხავი ენა მართლა და ვის არ გამოიყვანდა მოთმინებიდგან. იმის „ცხელ-ცხელი“ ამბები, სადაც აკაკისებური მწვავე კილვა და სიცილი ისმოდა, გახურებული შანთივით ესობოდა გულში იმათ, ვისიც საგმირო საქმენი, მზეზედ გამოფენილნი, ქვეყნის საკბილოდ და დასაგმოდ ხდებოდა.

\*) მამაო ჩვენო ბერძნულად.

ძველმა თაობამ და მათმა წარმომადგენლებმა იუცხოვეს ასეთი გალაშქრება ახალი თაობისა და გამოეპასუხნენ. გაისმა ხმა გრ. ორბელიანისა, ორბელიანს დიდი სახელი ჰქონდა ქართველ საზოგადოებაში როგორც პოეტს და დიდათ ნიჭიერ კაცს. მაგრამ უფრო დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი იმით, რომ ღენერალი იყო, დიდი ადგილი ეჭირა, ხელმწიფის მოადგილის თანაშემწე იყო. საკვირველი იყო ამ კაცის ორპიროვნება: 1832 წლებში მონაწილეობას იღებდა დოდაშვილთან და სხვებთან ერთად იმ შეთქმულებაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობა მისი რუსეთისაგან განთავისუფლება, რისთვისაც იგი დასჯილი იყო და რუსეთში გადასახლებული. საქართველოში უკანვე დაბრუნებული, იგი რუსეთის ერთგული ხდება და თვალსაჩინო ადგილსაც იჭერს ადმინისტრაციაში. „მუშა ბოქულაძე“-ს ბედს დასტირის, და როდესაც ამ ბოქულაძემ ხმა ამოიღო და თავის მწვავე ბედის გაუმჯობესება მოითხოვა, ხიშტები და ტყვიით გადაეღობა წინ.

ეს უკანასკნელი ნამდვილი ამბავია და მოხდა 1865 წლებში, მიხეილ ნიკოლოზის ძის გამგებლობის დროს. ქალაქში დიდი სიძვირე ჩამოვარდა, ქალაქში შემოსატან საქონელზე დიდი ბაჟები დაიდვა, ხარჯები და გადასახადები მოუმატეს. ხალხი სამართალს ვერსად ჰპოვებდა. აღელდა, უკმაყოფილებას აცხადებდა, მაგრამ მსმენელი და გულშემმატკივანი არ ჩანდა. სხვა ღონე არ იყო. ხალხმა ძალას მიჰმართა. დუქნები დაიკეტა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა. მეთაურებიც გამოუჩნდნენ. მახსოვს ერთი ავლაბრელი მებაკე, რომელსაც ხშირად იხსენიებდნენ, მგონი მოსე კოლოტაშვილი იყო იმის გვარი. ძალადობამაც იჩინა თავი. ხალხი ბრალსა სდებდა ქალაქის მოთავეს, გვარად ბაჟბეუქ-მელიქოვს, ვითომ ის ჰმალავდა ფქვილს და პურის სიძვირე იმიტომ ჩამოვარდაო. ბრბო მიადგა დაწესებულებას და სთხოვდა ბაჟბეუქს გამოსულიყო მოსალაპარაკებლად. ის იქ არ აღმოჩნდა. ბრბო გაეშურა იმის საკუთარ ბინაზე, მგონი, კუკიაში. აქაც უთხრეს, შინ არ არისო. აღელვებულმა და მოთმინებიდგან გამოსულმა ხალხმა არ დაუჯერა შინაურებს და თითონ შეუდგა სახლის ჩხრეკას. მართლაც და ბანზე, სახურავის ქვეშ აღმოაჩინეს მიმალული ბაჟბეუქი ამ არა საკადრისი საქციელით. აღელვებულმა ხალხმა ძალადობა იხმარა: ბაჟბეუქი მეორე სართულის სიმალიდგან ძირს გადამოაგდეს და დამსხვრეულ-დასახიჩრებულმა იქვე განუტევა სული. მეორე მიჰყვეს ხელი და მთელი სახლი აიკლეს, ყველაფერი მიღევ-მოღევს და ოჯახობაც დააწიოკეს.

უფრო დიდად გამწვავდა არეულობა ავლაბარში, სადაც, რო-

გორც ზემოდ მოვიხსენიეთ, აჯანყებულ ხალხს ხელმძღვანელი გამო-  
უჩნდა—მებაკე მოსე. მთავრობა ამოძრავდა და ჯარი გაგზავნა და-  
სამშვიდებლად. მაგრამ ავლაბარში შესვლა ჯარმა ვერ მოახერხა,  
რადგან ავლაბრის ხიდი შეკრული დაჰხვდათ. სისხლის ღვრის ასაცი-  
ლებლად იფიქრეს ისეთი კაცის გაგზავნა, რომელსაც ქართველობა  
ენდობოდა. ასეთ კაცად ცნობილი იყო ირაკლი გრუზინსკი, უკანას-  
კნელი მეფის გიორგის უახლოესი შთამომავალი.

მახსოვს ეს ირაკლი. ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, თუ-  
შური ქუდით, ხშირად დასეირნობდა ხოლმე ცხენით ქუჩებში. თავი  
ისე ეჭირა, თითქოს ქართველების მართლაც ერთგული მოსარჩლე  
იყო. მთავრობასაც სჯეროდა და მისი გულის მოსაგებად, რომ რუ-  
სეთის ერთგული ყოფილიყო, საცხოვრებელად აბანო აჩუქეს, რომელ-  
საც აქამდინ ხალხი ერეკლეს აბანოს ეძახის. ამით უზრუნველ ჰყვეს  
მისი ცხოვრება და ისიც კმაყოფილი დანავარდობდა.

აი სწორედ ამ ირაკლის მიჰმართა მთავრობამ და გაგზავნა  
ადელვებული ხალხის დასამშვიდებლად. ხალხმა ირაკლი რომ დაინა-  
ხა: „აი ჩვენი მეფეო, გაუმარჯოს ირაკლისო!“.

ირაკლიმ სიმხდალე იჩინა და იმის შიშით, რომ ვაი თუ მთა-  
ვრობის წყალობა მომაკლდესო, პირი იბრუნა და სასახლისკენ გაე-  
შურა.

მთავრობამ მაშინ მეორე ქართველს მიჰმართა. ეს მეორე გა-  
ხლდათ გრ. ორბელიანი. ამან ჯერ ყიზირბაშურ ხერხს მიჰმართა:  
ტკიბილი, მლიქვნელი ენით დაუწყო ხალხს ლაპარაკი, დარიგება და  
ურჩევდა დამშვიდებას და შინ დაბრუნებას. ხალხი მას ყიჟინით დაუ-  
ხვდა და შტვენით გაისტუმრა. განრისხებულმა ორბელიანმა ბევრი  
აღარ დაახანა, ხალხს ჯარი მიუსია და გაფანტა. ავლაბარი ააკლე-  
ბინა. მეთაურები შეიპყრეს, მათ შორის მოსეც, რომელიც, როგორც  
გამიგონია, სამართაოს ველარ ელირსა და ციხეში გარდაიცვალა.

ასეთი გახლდათ პოეტი გრ. ორბელიანი. მთავრობისაგან წარ-  
ჩინებული, ძველი თაობისაგან მეტად გაზვიადებული, როგორც პოე-  
ტი. გრ. ორბელიანმა, რასაკვირველია; იუკადრისა ახალი მწერლე-  
ბის გამოლაშქრება, და რიხით გამოეპასუხა:

„აკაკიებო, ბაკაკიებო,  
რიონელებო, გოგიტელებო,  
საიდგან ჰკნავით,  
სიდგან სჩხავით“!

ასეთი მედიდური დაცინვით იხსენიებდა „კრებული“-ს თანა-  
მშრომლებს.

ასეთივე კილოთი გადასწვდა ილ. ჭავჭავაძეს: „ეს ლიბერალი ბურთივით მგვრალიო“. ესენიც ღირსეულად დაუხვდნენ და ისეთი მკვახე და გესლიანი პასუხი გასცეს, რომ გრ. ორბელიანი ჩაჩუმდა და მას უკან ხმა აღარ ამოუღია.

ზემოდ სხვათა შორის დავასახელეთ, რომ ჩვენი წამქეზებელნი იმყოფებოდნენ აგრეთვე პეტერბურღში (ახლანდელი ლენინგრადი).

მართლაც აქ მოღვაწეობდნენ წინეთ ახალგაზრდობის უმთავრესი შთამგონებელნი, სულის ჩამდგმელნი. ესენი იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და სხვანი. ჟურნალებს „Современник“ და „Русское слово“-ს სადაც ესენი მეთაურობდნენ, ხელში ჩაგდებას ისე მოველოდით, როგორც დამშეულნი ებრაელნი მანანას სინას უდაბნოში. ყოველი იმათი სიტყვა გულში გვხდებოდა და გვიმონავებდა. ის მოძრაობა, რომელიც იმათ შეჰქმნეს, აღელვებულ, აბობოქებულ ზღვას წარმოადგენდა, რომლის ტალღები ჯერაც დონეზე არ დამდგარიყო, თუმცა საგრძნობელი ხანი იყო გასული. მეტადრე დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენზე პისარევს. მისი გაბედული აზრები, მოურიდებლად ფეხქვეშ გათელვა, მამაცურად განადგურება ყველა იმისა, რაც ჩვენ წმინდათა წმინდათ მიგვაჩნდა, თავს ბრუს გვასხამდა და გვხიბლავდა. დაუმატეთ ამას კიდევ მისი ფოლადივით მტკიცე ლოლიკა, ცოცხალი, მხატვრული ენა და წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ემოქმედნა ჩვენს ისედაც აღგზნებულ ახალგაზრდა სულსა და გულზე. პირველად მისგან გავიცანით დარვინის გამოჩენილი თეორია ცხოვრების განვითარების შესახებ. გასაოცარი გატაცებით, დიდის მოწიწებით ნაამბობი დარვინის დიადი აზრები ისე მოქმედებდა ჩვენზე, თითქოს კაცობრიობას ახალი მესსია მოჰვლენოდეს ქვეყნად.

ტურგენევის მოთხრობის—„Отцы и дети“ გმირი ბაზაროვი, რომელსაც პისარევი ახალგაზრდობას უთითებდა, როგორც მისაბაძავ მაგალითს, რომელსაც მას იდეალად უხატავდა,—მართლაც გვიტაცებდა და ჩვენ იდეალად შეიქმნა. ვბაძავდით ბაზაროვის გატაცებას ბუნების მეცნიერებით. ვკითხულობდით ფოხტს, ბიუხნერს მოლეშოტს,—ამ უკიდურესს მატერიალისტებს. ბაზაროვის პასუხს კითხვაზე: რა იქნება შენ სიკვდილს შემდეგო?

„Лопух вырастет на моей могиле“. ჩვენ ამაყად ვიმეორებდით, თუმცა ეს ძირიან ფესვიანად აქარწყლებდა იმას, რაც ჩვენ ღრმა რწმენად გვქონდა აქამდე გადაქცეული.

„Слова и иллюзии гибнут, факты остаются“ გვეუბნებოდა პისარევი და თან ბრწყინვალე ნაწერებით შეუწყალებლად არღვევდა

აქარწყლებდა მეტაფიზიკას,—ოცნების და ლიტონ სიტყვების ბუდეს, და გვიქადაგებდა ბუნების შესწავლას, მის დამორჩილებას ცხოვრებაში გამოსადეგად. თანაც გვაფრთხილებდა: არამც და არამც ბუნება სათაყვანებელ საგნად არ გაჰხადოთ, როგორც სულიერი მამანი ვიქადაგებენ, ან კიდევ მშვენიერების და საიდუმლოების ქვეყნად არ გადააქციოთ, როგორც პოეტები ოცნებობენ. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ მან რუსეთის დიადი პოეტი პუშკინი შეჰლახა უღმობელად და წვრილმანი პოეტები ხომ მიწასთან გაასწორა.

პისარევი გვეუბნებოდა: „Природа не храм, а мастерская, и человек в ней работник“ და ჩვენც, როგორც ერთგულნი მოწაფენი, ვიზიარებდით ამ მცნებას. ერთხელ ამ გზაზე შემდგარნი, ვცდილობდით აღარ გადაგვეხვია. მაგრამ ისიც კარგად გვესმოდა, რომ კარგი მუშაკი მხოლოდ მაშინ იქნები, როდესაც ერთ კუთხეში კი არ შეიკუნჭები, არამედ განვითავრების შარა გზას დაადგები, ამით აიხსნება ის, რომ გაფაციცებით ვეძებდით და ვკითხულობდით ასეთ წიგნებს, როგორც იყო ინგლისის ცივილიზაციის ისტორია ბოკლისა: „ქალების გავლენა ცოდნის წარმატებაზე“—მისივე, „პოლიტიკური ეკონომია“ ჯ. სტ. მილოლისა, ნათარგმანი ჩერნიშევსკისა და მისივე შენიშვნებით, და სხვა მრავალი ამგვარი,

წიგნების შოვნასაც ადვილად ვახერხებდით. ამაში ხელს გვიწყობდა შემდეგი გარემოება: სასახლის პირდაპირ, სადაც ეხლაც ერთსართულიანი შენობაა, ახალ მუზეუმის ქიმის გასწვრივ იყო საჯარო ბიბლიოთეკა ივანოვისა. იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა ამ ბიბლიოთეკას. აქ მოიპოვებოდა ყველა ის წიგნები და ჟურნალები, რომელიც ზემოდ დავასახელე. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს წიგნები აღკრძალული იყო მთავრობისაგან. და თუ ჩვენ ვახერხებდით მათი ხელში ჩაგდებას, მხოლოდ ჩვენი მეთაური მწერლების წყალობით. ჩვენ ისე ვფიქრობდით, რომ ამათ რალაცა გაწყობილობა ჰქონდათ ივანოვთან. ამ ბიბლიოთეკაში ხშირად ვხდებოდით აკაკის, ნიკოლაძეს, გ. წერეთელს და სხვა ერების მოწინავე მწერლებსა და საქვეყნო მოღვაწეებსაც. აქ ვნახე პირველად, სხვათა შორის, სომხების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გრ. არწრუნი, რედაქტორი ცნობილი სომხურ გაზეთის „შმაკისა“. არწრუნებისა იყო ის ქარვასლა, სასახლის ქუჩაზე რომ არის, და რომელიც შემდეგ ქართველებს დარჩათ, სადაც ქართული თეატრი და სათავად-აზნაურო ბანკი იყო მოთავსებული. ამ ქარვასლის გაყიდვით, არწრუნს მილიონამდე ნალდი ფული ერგო. და ეს ამოდენა ფული სავსებით მოანდომა განხორციელებას იმ იდეისა, რომლითაც იგი გატაცებული იყო. ეს იდეა

იყო ოსმალეთის სომხების განთავისუფლება, შეერთება მათთან კავ-  
კასიის სომხებისა და ამ გვარად შექმნა დიდი სომხეთისა, ასეთი  
სომხეთის რუქაც იყო შედგენილი. ასეთი იდეით გატაცება, რასა-  
კვირველია, პატივსადები იყო, ხოლო ჩვენ ქართველებისთვის სავა-  
ლლო ის გამოდგა, რომ გრ. არწრუნმა ძალიან გადაამლაშა. დიდი  
სომხეთის საზღვრებში მოქცეული იყო კარგი მოზრდილი ნაწილი  
საქართველოსიც, როგორც, მაგალითად, გორი, დუშეთი, სიღნაღი  
ამით უკმაყოფილონი დარჩნენ ქართველები. მეტადრე ცხარედ ლაპა-  
რაკობდნენ ამაზე ილია და აკაკი.

და აი სწორედ ამ საგნის შესახებ გაცხარებულ ბაას აკაკისა  
და არწრუნის შორის შევესწარ ივანოვის ბიბლიოთეკაში. თავი-  
დანვე იმათ ბაას არ დავსწრებივარ, მხოლოდ ეს კი გავიგონე: „შეხ  
რა გესმის, მთელი სომხეთის სვე-ბედი აი ამ კისერზე მაწევსო“,  
ეუბნებოდა არწრუნი აკაკის.

— „მჯერა, ბატონო, სომხეთი კისერზე, და არარატიც ზურგზე  
გადგია მეტი რაღა გინდა, ბედნიერი ყოფილხარო“, — უპასუხა აკაკიმ.

— „აკაკი შენ შენს სულელობას არ იშლიო“ მიაძახა არწრუნმა და  
გაჯავრებული გავარდა ბიბლიოთეკიდგან. მის გასაგებად, თუ აკა-  
კის სიტყვებმა რად გააცეცხლეს ესე არწრუნი, უნდა ითქვას, რომ  
საწყალ არწრუნს დიდი ფიზიკური ნაკლი ჰქონდა: კუზიანი იყო.  
აი სწორედ ამ ნაკლს ჰგულისხმობდა აკაკი, როდესაც, ეუბნებოდა  
„არარატიც ზურგზე გადგიაო“.

— : —

# ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

გრ. ცე—ძე.

## ა. ფრანსი. „ღმერთებს სწყურიათ“. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძის. გამოცემა სახელგამის. გვ. 460.

ა. ფრანსი, თავის რომანში „ღმერთებს სწყურიათ“, მონუმენტალური სიდიადით და ინტიმური განჭვრეტით გვიხატავს საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

რომანის მთავარი გმირი არის მხატვარი ევარისტ გამლენი,—გულწრფელი, ბუნებით კეთილი ადამიანი, მაგრამ განსაზღვრული და ფანატიკოსი.

ის თავიდანვე გულმოდგინეთ მუშაობს რევოლუციონურ ორგანიზაციებში, პირადათ იცნობს მარატს, მაგრამ მისი დაწინაურება—რევოლუციონური ტრიბუნალის ნაფიც მსაჯულად დანიშვნა, ხდება არა მხოლოდ ორგანიზაციებში მუშაობით თავის გამოჩენის მეოხებით, არამედ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი აქვს ერთი კომბინატორი ქალის როშმორის სურვილს, რომელსაც სურს საკანონმდებლო ორგანოში, ყოველშემთხვევისთვის „თავისი კაცი“ ჰყავდეს (რადგან ის იმედგაცრუებული რჩება. როცა როშმორის ქალს ბრალდებულთა სკამზე სვამენ გამლენი ოდნავადაც არ სთვლის თავს მოვალედ გამოესარჩლოს მას).

ნაფიც მსაჯულად დანიშვნის შემდეგ გამლენის ფანატიზმი თანდათან ძლიერდება, მისი სიმკაცრე უკიდურესობამდე აღწევს,—სადაც არის და არ არის ის ყველგან მტერს ხედავს და დაუზოგველად აგზავნის ხალხს გილიოტინაზე.

შემდეგი წინა რიგის მომქმედი პირი არის ფორტუნე ტრიუბერი სექციის მდივანი. ფორტუნე ტრიუბერის სახით მოცემულია რევოლუციის ენერჯია; მას სრულიად დავიწყებული აქვს პირადი კეთილდღეობა. ჭლეტით დაავადებული ის დღედაღამ მუშაობს რევოლუციისათვის. ბოლოს მსხვერპლი ხდება დაუღალავი მუშაობით გართულებული ავადმყოფობის.

ანატოლ ფრანსი თუმცა აღნიშნავს ფანატიკოს რევოლუციონერების კეთილშობილებასა და მაღალი იდეალებისათვის უანგარო სამსახურს, მაინც იმათ უპირისპირებს, შეიძლება ითქვას, დიდი მიკერძობითაც და სიყვარულით, თავისივე მსგავსს სკეპტიკოსს მოხუც ბროტტო დეზილეტს. ეს ეპიკურის მიმდევარი ფილოსოფოსი გულდამშვიდებული მაყურებლის თვალით უცქერის მოვლენებს და თავისუფლად აკრიტიკებს მას.

რომანში გამოყვანილია გამლენის საყვარელი ქალი ელოდი, რომელიც რევოლუციას არ გრძნობს; გამლენში ის ხედავს საყვარელ მამაკაცს, ხოლო გამლენის მოღვაწეობა მისთვის შეუცნობელი არის. მას ახასიათებს ერთგვარი მემჩანური სათნოება, მაგრამ, ამავე დროს არის ვნებათა ღელვის ამყოლი: გამლენის დასჯის მეორე დღესვე ის ისეთივე ვნებით ეძლევა მეორე მამაკაცს, მხატვარ დემის, როგორც ეძლეოდა გამლენს.

უნდა აღვნიშნოდ აგრეთვე როსკიპი ათენაისი: ამ ტიპში ავტორი გვიხატავს თუ როგორ დაშორდა დაბალი წრე რევოლუციას. ათენაისს მეფეზე წარმოდგენაც არა აქვს და რა თქმა უნდა არც მისი იდეური მომხრეა, მაგრამ იაკობინელები სძულს და იმათი შურით იძახის: „გაუმარჯოს მეფეს“-ო.

საერთოდ ანატოლ ფრანსი ამ რომანში უარყოფითად უცქერის რობესპიერის მომხრეთა ტერორის ტაქტიკას და ხედავს მასში „რევოლუციის სიგიჟეს“.

რომანის ბოლო სიტყვაში ავტორი თვით ლაპარაკობს: „რევოლუციონერები, ეს ჩვენი დიდი წინაპრები ან ბაღლები არიან ან უკუღმართი ადამიანები. მათი იდეები ბეჩავია, მათი იმედები წვრილმანია, მათი საზოგადოება სატუსაღოა“...

თარგმანი კარგია.

წიგნი გარეგნულად ლამაზად არის გამოცემული, მაგრამ საესეა კორექტურული შეცდომებით.



ს.

### ლ. გეგეჭკორი. საბავშვო ლექსები.

1928 წ. ტფილისი. ავტორის გამოცემა, ფასი 20 კ.

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ჩვენი საბავშვო ლიტერატურა ღარიბია...

ამიტომ ყოველ ახალ გამოცემულ წიგნს სიხარულით ვეგებებით.

ვინც კარგად იცნობს პატარა მკითხველებს, მის ფსიხოლოგიას, მის წყურვილს წიგნისადმი—ის დამეთანხმება, რომ ყოველი ბავშვი, ახლად გამოსულ საბავშვო ფერადოვან წიგნს თვალგაღებულნი შესცქერის.

ავტორს ამ პატარა წიგნაკში შეუკრებია ის ლექსები, რომელნიც ყურნალ-გაზეთებში იყო გაბნეული.

უნდა ითქვას, რომ, ბევრი ლექსი, რომელიც ამ პატარა წიგნაკშია მოქცეული, არ შეეფერება ბავშვის ფსიხიკას.

არ შეიძლება ზოგადად არ ითქვას, რომ არამც თუ წინამდებარე წიგნის ავტორი, არამედ ყველა საბავშვო მწერლობის მიმდევარნი, თავიანთ ნაწერებს აწერენ: „საბავშვო ლექსები“, „საბავშვო მოთხრობები“, „საბავშვო სიმღერები“. ცნობილია, რომ საბავშვო ასაკი, მისი ცნობიერების გაღვიძება წიგნისადმი იწყება 4—13 წლამდე. და რაც 12—13 წლის ბავშვს გამოადგება, ის რასაკვირველია 6—9 წლის ბავშვისთვის გამოუსადეგარია! ეს ნაკლი აქვს ლადო გეგეჭკორის წიგნსაც.

აბა როგორ შეთავსდეს ერთად თუნდ ეს ორი ლექსი: 1) „ტარას შევჩენკოს საფლავზე“ (გვ. 28) და 2). „დედილო, დედი, მითხარი, სად გაიპარა ზამთარი“. (გვ. 11) ცხადია, ის ბავშვი, რომელიც ტარას შევჩენკოს იცნობს და მის საფლავზე ჰგოდებს; „დედილოს“ მიამიტად აღარ დაეკითხება:

„ასე კაშკაშა მზიანი დარი

საიდან განჩდა, მითხარ რად არი?“.

საბავშვო ლიტერატურა სამ კატეგორიად უნდა იყოს დაყოფილი: 4—7, 7—10, და 10—13 წლამდე. ჩვენში კი სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი: „საბავშვო შემოქმედება“ ყოველ „საბავშვო წიგნს“ ჰქვია! ლადო გეგეჭკორის ლექსებიც რომ თავებად ყოფილიყო დაყოფილი უფრო მეტს მოიგებდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ლექსი, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, ასეთებია: „მეგრელი მწყემსი“, „სოფლის ბიჭი“, „ნიავი“ და სხვ. აქ შინაარსი და მსუბუქი ლექსთწყობა კონტადაა შეფარდებული? სუსტია: „თინათინი“.

ამ კრებულში მოქცეული ზოგიერთი ლექსი სახელმძღვანელოებშია შტანილი.

წიგნს გარეგანი არ უვარგა.

